შირის საფუძველზე გამოყოფენ გრანსმისიული დააეალების შემ-
დეგ ჯგუფებს: ბოონოზი, ანთროპოზოონოზი და ანთროპონოზი.

დააეალების, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ცხოვე-
ლებისათვის ბოონოზი ეწოდება. მგ. ფრინველების მაღარია. დაა-
ვაღებას, რომელიც გამომწვევი გაღამგანს გაღაქეს დასნებოე-
ნებული ცხოველებიდან ადამიანზე და პირიქით ანთროპოზოონო-
ზი ეწოდება. მაგ: ლეიშმანიოზი, შაყი ჭირი, გაივის ენცეფალიტი;
ანთროპოზოონოზით აეაღლებიან, როგორც ცხოველები, ისე ადა-
მიანები.

ანთროპონოზური დააეალების გამომწვევეს შეუძლია იარსებოს
მხოლოდ ადამიანის ორგანიზმში, მაგ: ამებიანი, გრიქომონიაზი.
გრანსმისიული დააეალებების უმეტესობა ბუნებრივ-ეერობრი-
ვობით ხასიათდება.

4. შესებითი ანუ კონტაგური გადაეემის გზაა-კანში ან ლორ-
წოვანი გარსში (ვენერიული დაეაღებები). დაეაღების გამომწვე-
ვის შეჭრით მაგ. კრუზის გრიპანოსომა, მუნის ტკიპი, ფილარიული
ლარეა, ლეიშმანიია, პლაზმოდიუმი და სსკ.

5. კონტამინაცია-როდესაც ინფირიცირებული გაღამგანი ექ-
სკრემენტებთან გოვეებს გამომწვევეს დაბიანებული ან გაღიზია-
ნებული კანის მეღაპირზე, რომელსაც ადამიანი შეიზელს ქაეილის
დროს. მგ. პარგასტიანი გიფის გამომწვევი ასეთი გზით ხედება
ადამიანის ორგანიზმში.

6. ინოკულაცია-ადამიანის სისხლის წოვის დროს გაღამგანის
ნერწყვთან ერთად ორგანიზმში აღწევს დააეაღების გამომწვევი.
მაგ. ამ გზით ხედება ადამიანის ორგანიზმში მაღარის პლაზმო-
დიუმის სპოროზოიტები, ლეიშმანიები და სსკ.

7. თუ დააეღლება ადამიანის ორგანიზმში კეებითი გზით პირის ღრუს გავლით აღწევს პერორალური გზა ეწოდება. იგი ხდება საკეებითი, ჭუჭყიანი ხელებით და სხვ.

8. ზოგჯერ დააეღლება შეიძლება განვითარდეს აუტონიკაბიით (თვითდასწებობა). მაგ; ენგერობიუსი, ჯუჯა სოლგერი და სხვ.

ბიოტიური კავშირები ცოცხალ ორგანიზმებს შორის

ბიოსფეროში ცოცხალ ორგანიზმებს შორის არსებობს რთული და მრავალფეროვანი ურთიერთდამოკიდებულება. ეს დამოკიდებულება გოპური (სიერციობრივი) და გროფულია (კეებითი). ადამიანი ბიოსფეროს შემადგენელი ნაწილია და ჩართულია ამ სისტემაში და ზოგიერთი ორგანიზმისათვის თაქადაც ბიოგეოცენიზმს შეიძლება წარმოადგენს. ანთროპოგეოცენიზმში, მსგავსად სხვა ბიოგეოცენიზმისა, მყარდება გოპური და გროფული კავშირები, რომელიც საფუძველზე იქმნება ე.წ. სიმბიოტიკური სისტემები, სადაც პარტნიორთა შორის ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით მასში აერთიანებენ სიმბიოტიკური ცხოვრების ისეთ ფორმებს როგორცაა: მღვპურობა, კომენსალიზმი მტაცებლობა და პარაზიტიზმი.

მღვპურობა-ორგანიზმების მხოლოდ გოპური თანაცხოვრების ფორმაა. პარტნიორები ერთმანეთისადმი ისლიფერენტულები არიან. ამ შემთხვევაში სარგებლობს მხოლოდ ერთი პარტნიორი, რომელიც მეორე პარტნიორის ორგანიზმს ან მის საბინადრო გარემოს საარსებოდ იყენებს. ჩვეულებრივ მისი არსებობა მასპინძლისათვის შეუმჩნეველია. მაგ. ადამიანის ნაწლავების მიკროფლორა.

კომენსალიზმი (Commensial-თანამქსუფრე) ორგანიზმთა გოპური და კეებითი კავშირია. ამ ღროს ერთი, ორგანიზმი მეორეს აიძულებს გარემოსთან თავისი ურთიერთობის რეგულაციას, მაგრამ არ შელის მასთან მჭიდრო კონტაქტში. იკვებება მისი ნასუფრალით, ცხოვრობს მასთან და ზიანს არ აყენებს მასპინძელს მაგ; ადამიანის პირის ღრუს ამება.

სიმბიოტიკა-ორგანიზმთა ისეთი თანაცხოვრება. რომელიც სასარგებლოა ამ თანაცხოვრების ყველა წევრისათვის. მაგ. ადამიანის ნაწლავში ცხოვრობს ნაწლავური ბაქტერია ეშერიხია, რომელიც იკვებება ნაწლავს შიგთავსით, იგი თავის მხრივ უბრუნ-

ველყოფს B ვიგამინის სინთეზს, აქვეითებს მუცლის გიფის და ბაქტერიულ ღებნტერიის გამომწვევის აქტივობას. ნებისმიერ ორგანიზმში პარაზიტებთან არსებობენ ზოგიერთი სიმბიოზური ორგანიზმი-სიმბიონტები, რომლებიც ქმნიან სიმბიოცენოზს. სიმბიოცენოზის კომპონენტი შეიძლება იყოს ვირუსი, რიკეტსია, ბაქტერია, სოკო, უმარტივესი, პელმინთი და ფესსახსრიანი

სიმბიოცენოზში ყალიბდება რთული დამოკიდებულება, რომლის დარღვევამ შეიძლება ცალკეული კომპონენტის პათოგენური მოქმედება გააძლიეროს მაგ, ზოგიერთი ანტიბიოტიკი კლავს ან აფერხებს ბაქტერიის გამრავლებას და ხელსაყრელ პირობებს ქმნის სოკოების ან უმარტივესების ინტესიური გამრავლებისათვის. ხშირია შემთხვევა, როდესაც ფართო სპექტრის ანტიბიოტიკებით მკურნალობის პროცესში ირღვევა ნაწლავის მიკროფლორა და ვითარდება ე.წ. წამლისმიერი დისბაქტერიოზი.

პარაზიტებში - ორგანიზმთა კვების (ტროფული) ისეთი ფორმაა, სადაც ერთი ორგანიზმი (პარაზიტი)მეორეს (მასპინძელს) იყენებს, როგორც საარსებო გარემოდ, ასევე საკვების წყაროდ. ამასთანავე ნაწილობრივ ან მთლიანად მასპინძელს აკისრებს მეორად გარემოსთან ურთიერთობის რეგულაციას და ანადგურებს მას, რადგან მასპინძლის დაღუპვა პარაზიტის დაღუპვასაც ნიშნავს.

პარაზიტებში ეკოლოგიური კატეგორიაა, რადგან ხანგრძლივი თანაცხოვრების პროცესში პარაზიტსა და მასპინძელს შორის მყარდება რთული ურთიერთდამოკიდებულება. პარაზიტის მანე მოქმედებას განსაზღვრავს პარაზიტის სახეობა, მასპინძლის ფიზიოლოგიური მდგომარეობა და გარემო მაგ. დამენტერული ამება (*f. minuta*)პათოგენური ხდება გაციების, ავიგამინოზის, დაღლილობის, გადახურების, დიეტის დარღვევის ან სხვ. შემთხვევაში.

ადამიანის (მასპინძლის) ორგანიზმის ცალკეულ ორგანოში ერთდროულად შეიძლება ლოკალიზებული იყოს სხვადასხვა სახეობის პარაზიტების ერთობლივობა, რომელსაც პარაზიტოცენოზი ეწოდება. ეს ტერმინი პირველად ე. პავლოვსკიმ შემოიღო პარაზიტოცენოზი ანთროპოცენოზის შემდგენელი ნაწილია და მისი არსებობისა და განვითარების კანონზომიერებებს ექვემდებარება. პარაზიტოცენოზის წევრებს შორის რთული ურთიერთდამოკიდებულება მყარდება, რის საფუძველზე შეიძლება გაძლიერდეს

ან შესუსტდეს პარაზიტების ერთობლივი უარყოფითი მოქმედება.

დღეისათვის კარგად არის შესწავლილი პელმინთების, უმარტივესების და ბაქტერიების ურთიერთდამოკიდებულება ნაწლავის პარაზიტოცენოზში. მაგ; ლამბლიოზი. ასკარიდებით და ანკილოსტომებით დასნებოვნებულ ადამიანებში 2-4-ჯერ უფრო იშვიათია, ხოლო ჯუჯა და განიერი სოლიგერით დასნებოვნების შემთხვევაში კი პირიქით, იგი 2-3ჯერ უფრო ხშირია, ვიდრე ჯანმრთელებში; ასკარიდოზის ან სხვა პელმინოზის შემთხვევაში დიზენტერია გაცილებით მძიმედ მიმდინარეობს და ცუდად ექვემდებარება მკურნალობას. ასკარიდა ხელსაყრელ პირობებს ქმნის ჯუჯა სოლიგერით დასნებოვნებისათვის; ბეწვთაეას კი პირიქით. პელმინთოზების ფონზე მძიმედ მიმდინარეობს ტუბერკულოზი, ბოტკინი, მუცლის გიფი და სხვ. ინფექციური დაავადებები. ამიგოსმ პარაზიტოცენოზის კომპონენტებს შორის დამოკიდებულების ცოდნა აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული მკურნალობისას.

პარაზიტოცენოზის კომპონენტებს შორის არსებულ შიდასახეობრივი და სახეობათაშორისი დამოკიდებულების ცოდნა თანამედროვე ეკოლოგიური პარაზიტოლოგიის აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. მას შეისწავლის მეცნიერების ცალკე დარგი-პარაზიტოცენოლოგია. იგი პრაქტიკულ დახმარებას უწევს ექიმს. რადგან პარაზიტული დაავადებანი მიკროორგანიზმებისა და ბიოცენოზის სხვა კომპონენტების რთული დამოკიდებულების შედეგად ვითარდება. ამასთანავე, მის განვითარებას ხელს უწყობს შესაბამისი აბიოტური და სოციალური გარემო, რომლის საუქმეველზე იქმნება რთული დინამიური სისტემა „პარაზიტ- მასპინძელი“ ეკოლოგიური პარაზიტოლოგიის მიზანია შეისწავლოს პარაზიტის განსახლება მასპინძლის პოვნა, ურთიერთდამოკიდებულება პარაზიტსა და მასპინძელს შორის ეკოლოგიური პარაზიტოლოგიის ფუძემდებელია: ე. პაელოვსკი, ე. სკრიაბინი, ე. ბეკლემიშევი, ე. ლოგელი, გ. მარუაშვილი და სხვ. პარაზიტისათვის დამახასიათებელია ერთდროულად ორ გარემოში არსებობა. მასპინძლის შინაგან ანუ პირველადი გარემო პარაზიტისათვის დროებით ან მუდმივ საცხოვრებელს და საკვების წყაროს წარმოადგენს, ხოლო მეორეადი გარემოა მასპინძლის გარე სამყარო თავისი ბუნებრივი და სოციალური ფაქტორებით, რომელთანაც პარაზიტის ურთიერთობა რეგულირდება მასპინძლის მეშვეობით. პარაზიტოფაუნის

ფორმირებაზე გაუღენას ახლენს, როგორც პირველი ისე მეორე რიგის გარემო.

პარაზიტიზმი ბიოცეოცენოზში სასარგებლო მოვლენაა, რაც არ შეიძლება ითქვას ადამიანთა საზოგადოების მიმართ. მეცნიერებს შიამნიათ რომ ადამიანის ბიოლოგიური ევოლუციის აღრეულ ეტაპზე პარაზიტიზმი ადამიანთა პოპულაციის ერთ-ერთი მარეგულირებელი ფაქტორი იყო. ცივილიზაციის აღრეულ ეტაპზე ადამიანთა პოპულაციის რაოდენობა პარაზიტიზმით და ეპიდემიებით კონგროლდებოდა. მიწათმოქმედებისა და მრეწველობის განვითარებამ საკვების სიუხვე გამოიწვია, რომელსაც ადამიანთა პოპულაციის გაზრდა მოჰყვა და არსებული სისტემის მდგრადობა დაირღვა. ცივილიზაციის მომდევნო ეტაპზე ადამიანებმა დაიწყეს პარაზიტებისგან დამცავი სამკურნალო და პროფილაქტიკური საშუალების გამოყენება.

პარაზიტიზმი ადამიანთა საზოგადოებისათვის უარყოფითი მოვლენაა. მედიცინის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შესაბამისი პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებების სრულყოფა, პარაზიტიზმის შექანიზმის ადამიანისათვის საზიანო თვისებების მოხსნა.

პარაზიტიზმის მოვლენის შესწავლისას მნიშვნელოვანია მასპინძლის ცნება. მასპინძელი არის ორგანიზმი, რომელიც პარაზიტის სასიცოცხლო ციკლისათვის წარმოადგენს საკვებსა და საარსებო გარემოს. მასპინძელი შეიძლება იყოს ღეფინიგური შუალედური და რეზერვუარი.

ორგანიზმს, რომელშიაც პარაზიტი სქესობრივად მწიფდება ან მრავლდება სქესობრივი ვით საბოლოო ანუ ღეფინიგური მასპინძელი ეწოდება. ორგანიზმს, რომელშიც პარაზიტი, უსქესოდ მრავლდება ან ლავრულ სტადიას გაივლის და ინვაზიურ ფორმად ჩამოყალიბდება შუალედური მასპინძელი ეწოდება. იგი შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე. ერთზე მეტს დამატებითი მასპინძელი ეწოდება. ორგანიზმს, სადაც პარაზიტი ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას, არ ვითარდება, მაგრამ ხელს უწყობს სახეობის გადარჩენას რეზერვუარი ეწოდება.

პარაზიტის მოვიერთი სახეობა სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა პერიოდს სხვადასხვა მასპინძელში გაივლის. ამ მოვლენას მასპინძლის ცვლა ეწოდება მაც; ხარის და ღორის სოლიტე-

რის და სხვ. ლავრული ფორმები ვითარდება ცხოველებში, ხოლო ზრდასრული ფორმები ადამიანში.

პარაზიტის ცირკულაციისათვის ბუნებაში აუცილებელია გადამტანი, რომელიც ხელს უწყობს გამომწვევს სწრაფად გავრცელდეს გეოგრაფიულ გარემოში. არსებობს სპეციფიკური და მექანიკური გადამტანები მაგ. მალარიის პლაზმოდუმიის გადამტანია მღვრი კოლო ანოფელესი. იგი სპეციფიკური გადამტანია.

მექანიკური გადამტანი შეიძლება იყოს ფეხსახსრიანთა ტიპის სხვადასხვა სახეობა ან პირიქით, სხვადასხვა გამომწვევი გადაიტანოს ერთმა სახეობამ. მაგ. ოთახის ბუმს შეუძლია მექანიკურად გაავრცელოს ნ3 სახის პარაზიტული და ინფექციური დაავადების გამომწვევი.

პარაზიტი როდესაც მოხვდება მასპინძლის სხეულში მასზე ახდენს გარკვეულ გავლენას. ეს გავლენა შეიძლება იყოს მექანიკური, გოქსიკური, საკვებითა და ვიტამინებით გაღარიბება, ალერგიული და მიგრაციული.

პარაზიტი ხასიათდება მასპინძელზე ერთდროულად მრავალნაირი პათოგენური მოქმედებით, მაგრამ როგორც წესი არ იწვევს მასპინძლის სიკვდილს, რადგან მისი სიკვდილი პარაზიტის დაღუპვასაც ნიშნავს. ევოლუციის პროცესში სისტემა „პარაზიტი მასპინძელში“ ჩამოყალიბდა რთული ურთიერთშეგუებულობა, რომელიც უზრუნველყოფს ამ სისტემის შედარებით მდგრადობას.

ბანსხვაეხუი გეოგრაფიული არეის საქიფიქური დაავადებები

სამედიცინო კვლევის შედეგად დადგენილია, რომ რიგი დაავადებები გვხვდება მხოლოდ გარკვეულ ბუნებრივ-ეკოლოგიურ პირობებში, გარკვეულ არეალში, რომლის მიმდინარეობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბიოტიური და აბიოტიური ფაქტორები.

დაავადებას, რომელიც გვხვდება მხოლოდ განსაზღვრულ ბუნებრივ ეკოლოგიურ ზონაში ბუნებრივ-კერობრივ დაავადებას ანუ ამა თუ იმ გეოგრაფიული არეალის სფეციფიკურ დაავადებებს უწოდებენ. პირველად ეს დაავადებები გამოკვლეული იქნა ე. პავლოვის მიერ 1939წ.

დაავადებების ბუნებრივ კერად ითვლება ის გერიტორია, სადაც დაავადების გამომწვევს, ბუნებრივ რეზუარს და გადმტანს ადამიანისაგან დამოუკიდებლად აქვს გავრცელების საერთო არეალი და არ გვხვდება მის გარეთ. დაავადებათა ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელია შემდეგი თავისებურებანი:

1. ბუნებაში ცირკულირებენ ადამიანისაგან დამოუკიდებლად;
2. ბუნებრივი რეზერვუარი მხოლოდ გარეული ცხოველია;
3. გავრცელებულია არა ყველგან, არამედ დიდ ან მცირე ზომის შემზღულ გერიტორიაზე-გარკვეულ გეოგრაფიულ ლანდშაფტში, რომელიც დაკავშირებულია ბიოცენოზის გარკვეული კომპონენტების გავრცელების არეალთან.

4. ბუნებრივ კერაში რეზერვუარი და გადამტანი ინტენსიურად არის დასნებოვანებული. მაგ. (ლეიმმანოზის) ბუნებრივ კერაში მღრღნელი 60%-ითაა დასნებოვანებული, გადამტანი - ულებოტომუსი - 3-6%.

5. დაავადებების გამომწვევის გავრცელების ბუნებრივი კერა პოტენციურ საშიშროებას წარმოადგენს ადამიანისათვის, თუ იგი შემთხვევით მოხვდა ამ ადგილებში (მაგ; გეოლოგები, გეოდეზისტები, მეტყვევები, მონადირეები და სხვ).

იმ კერებში, სადაც დაავადების გამომწვევის ცირკულაციაში ჩართულია ადამიანიც ე. პავლოსკიმ ანთროპურული (ადამიანთან დაკავშირებული) კერა უწოდა.

დაავადების ბუნებრივი კერის დადგენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დაავადების ლიკვიდაციისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების გასაგარებლად.

ბუნებრივი-კერობრივი დაავადებისა და აღსანიშნავია ციმბრიული ენცეფალიტი; ჩაგასი, შისტოსომოზი, ყვითელი ცხელება, ვისცერალური ლეიშმანიოზი; დერმატოკროფიული ლეიშმანიოზი, ესპუნდია, ოპისტორქოზი, და სხვ.

განვიხილოთ ზოგიერთი დაავადებები, რომლებიც განსაზღვრული გეოგრაფიული არეალისათვისაა დამახასიათებელი.

ტაივის გამაფხული-მაფხულის ენცეფალიტის ბუნებრივი კერაა ციმბირული ტაივის ტყეები; მისი ბუნებრივი რეზერვუარია აქ გავრცელებული გარეული ცხოველები (ციყვი, კურდღელი, ზღარბი ფრინველები) რომლებსაც ექტოპარაზიტი-იქსოლური ტიპების ენცეფალიტის ვირუსი ერთი ცხოველიდან მეორეზე გადააქვთ.

ესპუნდია-ანუ ბრამილიური ლეიშმანია *Leishmania brasiliensis*. იგი გავრცელებულია სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში. დაავადების გამომწვევის გადამტანია ფლებოტომუსის (*Phlebotomus*-ის) გვარის სხვადასხვა სახეობა. გამომწვევის ბუნებრივი რეზერვუარი ჯერ კიდევ არ არის დადგენილი. მსგავსი დაავადება აღმოჩენილია ძაღლებსა და მღრსელებში. კოლუმბიაში გამომწვევის ძირითად რეზერვუარად თელიან ძაღლებს. როდესაც დაინფიცირებული მოსკიტი უკენს ადამიანს ამ დროს მას უჩნდება მრავლობითი წყლულები ცხვირის ღრუს, პირის ხახისა და ხორხის ლორწოვან გარსებზე, ისინი შლიან რბილ ქსოვილებს და ხრტილებს: მაგ. ცხვირის ძვიდეს, რბილ სასას, ხახას, პარალელურად ხდება ქსოვილების შეზრდა. რამდენიმე დღეში გოგალურად იშლება ცხვირხახის მიდამო, დაავადებულს უძნელდება ცხვირით სუნთქვა, უჭირს ყლაპვა. წყლულებზე სახლდება მიკრობები და ავადმყოფი იღუპება მეორადი ინფექციით.

ტროპიკული ლეიშმანია- (*Leishmania tropica*) იწვევს კანის ლეიშმანიოზს. იგი ლოკალიზებულია ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, ამერიკაში, აფრიკაში შუა აზიასა და ამიერკავკასიაში, საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში. მის რეზერვუარს წარმოადგენს ადამიანი და გარეული ცხოველები (თრია, ბაზუნა, მექვიშია, თაგვებისა და ვირთაგვების ზოგი სახეობა). პარაზიტის გადამტანს წარმოადგენს მოსკიგები.

ტროპიკული ლეიშმანია სხეულის ღია ნაწილებზე იწვევს

ხანგრძლივ შეუხორციებელ წყლულებს, რომლის შეხორციების შემდეგ კანზე კოსმეტიკურად უხეში საწიბური რჩება, რომლის განვითარებას 1 წელი სჭირდება, ამიგომ მას მეწვეულ წყლულებს უწოდებენ.

გამბიური ტრიპანოსომა - *Trypanosoma brucei gambiense* იწვევს ძილის დაავადებას პარაზიტი გავრცელებულია ცენტრალური და დასავლეთ აფრიკის ქვეყნებში (გამბია, კამერუნი, უგანდა ნიგერია, ზაირი, ანგოლა) მის გადამტანს წარმოადგენს ბუზი ცეცე- *Glossina palpalis*. ძირითადი რეზერვუარია ადამიანი, გარეული ცხოველები. (ანტილოპების როლი დღემდე სადავოა); შინაური ცხოველები: თხა, ცხვარი, ღორი შეიძლება დამატებითი რეზერვუარი იყოს.

დაავადება მიმდინარეობს ორ ეტაპად. დასაწყისში ვითარდება არასწორი ტიპის ციებ-ცხელება, გადიდებულია ლიმფური ძარღვები, ადგილი აქვს დაღლილობას, უძილობას, თავის ტკივილს, ფსიქიკის მოშლას, ანემიას, თირკმლების, გულის, ფილტვების დაზიანებით გამოწვეულ სიმპტომებს. მეორე სტადიაში ორგანიზმი უძლურდება, იზრდება ძილისადმი მოთხოვნილება; ავადმყოფობა მთავრდება სიკვდილით. თუმცა დროული მკურნალობის შემთხვევაში ცნობილია გამოჯანმრთელების შემთხვევებიც.

კრუმის ტრიპანოსომა - *Trypanosoma cruzi* იწვევს ჩაგასის დაავადებას. იგი გავრცელებულია სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში: არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა, პანამა, კოლუმბია, სალვადორი, ურუგვაი, ჩილე; პარაზიტის რეზერვუარია ძაღლი, კატა, ღორი და სხვ. შინაური ცხოველი; ბუნებრივ კერებში კი ჯაეშნოსანი, თოქოსუმა, ჭიანჭველჭამია, მელა, მაიმუნი და სხვ. გადამტანია მფრინავი ბაღლინჯო. იგი ადამიანს ღამით კბენს კეჩების, თვალების, ცხვირის არეში. დაავადებით ავადდება ყველა ასაკის ადამიანი, უფრო ხშირად ბავშვები. მიანდება გულ-სისხლძარღვთა, ლიმფური და ნერვული სისტემა, გლუვი კუნთები. იწვევს კონიუქტივიტს, ქუთუთოების, სახის, ლიმფური კვანძების შეშუპებას, გადიდებულია ღვიძლი და ელენთა. ავადმყოფი იღუპება 3-4 კვირის შემდეგ ან დაავადება გადადის ქრონიკულ ფორმაში.

როდეზიული ტრიპანოსომა - *Trypanosoma brucei rhodesiense* იწვევს აფრიკულ ტრიპანოსოზოზს. გავრცელებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის ქვეყნებში. ძირითადი რეზერვუარია გყის ანტილოპა დამატებითი სხვა გარეული ცხოველები. გადამ-

განია გლოსინას გვარის ბუმი. ადამიანი ავადდება დაუსახლებელ ადგილებში, სადაც ბუზებია თუ მოხვდა მონადირეები, გეოლოგები, მშენებლები და სხვ. ზიანდება ადამიანის ორგანიზმის ყველა უჯრედი. ადამიანი კარგავს შრომისუნარიანობას, ზიანდება გულსისხლძარღვთა სისტემა. ადამიანი იღუპება 3-7 თვის განმავლობაში.

ოპისტორქოზი—მას იწვევს კატის ანუ ციმბირული მწოველა (აღწერა ვონოგრადსკიმ 1891 წ.); ციმბირში. მისი ძირითადი მასპინძელია ადამიანი, კატა, ძაღლი, მელა და სხვა ხორციჭამია, ცხოველები, შუალედური I-მტკნარი წყლის მოლუსკი-ბითუნია, 2-კობრისებრთა ოჯახის თევზი (ნაუოგა, კობრი და სხვ).

ადამიანი ავადდება ცუდად მოხარშული ან შემწვარი პარაზიტების შემცველი თევზის მიღებით.

შისტოსომოზი —გავრცელებულია ტროპიკულ და სუბტროპიკულ ქვეყნებში. მათ იწვევს პარაზიტული სისხლის მწოველი ჭიები. დეფინიტიური მასპინძელია ადამიანი და სხვადასხვა ძუძუმწოვარი, შუალედური კი მტკნარი წყლის მოლუსკი.

ცნობილია მისი რამოდენიმე ფორმა. შარდსასქესო სისტემის შისტოსომოზი *Shistosoma Hematobium*; ნაწლავის შისტოსომოზი — *Shistosoma Nansonii*; და იაპონური შისტოსომოზი—ანუ კატაიამას დაავადება *SH. japonicum*.

ბუნებრივ-კერობრივი დაავადების პროფილაქტიკასა და ლიკვიდაციაში უდიდეს როლს ასრულებს ბუნებრივი კერის დადგენა, დაავადების მკურნალობა და გადამტანის განადგურება. ღლეისათვის მთავარ პროფილაქტიკურ ღონისძიებად თელიან რეზერვუარების განადგურებას. ამ ღონისძიებამ ლეიშმანიოზი შეამცირა 90%-დან 0,04%-მდე.

ამრიგად, რიგი დაავადებები ხასიათდებიან განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალში გავრცელებით. რადგანაც ამ დაავადებათა განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ კლიმატურ-ეკოლოგიურ პირობებს, რომელშიაც პარაზიტი არსებობს. ამ პირობების შეცვლისას დაავადების გამომწვევი, გადამტანი და რეზერვუარული მასპინძელი ვერ ეგუება ახალ პირობებს და იღუპება, რასაც ხშირად მიმართავენ დაავადებათა პროფილაქტიკისას.

**ბარემოს აბოტური ფაქტორების ბაველენა
აღამიანის ჯანმრთელობაზე.
მზის რადიაცია და მისი მნიშვნელობა**

გარემოს აბოტური ფაქტორებიდან, რომლებიც ორგანიზმზე მოქმედებენ: აღსანიშნავია სინათლე, ტემპერატურა, ჰაერის, წყლის, ნიადაგის შეღვენილობა და სისუფთავე, გარემოს რადიაქტიულობა და სხვა ფაქტორები.

აგმოსფერო დედამიწასთან ურთიერთობისა და საკუთარ ფიზიკურ-ქიმიური მახევენებლების მიხედვით დაყოფილია: გრო-პოსფეროდ, სუბსტრატოსფეროდ და სტრატოსფეროდ. ჩვენს განედში ეს პირობითი დაყოფა ასე ნაწილდება: გროპოსფერო-7კმ-მდე, სუბსტრატოსფერო 7-12კმ-მდე, სტრატოსფერო 12-კმ-მდე და ზემოთ, შემდეგ იონოსფერო და ვაკუუმსფერო.

აგმოსფეროს ჰაერში მოქმედებს ისეთი ფიზიკური ფაქტორები, რომლებიც მტკიცედ არიან დაკავშირებული აღამიანის ცხოველმყოფელობასა და ჯანმრთელობასთან. ასეთი ფაქტორებია: მზის გამოსხივება, იონიზაცია, ჰაერის ტემპერატურა, მისი ცვალებადობა, ტენიანობა ბარომეტრული წნევა და სხვა.

მზე დედამიწაზე სითბოსა და სინათლის წყაროა, იგი დედამიწაზე სიცოცხლის შენარჩუნების აუცილებელი პირობაა. მზის გამოსხივების წყაროა ატომგულური რეაქცია, რომლის დროსაც თავისუფლდება დიდი რაოდენობით ენერჯია, რომელიც აღწევს ატმოსფეროში. იგი მუდმივი და აუცილებელი სიდიდეა: 1კვ. სმ-ზე 1წთ-ში შეადგენს 1,94 მცირე კალორიას და მას მზის მუდმივას უწოდებენ. ეს სიდიდე მნიშვნელოვნად მერყეობს სხვადასხვა ასტრონომიული მიზმის გავლენით. კერძოდ, სხივური ენერჯია შთანთქმის, არეკვლისა და გაბნევის გამო ჰაეროვან გარემოში გავლის დროს განიცდის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ცვლილებებს. ამის შემდეგ მზის საწყისი სიმძლავრის მხოლოდ 43% აღწევს დედამიწის ზედაპირზე და მომიერ სარტყელში არ აღემატება 1,55კალ სმ²/წთ. მზის მუდმივას ცვალებადობაზე ჰაეროვან გარემოში გავლენას ახდენს წყლის ორთქლი, მტვერი, ჰირის მოლეკულები, მიკროორგანიზმები და სხვ. რომლებიც მეტაქ-ლები რაოდენობით შთანთქავენ ან ფანტავენ მას და ამცირებენ


მის შესაძლებელ ინტენსივობას ანუ დედამიწაზე მიღწევის ძალას.

წლის განმავლობაში პირდაპირი რადიაციის ყველაზე მაღალი მნიშვნელობები აღინიშნება არა ზაფხულში, როცა შუადღებზე ალწევს უმაღლეს წერტილს, არამედ გაზაფხულზე. ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ ზაფხულში ჰაერის გაჭირვებლობა მცირდება ატმოსფეროს მაღალი დამტვევრიანების და მომეტებული გენიანობის გამო.

მზის გამოსხივების სპექტრში გამოიყოფა ბიოლოგიური მოქმედების სამი არე: ულტრაიისფერი, ხილული და ინფრაწითელი. მზის სხივური ენერჯის სპექტრული შემადგენლობა ატმოსფეროს საზღვარზე ასეთია: ულტრაიისფერი სხივები 5%, ხილულ-52%; ინფრაწითელი 43%; (სქემა 11).

ხოლო დედამიწის ზედაპირზე-ულტრაიისფერი სხივები-1%; ხილული 40%; ინფრაწითელი-59%.

ულტრაიისფერი სხივების გალღის სიგრძე 0,290მკმ-ზე ნაკლებია. ეს სხივები ძლიერი ბიოლოგიური მოქმედებით ხასიათდება. იგი დამღუპველად მოქმედებს ყველა ცოცხალ ორგანიზმზე. სიცოცხლე დედამიწაზე შესაძლებელია იმის გამო, რომ ამ გამოსხივების ძალზე მოკლე სხივები შთაინთქმება ოზონის შრის მიერ. (რომლის სიგრძე 55მმ-ია). დედამიწაზე ალწევს მხოლოდ უფრო გრძელი ულტრაიისფერი სხივები 0,300-0,400 მკმ-ის მცირე ნაწილი. მათ მაღალი ქიმიური აქტივობა ახასიათებს და დიდი ღობების შემთხვევაში შეუძლიათ დააზიანონ ცოცხალი უჯრედები. ულტრაიისფერი სხივების მცირე ღობები აუცილებელია ადამიანის ორგანიზმის ცხოველმოქმედებისათვის. ამკამად მეცნიერებს ალელვებთ ის, რომ მაღალი ფრენის ძრავათა გამონაბოლქვი აირები, და ფრეონები უარყოფითად მოქმედებენ ოზონის ფენის მთლიანობაზე და მასზე იწვევენ ხერელების გაჩენას. „ნასას“ 2002 წლის მონაცემებით 25 მილ.კმ²-იანი ოზონის ხერელი ანგარქტიდის თავზე შემცირდა 15კმ-მდე, რასაც ფოტოსინთეზის პროცესის გააქტიურებით ხსნიან. მაგრამ იაპონელი მეტეოროლოგების 2003 წლის 1 სექტემბრის მონაცემებით ოზონის ხერელი კელავ იზრდება და უკვე 25,8მლნ კვ. კმ. მიაღწია, რაც ანგარქტიდის მაგერიკის ფართობს 2-ჯერ ალემატება. მეცნიერთა განმარტებით, ანგარქტიდის თავზე დამცავი საფარის



გამოფიტვის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მკაცრი ზამთარია. დაბალ ტემპურატურაზე ატმოსფეროს ზედა ნაწილში ყინულის კრისტალებისაგან შემდგარი ღრუბელი იქმნება, რომლის ზედა-პირზეც, ქიმიური რეაქციის შედეგად, ოზონის დამშლელი ნივთიერება მიიღება.

ულტრაიისფერი სხივებიდან ბაქტერიოციდულია - 280-200ნმ-ანი სიგრძის ტალღები; ანტირაქიტიული-285-265ნმ-იანი; ერიტემულია - 320-280ნმ-იანი და დამწველი (გამაშავებული) თვისებისაა 300-450მ/მიკრონიანი ტალღები. გაშავენას ნაწილობრივ ხელს უწყობს ხილული, იისფერი და ლურჯი სხივებიც. ვინაიდან ულტრაიისფერი სხივები ბევრი თვისებებით რენტგენის სხივების მსგავსია, გამორიცხული არ არის, რომ მზის სხივების გადაჭარბებულმა მიღებამ კანის კიბო გამოიწვიოს.

ცილოვან მოლეკულაზე ულტრაიისფერი სხივების გავლენით ხდება დენატურაცია და ცილის მოლეკულის კოაგულაცია. რაც ამცირებს მის გამძლეობას ფერმენტების მიმართ. ამ დროს ხდება მაღალაქტიური პროდუქტების ჰისტამინების და ჰისტამინისმაგვარი ნივთიერებების წარმოქმნა. გადადიან რა სისხლში ეს პროდუქტები იწვევენ ნერვული სისტემის გაღიზიანებას რეფლექტორული ვზით. ულტრაიისფერი რადიაცია მოქმედებს კანში არსებულ ნერვულ დაბოლოებებზეც. (სქემა 13).

როგორც აღვნიშნეთ ულტრაიისფერი სხივები მნიშვნელოვანია ჰიგიენური თვალსაზრისით, რადგანაც იგი ბაქტერიოციდული თვისებისაა, ასევე იგი მონაწილეობას ღებულობს მინერალურ ნივთიერებათა Ca-ის და P-ის ცვლაში, როცა სხეულს აკლია ულტრაიისფერი სხივები მაგულობს ფერმენტი ფოსფატაზა, რაც ამცირებს ფოსფორის ათვისებას. ულტრაიისფერი სხივების ანტირაქიტიული ბუნება იმით აიხსნება, რომ იგი ხელს უწყობს კანის ცხიმში არსებული პროვიტამინ დეჰიდრიტგერინების D ვიტამინად გარდაქმნას, ჰისტამინისა და აცეტილქოლინის წარმოქმნას, C ვიტამინის უკეთ ათვისებას და სხვ. (სქემა 12, 14).

აღსანიშნავია, რომ კანის ჰიგმენტაცია, ანუ ნამზეურობა რომელიც გამოიწვევა თიროზინიდან და გოგირდის შემცველი ზოგიერთი ამონინმკავადან (მაგ. მეთიონინიდან) დაკავშირებულია ულტრაიისფერ სხივებთან. ეს სხივები გაშავებული კანის დამცველი ფუნქციის განხორციელებისას ისიცენსიურად შთაინთქმება ეჰიდერ-

მისი ბაბალური შრის მიერ, რითაც მათ ეძლევათ შესაძლებლობა შეაღწიონ ღრმად მდებარე ქსოვილებამდე და ორგანოებამდე. ეს თვისება უფრო მკაფიოდაა გამოხატული შაე კანში, რაც ზოგი ავტორის აზრით ხელს ველარ უმლის მათში რაქიგის განვითარებას.

ულტრაიისფერი სხივებით დნმ-ს დაზიანებისას ერთი ჯაჭვის პირიმიდინის მეზობელ ფუძეებს შორის წარმოიქმნება ღიმერები (უფრო ხშირად თ-თ ღიმერი), დნმ-ს რეპარაციის დარღვევის შემდეგ ადგილი აქვს გენურ დაზიანებებს. (მაგ. პიგმენტური ქსეროლემა).

ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციაში ულტრაიისფერი სხივების აქტიური ჩარევა დამოკიდებულია იმ ქიმიურ ძვრებზე, რომლებსაც ისინი იწვევენ უჯრედებსა და ქსოვილებში. ეს სხივები ფიზიკურად და ქიმიურად მოქმედებს ნერვულ დაბოლოებებზე, მისი უჯრედების სითხეებზე, რითაც იქმნება ნეიროჰუმორული გემოქმედების რეფლექსური წრე, რომლის მეშვეობით ღიზიანდება სიმპათიკურ-ადრენალური სისტემა. ულტრაიისფერი დასხივების მაღალი დოზები იწვევს თვითგრძნობის გაუარესებას, თავის გკივილს, გკიპერაგურის მომაგებას, დერმატიტს (ექსუდაცია, შეშუქება), დამწვრობას, ფოტოოფთალმიას.

ულტრაიისფერი სხივები დადებითად მოქმედებს ორგანიზმის შრომისუნარიანობაზე: აძლიერებს თირკმლებისა და ენდოკრინული ჯირკვლების მოქმედებას, ნივთიერებათა ცვლის პროცესს, იწვევს ზედმეტი ცხიმოვანი ქსოვილის დაშლას, მონაწილეობს პისტამინისა და პისტამინისმაგვარი პროლუქტების წარმოქმნაში, აძლიერებს ორგანიზმის იმუნობიოლოგიურ და დამცველობით ძალებს, გავლენას ახდენს სისხლწარმოქმნის ფუნქციაზეც; ულტრაიისფერმა ძლიერმა გამოსხივებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მხედველობის ორგანოზე (და ფოტოოფთალმია გამოიწვიოს), ასევე იწვევს ცილების დენაგურაციას, ამცირებს ცილების გამძლეობას ფერმენტების მიმართ.

ხილული სხივების გაღლის სიგრძე - 390-760ნმ, მის წილად მოდის ღეღამიწის ზედაპირამდე მიღწეული მზის გამოსხივების ენერჯის დიდი ნაწილი. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმებისათვის. მისი საშუალებით მწვანე მცენარეები ასინთეზირებენ ორგანულ ნივთიერებებს და საკვებსაც ყველა დანარჩენი

ორგანიზმებისათვის. იგი განაპირობებს მხედველობის ორგანოს ფუნქციას. ეს სხივები აძლიერებენ თაეის გენინის ქერქის აქტივობას, დადებითად მოქმედებენ ემოსიურ მდგომარეობაზე, მოქმედებენ ფოტოქიმიურ პროცესებზე, ნიუთიერებათა ცეკლაზე, გულ-სისხლძარღვთა სისტემის ნორმალურ მდგომარეობაზე. ხილული სპექტრის სხვადასხვა ნაწილები განსხვავებული ფიზიოლოგიური მოქმედებისაა, კერძოდ, ნერეულ-ფსიქიკურ სფეროზე. კერძოდ, წითელ სხივებს ახასიათებს ამგზნები მოქმედება, ხოლო იასამნისფერს დამრთგუნავი მოქმედება, ექსპერიმენტით დადგენილია ფერადი (ყვითელი, თეთრი) სინათლის გაკლენა შრომის ნაყოფიერებაზე. ხილულ სხივებს შეუძლია გამოიწვიონ სხვადასხვა ჯირკვლის, ძვლის გენინის ნიუთიერებათა ცელისა და სხვა ბიოლოგიურ ფუნქციათა გაძლიერება.

როდესაც ხილული სხივების არასაკმაო რაოდენობაა იგი უარყოფითად მოქმედებს მხედველობაზე; ასევე უარყოფით გავლენას ახდენს მხედველობის ორგანოზე ძლიერი განათებაც, რაც იწვევს თვალის ფუნქციის დროებით მოშლას, მან შესაძლებელია ბადურის ანთებაც გამოიწვიოს. (სქემა 15).



მზის გამოსხივების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის ინფრაწითელ გამოსხივებაზე. მისი გრძელი ტალღები 1500-2500მმ შთაინთქმება კანის მიერ და იწვევს ქსოვილებისა და სისხლის გათბობას; აღიზიანებს ნერეულ დაბოლოებებს ძლიერი ინტენსივობისას იწვევს წვის შეგრძნებას. მოკლეტალღიანი გამოსხივება 760-1400მმ უფრო ღრმად აღწევს ქსოვილებში. იწვევს მათ თანაბარ გათბობას, შეინიშნება თირკმლების გამომყოფი ფუნქციის გაძლიერება, ცენტრალური ნერეული სისტემის ფუნქციონალური მდგომარეობის შეცვლა, აირთა ცელის ინტესიობის მომაგება.

ინფრაწითელი სხივების მაღალი ინტესიობა ორგანიზმში იწვევს მზის დაკვრას, რაც ჰემისფეროების ქერქის გენინის გარსების გახურების შედეგია, დაზარალებულებს აღენიშნებათ გონების დაბინდვა, კრუნჩხვები, რაც ზოგჯერ შეიძლება სიკედილით დამთავრდეს. ამ სხივების 0,8-1,4 მიკრონიან ფრაქციას ულტრაიისფერი სხივებით შეუძლია გამოიწვიოს ე. წ. პროფესიული კატარაქტა, მზის დაკვრა და სხვ. ამავე სხივებს შეუძლია გამოიწვიოს ბროლისა და რქოვანას დაზიანება. ინფრაწითელი სხივები გამოიყენება


სამედიცინო პრაქტიკაში; იგი წარმოადგენს ტკივილდამაყუჩებელ ფაქტორს და ხელს უწყობს ანთებითი კერების გაწოვას. (სქემა 16).

ბუნებრივი (მზის) სხიური ენერჯია გამოყენებულია კურორტოლოგიაში აეროპელიოთერაპიისათვის, ხოლო ხელოვნური გზით მიღებული სხვადასხვა ინტენსიობის მქონე სხივებს იყენებენ კვარცის ლამპის და სოლუქსის სახით. პირველში - ულტრაიისფერ, მეორეში კი - ხილვად და ინფრაწითელ სხივებს. ამეამად მედიცინაში ფართოდ გამოიყენება ე. წ. ერთეული ლუმინესცენციური ნათურები, რომლებიც იძლევიან 280-380მკმ სიგრძის ტალღის ულტრაიისფერ სხივებს, რაც საშუალებას გვაძლევს ჩავაგაროთ ბაეშეთა კოლექტიური მკურნალობა მასობრივი დასხივებით ან პროფილაქტიკურად დავიცვათ ისინი რაქიგისა და გრიპისაგან: ასეთივე სპეციალური ლამპებით შეიძლება საოპერაციოს ან პალატების პაერის, სამედიცინო პერსონალის ზედა განსაცმლის, წყალსადენის წყლისა და სხვა საგნების დეზინფექციის ჩატარება. სამკურნალო ან პროფილაქტიკური მიზნით ულტრაიისფერი სხივების გამოყენება ე. წ. ფოტარიების სახით. მას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ადგილებში, სადაც კლიმატურ-გეოგრაფიული პირობების გამო მზიანი დღეები ნაკლებია, ან იმ ადგილებში სადაც მზე ვერ აღწევს (შახტებში, მალაროებში მომუშავეებისათვის).


სქემა 12.







ულტრაიისფერი სხივების გავლენა ორგანიზმზე



სქემა 14.







მზის რადიაციის გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის

მზის რადიაციის გავლენა მოსახლეობაზე ჯერ კიდევ არაა სრულყოფილად შესწავლილი. მზის სხივების ნაკლებობისას შეიძლება განვითარდეს ე. წ. სინათლის შიმშილი, ნერვული სისტემის სხვადასხვა სახის ცელილებები, სისხლნაკლებობა, ორგანიზმის წინააღმდეგუნარიანობის დაქვეითება სხვადასხვა ინფექციების მიმართ. ნივთიერებათა ცელის მოშლა და სხე.

სინათლის სხივების ნაკლებობას საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში განიცდიან ბოგიერთი კლიმატური რაიონის მცხოვრებნი. "ულგრაიისფერი ღამე" უფრო დიდი ხნის განმავლობაში გრძელდება პოლარული კლიმაგისათვის.

ადაშიანი, როდესაც დროის უდიდეს ნაწილს შენობაში აგარებს აქ მზის რადიაციის გამოყენების კოეფიციენტი ძალიან დაბალია (0,0003%). უფრო მცირდება მზის სინათლის მინაში გავლის დროს. ამ დროს კავდება სინათლის ნაკადის 35-90%, რაც აიხსნება მინაში რკინისა და გიგანის მინარეების არსებობით. სამრეწველო კვამლიან და აეკოგრანსპორგის ჭარბგამონაცყორციან რაიონებში განათებულობა მცირდება 40-50%-ით გარეუბნებთან შედარებით. ულგრაიისფერი სხივების ნაკლებობის დროს ნაჩვენებია რადიაციის ხელოვნური წყაროების გამოყენება არგონ-ვერცხლისწყალ-კვარცის ან ალუმინესენციური ერთეული ნათურების სახით (სქემა 14).

მიწისქვეშა სამუშაოებზე მომუშავე მუშებისათვის იქნება უოგარიუმები, სადაც ისინი ექვემდებარებიან ხანმოკლე 2-6 წთ დასხივებას. სააეადმყოფოებსა და სანაგორიუმებში და საბაეშო დაწესებულებებში უფრო მიზანშეწონილია მუდმივი ულგრაიისფერი დასხივების სისტემის გამოყენება ერთეულ-ოვიოლური ნათურების საშუალებით. რადიაციის დღიური დოზა არ უნდა აღემატებოდეს ბიოდოზის 1/8-1/10-ს.

მზის აქტიობა პერიოდულად ძლიერდება 7 წლიანი და 11 წლიანი ციკლებით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმებისათვის. სტაგისტიკური მასალების ანალიზით დადგენილი იქნა, რომ მზის მაღალი აქტიობის პერიოდებს ემთხვევოდა სხვადასხვა ეპიდე-

მია (ა. ჩიქეესკი). მაგ. 1965-1968 წწ. გრიპის პანდემია. არ არის გამორიცხული, რომ მზის აქტივობის წლებში ცვლილებებს განიცდის თვითგრიპოზული ვირუსის თვისებები, ასევე ციკლური გარდაქმნები შეიძლება განიცადოს სხვა მიკრობებმა (ლიბენგერიის ჩხირი, ქოლერის ვიბრიონი და სხვ.) მზის მომატებულმა აქტივობამ შეიძლება გავლენა იქონიოს ძელის ტეინზე, ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედებაზე, გულსისხლძარღვთა აპარატის და ორგანიზმის სხვა ფუნქციებზე. ამის შემდეგ იქმნება ლეიკოზების მძიმე ფორმების, მიოკარდის ინფარქტების განვითარების, უსიქიური დაავადების გამწვავების პირობები. ზოგიერთი მეცნიერის დაკვირვებით საავტომობილო კატასტროფები ხშირად ხდება მზეზე ძლიერი აფეთქების მეორე დღეს, რის შედეგადაც შესამჩნევად კლებულობს მძღოლების რეაქცია საგზაო ნიშნებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია პოლონელი მეტეოროლოგების გამოცდილება, რომლებიც ამინდის ცნობებში აღნიშნავენ მზეზე მოსალოდნელი აფეთქების შესახებ და მის გავლენას ადამიანის ორგანიზმზე. (რეულექსების დაგვიანება, დაბნეულობა, დეპრესია).

მზის ინტენსიურ გამოსხივებას უკავშირებენ კანცეროგენების პროცესს, რასაც მოწმობს კანის კიბოთი დაავადების უპირატესი გავრცელება სამხრეთის რაიონებში და მისი ლოკალიზაცია ხელებზე და სახეზე. ე. ი. სხეულის ღია ადგილებზე.


გართულებების თავიდან აცილების მიზნით მზეზე ყოფნის დროს აუცილებელია სიფრთხილის დაცვა, განსაკუთრებით საშიშია მზის რადიაცია ტუბერკულოზით და აეთვისებიანის სამსივნეებით დაავადებულთათვის, რომლებსაც დიდი ღონის დასხივების შემთხვევაში შეიძლება გაუმწვავდეს პათოლოგიური პროცესი. ასევე საჭიროა მოერიდონ მზის რადიაციას გულსისხლძარღვთა სისტემით დაავადებულები და ისინი რომელთაც არა აქვთ მღვრადი ნერვული სისტემა.

ულტრაიისფერ სხივებს განსაზღვრულ დოზებში დადებითი მნიშვნელობა აქვს. ულტრაიისფერ სხივებს ინტენსიურად იყენებენ ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლისათვის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დამტკიცდა ამ სხივების გავლენით ანგისხეულებისა და ავლუგინინების წარმოქმნის ინტენსივობა და ორგანიზმისათვის იმუნობიოლოგიური ძალების გაძლიერება. დადგენილია, რომ ულტრაიისფერი სხივების გარკვეული დოზების მოქმედებით მა-

გულობს სისხლში ერითროციტებისა და ჰემოგლობინის რაოდენობა. მცირე დოზებს ასევე მასტიმულირებელი გავლენა აქვს სისხლის რეგენერაციულ თვისებებზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ანემიებისა და სისხლის დიდი რაოდენობით დაკარგვის დროს. შენიშნულია, რომ ულტრრაიისფერი სხივების გავლენით სისხლში კლებულობს შაქრის რაოდენობა, როგორც დიაბეტიანებში. ისე ჯანმრთელებში, ძლიერდება ცილოვან ნივთიერებათა ცვლა, რაც დადებით გავლენას ახდენს პოდაგრით დააეადებულებზე. სინათლით მკურნალობისას ადგილი აქვს პერიფერიული სისხლძარღვების გაფართოებას, რაც აქვეითებს სისხლის წნევას; რაც აიხსნება სხივური ენერჯის მომადუნებელი გავლენით სიმპათიკური ნერვული სისტემის ტონუსზე.

ულტრრაიისფერი სხივების მოქმედებით მაგულობს კუჭის წყენის მკაეიანობა, მაგრამ დიდი დოზებისას ადგილი აქვს კუჭის ნორმალური ფუნქციონირების დარღვევას. ულტრრაიისფერი სხივების გარკვეულ დოზებს იყენებენ კანის დააეადებების, ძელების, სახსრების, გროფიკული წყლულების, ოსტეომიელიტის, ნევრალგიების, ნევრიტების, მიოზიტების, კრუპოზული პნეემონიის, წითელი ქარისა და სხვ. დააეადებათა სამკურნალოდ. ამ დააეადებებისათვის ნაჩვენებია ულტრრაიისფერი სხივების ადგილობრივი დასხივება განსაზღვრული დოზებით. ულტრრაიისფერი სხივების ნაკლებობისას ბავშვებში ვითარდება რაქიტი, სისხლში ფოსფატამის მაღალი დონე მოზრდილებში ფოსფორ-კალციუმის ცვლის მოშლა, ოსტეოპოროზი, მოგეხილობისას ძელის ცუდი შეხორცება, კბილის ემალის დაშლა, სახსრების მყესოვანი აპარატის სისუსტე და სხვ. (სქემა 7).

მზის გამოსხივების გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე



ჰაერის იონიზაცია

მეცნიერთა მიერ დამტკიცებულია, რომ ჰაერის ელექტრული მდგომარეობა, ანუ იონიზაცია გარკვეულ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე (მაგ: პიპერტონიაზე, რევმატიზმზე, ბაზელის დაავადებაზე, ბრონქულ ასთმაზე და სხვ). ჰაერში არსებულმა იონებმა შეიძლება იმოქმედოს ადამიანზე როგორც კანის, ისე სასუნთქი გზების საშუალებით, ე. ი. სისხლის საშუალებით და ნერვულ-რეფლექსური გზით; დამუხტვის მიხედვით შეიძლება გამოიწვიოს ტალღის შემსუბუქება და თვითშეგრძნების გაუმჯობესება ან პირიქით.

აგმოსფერო მუდამ შეიცავს როგორც დადებითად, ისე უარყოფითად დამუხტულ სხვადასხვა იონებს: O_3 , CO_2 , N_2 , H_2O და სხვ.)

გროპოსფეროში აღმოჩენილ იონებს ყოფენ მსუბუქ და მძიმე იონებად. გამოირკება, რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე სასურველად მოქმედებს მხოლოდ მსუბუქი იონები, ამიტომ ამა თუ იმ ადგილ-სამყოფელის იონური გარემო მით უფრო სასურველია რაც უფრო მეტია მასში მსუბუქი იონები.

აგმოსფეროში ხდება იონების მუდმივი გადაადგილება, რაც განაპირობებს მის ელექტროვალენტობას. იონების წარმოქმნის პროცესი აისახება რადიაციული ელემენტების, ელექტრონული განმუხტვების, ულტრაიისფერი და კოსმოსური სხივების გავლენით. აღნიშნული ქმედებების დროს მოლეკულებისა და ატომებისაგან წყდება ერთი ან რამდენიმე ელექტრონი, რომლებიც უერთდებიან ნეიგრალურ აიროვან ნაწილაკებს და წარმოქმნიან უარყოფით მსუბუქ იონებს. მგერის ნაწილაკებზე და წყლის წვეთებზე ამ მსუბუქი იონების აღსორბთვის შედეგად წარმოიქმნება მძიმე იონები. ახლად წარმოქმნილი ელექტრონ-იონები ანუ უარყოფითი იონები მსუბუქი იონები, როგორც აღვნიშნეთ მგვერთან, წყლის ორთქლიდან რომელიმე აეროზოლთან შეხებისას ძალიან ადვილად ეკერის მათ, ამით კარგავენ მსუბუქი მოძრაობის უნარს, დამუხტვით გადაიქცევა ე. წ. მძიმე იონებად. მსუბუქი იონი „ცოცხლობს“ რამდენიმე წამი ან წუთი, მძიმე კი 30-40 წთ. 1კუბ. სმ. სუფთა ჰაერში მსუბუქი იონები 1000-4000მ-დეა, მგვერთან ჰაერში კი მათი რაოდენობა 100-ჯერ ნაკლებია, სამაგიეროდ გამრდილია მძიმე იონების რაოდენობა (სიჭარბეს ხელს უწყობს დადებით იონთა დიდი გამძლეობაც). განსაკუთრებით მცირე რაოდენობითაა მსუბუქი იონები საპირფარე-

მოებსა და ადამიანთა თავშეყრის ადგილებში, საკლასო ოთახებში, აუდიტორიებში და სხვ. ამოსუნთქულ ჰაერში კი თითქმის აღარაა არცერთი უარყოფითი იონი. დაღებიითი იონები იწვევენ ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის გაუარესებას-ძილიანობას, ღებრესიას. შრომისუნარიანობის დაქვეითებას და არგერიული წნევის მომაგებას.

რადგანაც იონიზაციას სამედიცინო მნიშვნელობა აქვს, მეცნიერებმა შექმნეს ხელოვნური დამაიონიბებელი სხეადასხვა ტიპის ხელსაწყო. პირველი ასეთი ხელსაწყო შექმნა ბენციერმა ეერიგომ, მაგრამ მას ჰქონდა ნაკლოვანება გამოყოფდა გამაქეანტებს და რადონს, ამიტომ იგი მალე შეიცვალა უფრო საიმელო სერპუხოვის პიდროიონიზატორით.

იონიზაციის დიდი მოცულობის დანაღვარები ჩართულია შენობათა ჰაერის საკონდიციო რთულ სისტემაში.


აგმოსფეროს იონიზაციაზე გავლენას ახდენს ულტრაიისფერი სხივების განსამღერული გაღლის სიგრძე, ოზონი და რადიოაქტიული ნიეთიერებები, წელიწადის დრო, ამინდი და სხვ.

იონიზაცია მაგულობს ბაფხულობით, საერთოდ კი კარგ ამინდში (მათ შორის მზეზე ამოფრქვევების (აფეთქებების) დროსაც). რადგან რადიოაქტიული ნიეთიერებები ნიადაგში უფრო მეტია, ვიდრე ზღვის წყალში, ხმელეთის ჰაერის იონიზაცია ყოველთვის აღემატება ზღვის ჰაერისას. ასევე სჭარბობს მთის ჰაერის იონიზაცია ბარისას, რადგან სიმაღლეზე ჰაერის სიწმინდის გამო ვაცილებით მეტი დამაიონებელი ულტრაიისფერი სხივები ხედება, გარდა ამისა, წნევის დაქვეითებით იქ უფრო გაადვილებულია ჰაერის იონებად დაშლა. ჰაერის ხელოვნური დაიონება ხდება ეოლგას რკალის პრინციპზე მომუშავე ხელსაწყოებზეც, რენტგენისა და რადიუმაპარაგურაზე ან საერთოდ აგომურ მასალაზე მუშაობის დროსაც (ერთი წყვილი ელექტრონ-იონის გაჩენას უნდა 34 ელექტრონ-ვოლტი ენერჯია), ამიტომ ჰაერის კომპლექსურ შეფასებაში აუცილებელია იონიზაციის ფაქტორის გათვალისწინებაც. ჰაერის იონიზაციის ხარისხის გამოსაკვლევეად არსებობს გვერსკის, რეინეგისა და კურსკის იონმთელელები. დადგენილია, რომ საოჯახო გაბჭურის ირგვლივ მხოლოდ პლუს იონები იყრის თავს. იონიზაციის ხარისხი იცვლება გეოგრაფიულ და გეოლოგიურ პირობებთან, ამინდთან გარემოს რადიოაქტიურობასთან და გაბინძურებასთან დაკავშირებით მაგ, თუ საკურორტო ადგილებში 1მლ ჰაერი შეიცავს 2000-3000 მსუბუქ იონს, სამრეწველო ქალაქებში მათი რაოდენობა მცირდება 40-მდე. იგივე აღინიშნება საცხოვრებლ და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში, რადგან ამოსუნთქული ჰაერი „მკვდარ ჰაერად“ ითვლება იონები, როგორც აღვნიშნე.






გარკვეულ გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. კერძოდ, ქსოვილოვანი სუნთქვის პროცესებზე, ცნს-ის ფუნქციურ მდგომარეობაზე. იონებიდან მსუბუქი იონები იწვევს დაღლილობას ორგანიზმის ზოგადი ტონუსის დაქვეითებას. რაც შეეხება დადებით იონებს, იგი იწვევს ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის გაუარესებას. ძილიანობას, დეპრესიას, შრომის უნარის დაქვეითებას, არტერიული წნევის მომატებასა და სხვ. (სქემა 18ა).

ამრიგად, ჰაერის იონიზაცია ითვლება ჰაეროვანი გარემოს მნიშვნელოვან მაჩვენებლად, რომელიც გარკვეულ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ორგანიზმის ფუნქციურ მდგომარეობაზე, შრომისუნარიანობაზე, არტერიულ წნევასა და სხვა სასიცოცხლო პარამეტრებზე.

სქემა 18ა



სქემა 18.



ჰაერის ტემპერატურა

ადამიანი თბილისისხლიანი (ჰომოიოთერმული) არსებაა, მისი სხეულის ტემპერატურა მუდმივია და შედარებით უმნიშვნელოდ იცვლება ვარემოს ტემპერატურის შესაბამისად. ადამიანის სხეულის ტემპერატურის შენარჩუნებას უზრუნველყოფს მოგრძო გვიანი-ჰიპოთალამუსის არე, რომელსაც კავშირი აქვს სითბოს ქიმიურ რეგულატორთან — ფარისებრ ჯირკვალთან.

გამთბარი ჰაერი ბუნებრივად გალღისებურად ადის მაღლა, რასაც სითბოს კონვექციურ გავრცელებას უწოდებენ.

დედამიწის ირგვლივ ატმოსფეროს ტემპერატურის ცვალებადობაზე გავლენას ახდენს ზედაპირული წყლები (ოკეანეები, მღეები, ტბები, მდინარეები), მცენარეულობა, გეოგრაფიული მდებარეობა ქარების სისშირე, მიმართულება და სხვ. ტემპერატურის დღეღამურ მრულს აქვს მაქსიმუმი, რომელიც აღინიშნება 14-15 სთ-ს შორის და მინიმუმი, რომელიც აღინიშნება მზის ამოსვლის წინ. მათ შორის სხვაობას ეწოდება დღეღამური ამპლიტუდა. მისი ყველაზე დიდი სიდიდე აღინიშნება ტროპიკულ უდაბნოებში, ყველაზე მცირე პოლარულ ზონაში. ტროპოსფეროს ტემპერატურა დედამიწის ზედაპირიდან დაშორებასთან ერთად მცირდება. ამ მოუღენას ვერტიკალური ტემპერატურული გრადიენტი ეწოდება და ზომიერ სარტყელში უდრის $0,6^{\circ}$ ყოველ 100მ სიმაღლეზე ასვლასთან დაკავშირებით. იგი კლებულობს. ამის შედეგად სტრატოსფეროს საზღვარზე ტემპერატურა უდრის -56°C -ს.

იონოსფეროში და ეკზოსფეროში ტემპერატურა მკვეთრად მაგვულობს. 250კმ-ზე იგი 1200°C -ს უდრის.

სასიცოცხლო პროცესების ნორმალური მსვლელობისათვის აუცილებელია ტემპერატურული მუდმივა, რომლის დარღვევისას შესაძლებელია მძიმე, ზოგჯერ შეუქცევადი ცვლილებების განვითარება. ვარემოს ტემპერატურა აღიზიანებს კანის რეცეპტორებს, რომელიც გადაეცემა თავის გვინის შესაბამის ცენტრებს. ტემპერატურის ცვლილება განაპირობებს სუნთქვის სიღრმეს და სისშირეს, სისხლის მიმოქცევის სიჩქარეს ნივთიერებათა ცვლის თავისებურებებს. ტემპერატურის ვაცემის დროს შეიძლება მოხდეს ვადაციება. ზოგჯერ იწვევს ქსოვილების ტროფიკის დარღვევას,

ვითარება ნევრიტები, მიოზიტები, ორგანიზმის რეზისტენტობის დაქვეითება, რაც ხელს უწყობს ინფექციური და არაინფექციური პათოლოგიების განვითარებას.


ვარემოს ჰაერის მაღალი ტემპერატურა ხელს უშლის ორგანიზმს დაკარგოს სითბური კალორიები, რომლებიც ნივთიერებათა ცვლისას წარმოიქმნება და საჭიროებს გაფანტვას, რის შედეგადაც შეიძლება მოხდეს ორგანიზმის გადასურება, ჰიპერთერმია. მსუბუქი ფორმისას ტემპერატურა მაგულობს 38-39°C-მდე, რომელსაც თან ახლავს კულისა და სუნთქვის გახშირება, თავის ტკივილი, სისუსტე და სხვ. მძიმე ფორმისას აღინიშნება ტემპერატურის მომატება 40-42°C-მდე. ამ დროს ცელილებები ხდება სისხლის შედგენილობაში, ხდება გონების დაკარგვა. ტეტანური კრიზები და ვითარდება თბური დაკერა, რომელიც შეიძლება დასრულდეს უეცარი კომატოზური მდგომარეობით და სიკვდილით. (სქემა 19).

დასაკარგი კალორიების 85% გაიცემა კანის გზით; 10% ხმარდება მიღებული საკვების გათბობა-გადაუმუშავებას და ნივთიერებათა ცვლის პროდუქტების გამოდევნას ორგანიზმიდან, 5% ხმარდება შესუნთქული ჰაერის გათბობას. როგორც ავლნიშნეთ, სხეულიდან სითბოს გადაცემაში მთავარი ადგილი უჭირავს კანს (85%). კანის მეშვეობით სითბოს დანაკარგი შეიძლება დაიყოს 3 ჯგუფად:

1. კანის მეშვეობით სითბოს დანაკარგის 44% მოდის სითბოს დაკარგვაზე შეხების გარეშე. მასში იგულისხმება სითბო გადაცემა ორგანიზმიდან მოშორებით მდებარე ისეთ საგნებზე, რომელთა ტემპერატურა ორგანიზმთან შედარებით უფრო ნაკლებია მაგ., კედლები, რადიატორი და სხვ.

2. კანის მეშვეობით გამოყოფილი სითბოდან 31% იკარგება გატარების საშუალებით. გატარებით სითბოს დაკარგვა ნიშნავს სითბოს გადაცემას ისეთ საგნებზე, რომლებიც უშუალოდ ეხებიან სხეულს და აქვთ მასზე დაბალი ტემპერატურა. მაგ., სკამი ჯდომისას; ამავე გზით გვართმევს სითბოს ბინის ჰაერიც (1კუბ. მ. ჰაერის 1°-ზე გათბობისათვის საჭიროა 0,3 ღიდი კალორია.)

3. დანარჩენი სითბოს 25%-ს კანი კარგავს აორთქლების საშუალებით, რომელიც კანის ზედაპირზე არსებული საოფლე ჯირკვლებისა და ასევე ლორწოვანი გარსებიდან ხორციელდება. უნდა აღინიშნოს, რომ 1გ. წყლის აორთქლებისათვის საჭიროა 600



მცირე კალორია სითბო;

ვარემოს მაღალი ტემპერატურა, რომელიც შესაძლოა გადაიგანოს ადამიანმა რამოდენიმე წუთის განმავლობაში 100-170°C. მშრალი ჰაეის დროს ადამიანი შედარებით იოლად იგანს 50-60°სითბოს, განსაზღვრული დროის განმავლობაში შეიძლება 100°საც გაუძლოს. ორთქლით გაქლენთილი და სველი ჰაერის პირობებში კი მაღალი ტემპერატურის შეგუება გაძნელებულია, რის გამოც ორგანიზმის ტემპერატურა მაგულობს და აღწევს 38-39°C და მეტ გრადუსამდე.

უღაბლეს ტემპერატურას, რომლის დროსაც შეიძლება გაყინული ადამიანის გამოცოცხლება შესაძლებელია იმ შემთხვევაში. თუ სხეულის ტემპერატურა 20°-ზე ნაკლები არ არის. ამ ტემპერატურას ექიმები ოპერაციის ჰიპოთერმულ (25-22 გრადუსი) პირობებში ჩატარებისათვის იყენებენ.

მაღალი ტემპერატურა საგრძნობ ვაქლენას ახდენს პირველ რიგში სისხლის მიმოქცევის ორგანოებზე და წყლის უხეად მიღების დროს კუჭნაწლაებზე (შეიძლება განვითარდეს დისპეფსია და აქილიაც კი).

ადამიანი განსაზღვრულ დროში ეჩვევა მაღალ ტემპერატურას (50-70°), მაგ; ფინურ აბანოებში, რომლითაც სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ შეჩეულ და ჯანმრთელ ადამიანებს. ცხელ პირობებში მუშაობისას ადამიანმა შეიძლება დაკარგოს 5-ნლ. წყალი და საჭირო მარილები, განსაკუთრებით კი ნატრიუმქლორი (NaCl). (უხეად დაკარგული წყლის მაგიერ ადამიანი წყურვილის დასაკმაყოფილებად სვამს ბეერ წყალს რაც იწვევს კუჭნაწლაეისა და თირკმელების გადატვირთვას. თუ ადამიანმა დაკარგა 3კგ-ზე მეტი წყალი, საჭიროა ნატრიუმქლორიდის 0,5-1%-იანი ხსნარით მომარაგება, რომელიც გაქლენთილია ნახშირმეკავას ანჰიდრიდით (Co₂), მასში უნდა დაემაგოს ვიტამინები, უმთავრესად B₁ ასევე C.

პეკერს მიაჩნია, რომ მაღალი ტემპერატურა შეიძლება გახდეს პირის დრუს ზოგიერთი დაეადების განვითარება-გართულების ხელშემწყობი. მაგ; გინგივიტის, პიორეის, რომლის მიზეზი მაღალი t°-ის ვაქლენით ნერწყვის გასქელებაა, რომლის დროსაც მუცინი აწებებს აქ არსებულ Ca-ის მარილებს, რაც ხელს უწყობს ქეების განვითარებას. ატმოსფერულ ტემპერატურასთან დაკავშირებულია სითბური დაკერაც, რომელიც შეიძლება მოხდეს უმზე-

ოდ. მზის დაკერისგან განსხვავებით მას იწვევს მაღალი ტენიანობა, ჰაერის უძრაობა, სხეულის ზედმეტი ფიზიკური გადატვირთვა და სხვ. იმისათვის, რომ ადამიანი თაყიდან აიშოროს სითბური დაკვრა დაწესებულია ტემპერატურული რეჟიმის განსაზღვრული ნორმები, მგ., საცხოვრებელ ბინებში უნდა იყოს 18-20°C. საძინებელ ოთახებში 1-2°C-ით ნაკლები, სკოლებში 16-18°C. სააეადმყოფოების საწოლ პალატებში 20-22°C, სამშობიაროებსა და საოპერაციოებში 26°C და სხვ. ამავე დროს საჭიროა, რომ ტემპერატურული მრუდი ბინაში არ უნდა ცვალებადობდეს არაუმეტეს 3⁰-ზე მეტად. ტემპერატურის საზომ ხელსაწყოებს ღვაშენ იატაკიდან 1,5, ხოლო კედლიდან 1მ. დაშორებით.

ჰაერის სინოტივი (ტენიანობა)

ჰაერის სინოტივე ანუ ტენიანობა უშუალო გავლენას ახდენს ადამიანის სხეულის თბორეგულაციაზე.

ჰაერის ტენიანობა გამოიხატება შემდეგი ძირითადი ცნებებით: აბსოლუტური ანუ აუცილებელი ტენიანობა, მაქსიმალური ტენიანობა და ფარდობითი ტენიანობა. ტენიანობის გამოშვება ხდება ჰიგრომეტრით. გახანგრძლივებული დაკვირვებისთვის იყენებენ საათის მექანიზმიან ჩამწერ ხელსაწყოს- ჰიგროგრაფს.

აბსოლუტური, ანუ ჰაერის აუცილებელი, განუყრელი ტენიანობა წყლის ორთქლის ის რაოდენობაა (გამოსატეული გრამებით), რომელიც მოიპოვება 1 კუბ. მეტრ ჰაერში დაკვირვების პერიოდში. ამა თუ იმ ადგილზე არსებული ტემპერატურის, ჰაერის მოძრაობისა და ბარომეტრული წნევის დროს მისი რაოდენობა სხვადასხვა ქვეყნისა და მხარისათვის სხვადასხვაგვარია, რაც დამოკიდებულია მათ საშუალო წლიურ ტემპერატურაზე, გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ღია წყალსატეკებთან სიახლოვეზე და სხვ. პირობებზე. მაგ; აბსოლუტური ტენიანობა მეტია ეკვატორისაკენ და ნაკლებია პოლუსებისაკენ. (სქემა 20).

დედამიწის ზედაპირზე არ არსებობს ისეთი ადგილი, სადაც 3 აერში ამა თუ იმ რაოდენობით არ იყოს აბსოლუტური ტენიანობა, მაგ; ლონდონისათვის ის საშუალოდ 9გ-ია კუბ. მეტრებში; ბერლინისათვის-6, ლენინგრადისათვის-5; თბილისისათვის-7,4; ბათუმისათვის-10,3 და ა.შ.

ტენიანობა მეტია უმთავრესად ატმოსფეროს დაბალ ფენებში. მაგ., 2000მ. სიმაღლემდე შეკავშირებულია ტენის 50%, ამის შემდეგ მისი შემცველობა თანდათან მცირდება და ცივ სტრატოსფეროში 3-4%-ს არ აღემატება. ამა თუ იმ გეოგრაფიული ადგილიდან იქ. სადაც უფრო მაღალია საშუალო ტემპერატურა, უფრო მეტი აბსოლუტური ტენიანობაა მოსალოდნელი. აბსოლუტური ტენიანობა ერთსა და იმავე ადგილზე მეტია ზაფხულში და ღღისით, ნაკლებია ზამთრობით და ღამით.

მაქსიმალური ტენიანობა - ეწოდება წყლის ორთქლით ჰაერის საბოლოო გაქვნივას წყლის წვეთების გამოჩენამდე, ანუ წყლის ორთქლის იმ რაოდენობას გამოხატულს გრამობით, რო-

მელიც საჭიროა 1კუბ. მ. ჰაერის გასაქვლენტად არსებული ტემპერატურისა და წნეის პირობებში.

ასეთ მაქსიმალურად გაქვლენილ ჰაერს ესლებით აგმოსფეროში წვიმის ან დილის ნამის წარმოქმნისას. ასევე სამრეცხაოებში, აბანოებში. 0°-ზე 1კუბ. მ. ჰაერის მაქსიმალური ტენიანობა მხოლოდ 4,874გ-ს უდრის, იმ დროს, როცა ამავე მოცულობის ჰაერისათვის 20°-ზე 17,164გ-მდე აღწევს.


ფარდობითი ტენიანობა - აბსოლუტური ტენიანობის შეფარდებაა მაქსიმალურ ტენიანობასთან, გამოხატული პროცენტობით.

განხილულ ტენიანობათა შორის ადამიანის ორგანიზმზე გემოქმედების მიხედვით ყველაზე მნიშვნელოვანია ფარდობითი ტენიანობა. ჰაერის დატვირთვა ამა თუ იმ რაოდენობის წყლის ორთქლით ხელს უმლის აორთქლებას ე.ი. ამყირებს გავრილების შესაძლებლობას. სითბოს დაკარგვის ამ გზის მოსპობას, ან შეპყრებას შეუძლია ხელი შეუწყოს სხეულის გადახურებას, ამიგომ არსებობს ჰიგიენური ნორმები, რომლებიც განსაზღვრვენ ტენიანობის სასურველობის ფარგლებს ადამიანის ორგანიზმისათვის. ფარდობითი ტენიანობის ნორმად მიღებულია მისი ცვალებადობა 30%-დან 60%-მდე.

ფარდობითი ტენიანობის მომატება დამოკიდებულია მეტეოროლოგიურ პირობებზე, მომატებულ ტემპერატურაზე (30-40°C) და სხვ. ფარდობითი ტენიანობის მომატებას ცივ ამინდში შეუძლია გამოიწვიოს ორგანიზმის გადაციება მაღალი ტემპერატურისას კი ორგანიზმის გადახურება.

ჰაერის სიმშრალეს, მაღალ ტემპერატურას და ძლიერ ქარს შეუძლია ორგანიზმის გაუწყლოება, ლორწოვანი გარსების გამოშრობა, დასკდომა, წყურვილის ძლიერი გრძნობა და სხვ. (სქემა 20).

ჰაერის ტენიანობასთანაა დაკავშირებული აგმოსფერული ნალექები: წვიმა, თოვლი და სხვ. რომლებიც დადებით გავლენას ახდენს ჰაერის გაწმენდაზე, მიკროორგანიზმების, მგერისა და აეროზოლისგან. ძლიერი წვიმების დროს მოსალოდნელია მიწისქვეშა წყლების დონის ამაღლება, ამის შედეგად ნიადაგის ზედა ფენებიდან სიბინძურის გამოლექვა ეპიდემიურ საშიშროებას ქმნის წყალსადენების, ჭებისა და წყაროებისათვის. ჰაერის ტენიანობა გავლენას ახდენს აგრეთვე როგორც ჰაერში, ისე ნიადაგში ამა თუ იმ ბაქტერიული ფლორისა და ჭიის კვერცხების გამძლეობაზე, ნიადაგში მოხვედრილი გაბინძურებული მასალის ლპობის დაჩქარება-შენელებაზე ანუ მის მინერალიზაციაზე და სხვ.



ატმოსფერული წნევა

ატმოსფერული წნევის ცვალებადობა ადამიანის ორგანიზმში იწვევს ფიზიოლოგიურ და ბიოქიმიურ ცვლილებებს. ატმოსფერული წნევის ცვლილებას ჯანმრთელი ადამიანები ვერ ამჩნევენ, მაგრამ აეაღმყოფი ადამიანებისათვის ატმოსფერული წნევის მცირეოდენი ცვლილებაც კი საგრძნობია. ამ დროს მათი მდგომარეობა უარესდება, მძიმდება ძირითადი დაავადებების მიმდინარეობაც (ჰიპერტონული სნეულება, ათეროსკლეროზი, ნევრასთენია).

წნევის დაცემა აქვეითებს კუჭის წნევის გამოყოფის ინტენსივობას (რეფლექსურად გვინის ანემიის შედეგია). ქვეითდება სისხლის წნევა, ხოლო ციკლონების შემთხვევაში სისხლის წნევა აუცილებლად მაგულობს. შენიშნულია, რომ მთის ე.ი. უფრო დაბალი წნევის პირობებში მცხოვრებთა ორგანიზმი უშუალოდ ვერ ეგუება დაბლობში ცხოვრებას, პირიქით დაბლობში მცხოვრებთა ორგანიზმი მთაში ყოფნას. ამიგომ საჭიროა შეჩვევა ანუ აკლიმატიზაცია.

ზოგჯერ წნევის ფაქტორს მედიცინა სპეციალურად იყენებს ამა თუ იმ დაავადების დროს. მაგ., გვინში სისხლის ჩაქცევისას გამოყენებულია ე.წ. ბაროკამერებით მკურნალობა, ხოლო ემფიზემითა და ასთმით დაავადებულთათვის დაბალი ატმოსფერული წნევის მქონე ადგილები.

შემჩნეულია, რომ წნევის დაცემა რეემატიზმშიანებში იწვევს ტკივილის გამწვავებას, ხოლო გულ-სისხლძარღვთა სისტემით დაავადებულთა ორგანიზმში თვითშეგრძნების გაუარესებას.

ატმოსფერული წნევის ფაქტორს ითვალისწინებენ ავიაციაში, კოსმონავტიკაში, წყალქვეშა ნაოსნობაში, ელექტროშედულებაში წყალქვეშ კესონეს სამუშაოებისას, (წყალში ხიდების ბურჯების ამოყვანა), საკურორტო საქმეში, მთამსვლელობისას, გურიზმისა და სხვ. დროს. (სქემა 21).

დაბალი ატმოსფერული წნევის პირობებში ვითარდება ე.წ. სიმაღლის დაავადება, ანუ მთის დაავადება. მას იწვევს არა მარტო ატმოსფერული წნევის შემცირება, არამედ ჰაერის გაიშვიათების გამო ეანგზადის თვალსაჩინოდ შემცირება, რის შედეგადაც ეცემა

მისი პარციალური წნევა, ქვეყნდება სისხლის პემოგლობინით გაელენტა და ვითარება ე.წ. ჰიპოქსიის მოელენტები. თაებრუხევეა, გულსრევა, მაჯის აჩქარება, სუნთქვის აჩქარება, სისუსტე კუნთებში, ტრემორი, ატაქსია, სმენის დაქვეითება, მხედველობის მოშლა, ჰალუცინაციები, დეპრესია, ყურადლების მოდუნება, ძილიანობა და სხვ. რასაც შეიძლება მოჰყვეს კომატოური მდგომარეობა ლეგალური გამოსაეალი, სუნთქვის ცენტრის დამბლის გამო.

მთის პირობებში შინაგანი წნევა სჭარბობს გარეგანს, რაც ხელს უწყობს სისხლის დენის განვითარებას, უმეტესად ცხვირიდან, მოგ შემთხვევაში კი ლორწოვანი გარსის სხეა ორგანობიდანაც. ასეთ მოელენტებს უნდა მოველოდეთ მღვის დონიდან 3-4კმ-ის მვეით.

სისხლის დენას შეიძლება ხელს უწყობდეს ისიც, რომ მაღალ ადგილებში, ტენიანობის სიმცირისა და ნაწილობრივ დაბალი წნევის გამო ინტენსიური აორთქლების შედეგად გამომშრალი ლორწოვანი გარსები თითქმის გამსმარია და სულ მცირე მექანიკურმა მემოქმედებამ (მაგ, ცხვირის მოწმენდამ) შეიძლება გამოიწვიოს სისხლდენა.

სიმაღლესთან დაკავშირებით ფიზიკური მიმეზების გამო კუჭში არსებული აირები ფართოედება, რაც ბერავს მუცელს, მაღლა იწვევს დიაფრაგმა, მცირდება ფილტვების საექკურსიო სიერცე და ჰაერში ეანგბადის შემცირებასთან ერთად ხშირდება სუნთქვა.

საწინააღმდეგო მოელენტებია წნევის აწევის დროს ყოველ 10,3მ-ზე სიღრმეში წნევა იზრდება 1 აგმოსფეროთი. 20მ. სიღრმეზე წყალქვემა მუშაობის პირობებში მუშის სხეულზე მოქმედებს სამი აგმოსფერული წნევა, რომელთაგან ორი მოდის წყლის, ერთი კი ჰაერის ხარჯზე.

მაღალი წნევის პირობებში მაგ. კესონური და სამყეინაეო საქმეზე მუშაობის დროს სუნთქვა და მაჯა გაიშეიათებულია. ამ პროცესებთან დაკავშირებით სათანადო ცელილებები ხდება სხეა ორგანობესა და ნიეთიერებათა ცელაში. ადგილი აქვს ტკივილების შეგრძნებას ჰაერგამტარ ღრუებში, განსაკუთრებით ყურებში. სიღრმეში სწრაფად ჩასელამ შეიძლება გამოიწვიოს ბაროტრამეა, შეიძლება ადგილი ჰქონდეს შიგნითა ყურის გალიზიანებას, რაც ელინდება თაებრუს ხეევაში. ამიტომ სიღრმეში ჩასელის სიჩქარე არ

უნდა აღემატებოდეს 20მ/წთ. ამავე დროს კესონში და წყალქვეშ მომუშავენი უნდა შეირჩნენ განსაკუთრებული სიფრთხილით და არ უნდა დაუმეან იქ სამუშაოდ ის პირები, რომლებსაც სისხლის მიმოქცევის, სუნთქვის, სმენის და საშარღე ორგანოების რაიმე დარღვევა აქვთ.

აღსანიშნავია, რომ სიღრმეზე მუშაობისას აღინიშნება სუნთქვისა და პულსის გაიწივითება, ფილტვების სასიცოცხლო მოცულობის გაზრდა, ხმის ტემბრის შეცვლა და სხვა სიმპტომები, რომლებიც მოქმედებენ შრომის უნარზე. ძალზე მაღალი წნევისას (4 ატმ) შეიძლება გამოვლინდეს ამოგის გოქსიური მოქმედების სიმპტომები, რაც გამოიხატება მოძრაობის კოორდინაციის მოშლაში, აგზებაში, მეხსიერების შესუსტებაში, ჰალუცინაციებში, შიშის შეგრძნებაში, გონების დაკარგვასა და სხვ.


კესონური სამუშაოებისას იქმნება ჰაეროვანი ემბოლიის საშიშროებაც, ამ დროს სისხლში და ქსოვილებში ამოგის მომატებულ სხნადობას აქვს ადგილი. სისხლში გახსნილი ამოგი ვერ ასწრებს გამოყოფას ფილტვების გზით; წნევის შემცირების გამო გადადის ბუშტუკოვან მდგომარეობაში და იწვევს ემბოლიას. აეროვანმა ემბოლიამ კი შეიძლება გამოიწვიოს კესონეს დააეაღება. ხშირად ზიანდება ის ორგანოები და ორგანოთა სისტემები, რომელთა ქსოვილებიც ბევრ ლიპიდურ ნაერთებს შეიცავს, ცენტრალური და პერიფერიული ნერვიული სისტემები, კანქვეშა უჯრედები, ძვლის ტვინი, სახსრები და სხვ. კესონის დააეაღების სიმტომები ძალზე მრავალფეროვანია: დაწყებული კანის წვითა და ქაველით, სახსრების ტკივილით, დამთავრებული გულის, ფილტვების და დიდი ჰემისფეროების ქერქის დაზიანებით. უმძიმეს შემთხვევაში შესაძლებელია მსხვილი სისხლძარღვების ემბოლიის განვითარება და გვინის პარკუჭში აირის დაგროვება, ფილტვისმიერი სისხლდენები, მიოკრადიუმის ინფარქტი, ფილტვების შეშუპება და ლეტალური გამოსავალი. პროფილაქტიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს მუშაობა არ უნდა გაგრძელდეს 1-1,5სთ-ზე მეტი ხანგრძლივობით თანაც წყვეტილად, შესვენებით, ამასთან უკან ამოყვანა ხდება ნელ-ნელა. სამუშაო გარდება ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ. დიდი მნიშვნელობა აქვს კესონების აღჭურვას სპეციალური მოწყობილობებით, როლებიც განაპირობებენ წნევის თანდათან ცვლილებას დროის იმ შუალედში, რომელიც საჭიროა ზედმეტი

აზოტისაგან მისი განთავისუფლებისათვის. თუ კესონში მიწოდებულ აზოტს შეეცვლით ჰელიუმით, ამით საგრძნობლად შეეაჩერებთ ტკივილს, რაც საშუალებას მისცემს მყვინთავეებს იმუშაონ უფრო მეტ სიღრმეზე და მეტი სანგრძლივობით.

საინტერესოა ზღვის ღონიდან რა სიღრმეზე შეუძლია იცხოვროს ადამიანი მაგ. ტიბეტში, ბოლივიაში, პერუში, არის დასახლებული ადგილები, სადაც ატმოსფერული წნევა 460მმ-ია, მაგრამ აქ მცხოვრებლნი ეგუებიან მას. ყაზბეგის მაღალმთიანი სადგურის მუშაკები 3400მ სიმაღლეზე (ზღ. ღონიდან) წლობით ცხოვრობენ და მუშაობენ.

სქემა 21.

ატმოსფერული წნევა



ჰაერის მოძრაობა

ჰაერის მოძრაობა გარკვეულ როლს ასრულებს ნივთიერებათა ცელის შედეგად წარმოქმნილი სითბოს, გამოყოფილი აირების და წყლის (ოფლის) მოცილების თვალსაზრისით. მას აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს საყოფაცხოვრებო-საწარმოო მგერისა და აირების გაძევაში, ბინასა ან საამქროში საღი მეტეოროლოგიური რეჟიმის შექმნაში და სხე.

ადამიანის სხეულისათვის ჰაერის მოძრაობა სასიამოვნოა იმ შემთხვევაში, თუ მისი სისწრფე არ აღემაგება სათანადო დონეს. საჭიროზე ძლიერი ჰაერის მოძრაობა იწვევს უსიამოვნო შეგრძნებას, რადგან სხეულს ართმევს უფრო მეტ სითბოს, ვიდრე საჭიროა. მაქსიმალურ დასაშვებ სიჩქარედ მიღებულია 10-12მ/წმ-ში.

ასევე არასასურველ შედეგს იძლევა ჰაერის მომაგებული მოძრაობა კანისა და ლორწოვანი გარსების გამოშრობაში. ამიგომ მისი სარეკომენდაციო ნორმებია: 18^o-ზე 0,25მ/წმ-ში; 19-20^o-ზე -0,5მ-მდე; 21-22^o-ზე -1,5მ-მდე; 23-24^o-ზე კი-2,5მ-მდე.

ჰაერის მოძრაობა ყოველთვის არ იძლევა გამაგრილებელ ეფექტს; მგ, როცა ჰაერის ტემპერატურა 37^o-ზე მეტია და ტენიანობა მაქსიმალურია, ჰაერის მოძრაობა ადამიანის სხეულზე დადებით ეფექტს ვერ მოახდენს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ჰაერის ძლიერ ნაკადით (ქარი) მოძრაობამ შეიძლება მოსახლეობას მოუგანოს ზიანიც, მაგ, რომელიმე ეპიდემიური კერიდან ჰაერის საშუალებით შეიძლება გაერცელდეს ინფექცია სხვა ადგილზე;

ქარის საშუალებით ერთი ადგილიდან მეორეზე შეიძლება გადაადგილდეს საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ნამწვი გაზები, ჭვარტლი, მგვერი, ნიადაგის ნაწილაკები, წყლის დიდი მასები. ამის მაგალითია ე.წ. ქვიშიანი, ტალახიანი, თევზიან-ბაყაყიანი წვიმები და სხე.


ჰაერში ატაცებული მგვერი და ჭვარტლი, მათ შორის ატომურიც, შეიძლება წლების განმავლობაში არ დაილექოს, დარჩეს ჰაერში და მასთან ერთად გადავიდეს ერთი ქვეყნიდან მეორეში, გადალახოს ოკეანეთა უზარმაზარი სიერცეებიც კი. მაგ, 1912წ ალიასკაზე ვულკანიდან ამოხეთქილმა მგვერმა და ჭვარტლმა მოსკოვსა და პეტერბურგში 2 წლის შემდეგ მიაღწია. ასევე ითქმის

ჩერნობილის აეს-ის ატომური აფეთქების შემდეგ გამოყოფილ ნარჩენებზე. ქარის საშუალებით შეიძლება გავრცელდეს ამა თუ იმ ფაბრიკა-ქარხნის საკვამლე მილიდან გამოყოფილი წვის აირები დასხვა ქიმიური შხამები. ამიგომ ისეთი საწარმოები, რომლებიც არასასურველ აირებს გამოყოფენ, აგებენ ქალაქის განაპირას და გაბაგონებული ქარი (მაგ; თბილისში ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან, ქუთაისში აღმოსავლეთიდან) ჯერ უნდა ეხებოდეს დასახლებულ ადგილებს და შემდეგ მიდიოდეს ფაბრიკა-ქარხნებისკენ. გარდა ამისა ქარხანასა და ქალაქს შორის აშენებენ განსაზღვრული ფართობის დამცველ მწვანე მასივებს 0,5-დან 2,0 კილომეტრამდე სავანის; რომელიც ეფექტური ღონისძიებაა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისაგან დასაცაებად.

როგორც ავლნიშნეთ, ჰაერის მოძრაობა ხელს უწყობს ორგანიზმიდან სითბოს გაცემას, რასაც ცხელ ამინდში დადებითი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც იგი იცავს ორგანიზმს გადახურებისაგან. მაგრამ ზედმეტად სითბოს გაცემამ დაბალი ტემპერატურისას შეიძლება გამოიწვიოს გადაციება და დაავადების განვითარება. ძლიერი ქარი იწვევს ადამინის თვითგრიძობის და ნერვიულ-ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესებას, მოვიერთი ქრონიკული დაავადებების გამწვავებას ჰაერის მოძრაობის დიდი სისწრაფისას (20მ/წმ-ზე მეტი) ადგილი აქვს სუნთქვის ნორმალური რიგმის დარღვევას, აღიღებს დაგვირთვას სიარულისა და ფიზიკური მუშაობის შესრულების დროს. (სქემა 22).

ამიგომ ჰიგიენური თვალსაზრისით ღია ადგილებში ყველაზე ოპტიმალურად ითვლება ჰაერის მოძრაობის სიჩქარე 4მ/წმ, ხოლო შენობებში 0,3მ/წმ. ჰაერის მოძრაობის სიჩქარეს გამოხატავენ მ/წმ-ობით. ახალი მშენებლობისას (საცხოვრებელი კვარტალები, საავადმყოფოები, სკოლები, ფაბრიკა-ქარხანები და სხვ.) საპროექტო გეგმაზე აღნიშნული უნდა იყოს ქარების გაბაგონებული მიმართულება. ლაბორატორიულ პირობებში ჰაერის მოძრაობის გასაზომად ხმარობენ ანემომეტრს და კატათერმომეტრებს.

ქარის სიძლიერეს გამოხატავენ 12 ბალიანი ბოფორტის სისტემით. მგ. სიო-2ბალი (ანუ 3-4მ/წმ-ში); ნიაეი-4ბალი (5-7მ/წმ) ქარი-7ბალი (14მ/წმ) ქარიშხალი 12ბალი (30მ/წმ) და სხვ.



ატმოსფერული ჰაერის გამაბინძურებლები და მისი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე

ატმოსფერო დედამიწის ჰაეროვანი გარსია. მის გარეშე შეუძლებელია სიციოცხლე. ჰაეროვანი გარემოს შემადგენლობისა და თვისებების შეცვლა უარყოფითად მოქმედებს, განსაკუთრებით, მაშინ თუ მის შემადგენლობაში შედის ტოქსიკური და ინფექციური დაავადებების მატარებლები.

უდიდესია ჰაეროვანი გარემოს როლი. იგი ორგანიზმს უზრუნველყოფს ჟანგბადით, გავლენას ახდენს თერმორეგულაციის პროცესებზე, ამიგომ მისი შედგენილობის შეცვლა უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ხელს უწყობს ტოქსიკური და ინფექციური საწყისის არსებობას.

ატმოსფეროს ქიმიურ შემადგენლობაში შედის ჟანგბადი - 20,95; ნახშირორჟანგი - 0,03%; აზოტი 78,10%, აგრეთვე სხვადასხვა ინერტული გაზები (წყლის ორთქლი, ოზონი, წყალბადი და სხვ.) - 1%.

ბუნებრივი წარმოშობის მუდმივი მინარევების გარდა, ჰაერში გვხვდება აიროვანი პროდუქტები, რომლებიც წარმოიქმნება ქიმიური და ბიოლოგიური პროცესების შედეგად (ამიაკი, მეთანი, აზოტის ჟანგულები, გოგირდწყალბადი, ნახშირბადის ჟანგულები და სხვ.). აიროვანი მინარევების გარდა ჰაერი შეიცავს კოსმოსური და ვულკანური ამოფრქვევის შედეგად წარმოშობილი მტკერის ნაწილაკებს.

ატმოსფეროს ბუნებრივ დაბინძურებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ე.წ. მიწის ზედა მტვერს (ნიადაგის; მცენარეული, ტყის ხანძრების კვამლი). (სქემა 23, 24).

დასახლებული ადგილებიდან მოშორებით, განსაკუთრებით მთიან ადგილებში და ზღვის სანაპიროებზე ჰაერი სუფთაა. იგი არ შეიცავს ან ძალზე მცირე რაოდენობით შეიცავს გამაბინძურებელ ნივთიერებებს. ჰაერი ასევე ნაკლებად არის გაბინძურებული სოფლის დასახლებულ ადგილებში, თუმცა იდეალურად სუფთა ჰაეროვანი გარემო თეორიული მცნებაა.

ატმოსფერული ჰაერი ბიოსფეროს ერთერთი ეკოლოგიური




სისტემაა, რომელიც აწონასწორებს ადამიანისა და გარემოს ურთიერთქმედებას, ამიგომ დასახლებული ადგილების აგმოსფერული ჰაერის დაცვას გაბინძურებისაგან მიიხნევენ სამრეწველო განვითარებისა და ურბანიზაციის ეპოქის უმნიშვნელოვანეს პრობლემად.


ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ქიმიური, ნავთობგადამამუშავებელი და მეტალურგიული საწარმოები, საიდანაც აგმოსფეროში გამოიყოფა სპილენძის, რკინის ჟანგეულები, გყევის მტვერი, დიდი რაოდენობით მიკროელემენტები და სხვადასხვა სახის ორგანული ნაერთები, რომელთაგან ზოგიერთი კანცეროგენს წარმოადგენს.

ჰაერის მნიშვნელოვანი დაბინძურების წყაროა ავტოტრანსპორტი, რომლის გამონაბოლქეში დიდი რაოდენობითაა ნახშირორქანგი, ალდეჰიდები, გყევის ნაერთები, პოლიციკლური ნახშირწყლები და სხე. ჰაერის დაბინძურებაში დიდ როლს ასრულებს რეაქტიული ავიაცია. ერთი თვითმფრინავი ფრენის დროს 100-ჯერ უფრო მეტ გამონაბოლქე აირებს გამოყოფს, ვიდრე ავტომობილი. ყველაზე მეტ დაბინძურებას ექვემდებარება გროპოსფეროს ის შრე, სადაც ადამიანები ცხოვრობენ - ე.წ. ნოსფერო.


აგმოსფერული ჰაერის დაბინძურების ხარისხი დამოკიდებულია ქვეყანაში სამრეწველო პოტენციალზე, სახელმწიფო-ეკოლოგიურ კონტროლზე და გექნოლოგიის განვითარების დონეზე. დიდი ქალაქის სამრეწველო პოტენციალზე აგმოსფერული გარემოს უნივერსალურ დამაბინძურებლებს მიეკუთვნება ნახშირქანგი, გოგირდოვანი აირი, ამოტოვანი ჟანგეულები და მტვერი. ნახშირქანგი (CO) ქალაქების ჰაერის ერთ-ერთი გავრცელებული გამაბინძურებელია. იგი წარმოიქმნება ორგანული ნივთიერებების არასრული წვის დროს. მას არა აქვს ფერი და სუნი. იგი ნახშირბადმცველი ნივთიერებების არასრული წვის პროდუქტია. იგი უფერო და უსუნო გაზია. CO დედამიწის ჰაეროვან გარსში არ გროვდება. თანამედროვე ქალაქების აგმოსფეროს ჰაერის ნახშირქანგით გაბინძურების ძირითადი წყაროა საავტომობილო ტრანსპორტი. სათანადო დაკვირვებების შედეგად გამოთვლილია, რომ მსუბუქი ავტომანქანა ქალაქის პირობებში მოძრაობის დროს გამოყოფს საშუალოდ 3 კუბ.მ. ნახშირქანგს, სატვირთო ავტომანქანა - 6 კუბ.მ-ს

პაერის დაბინძურება









ატმოსფეროს ჰაერის ქიმიური შემადგენლობა და მისი პოტენური მნიშვნელობა



ატმოსფეროს ჰაერის დაბინძურება





ე.ი. შესაბამისად 3,4 6,8 კგ-ს/სთ-ში. თუ ავტომანქანის მიერ გამოწვეულ ქვე აირებში ნახშირჟანგის შემცველობის საშუალო მაჩვენებლად მივიღებთ 4-5%-ს, მაშინ დაკადგენთ, რომ ქალაქში მოძრავი 1000 ავტომანქანა 1სთ-ის განმავლობაში ატმოსფეროს ჰაერში გამოყოფს 4500-5000 კუბ.მ. ნახშირჟანგს. დიდი რაოდენობით გამოყოფენ CO-ს მეტალურგიული ქარხნები. მაგ. საბრძმედე აირი შეიცავს 30% ნახშირჟანგს. გაზგენერატორული აირის შემადგენლობაში CO-ს შემცველობა 27%-მდეა, ხოლო საკოქსე აირის შემადგენლობაში 7%-მდე. ამიტომ მეტალურგიული ქარხნების ირგვლივ ადგილი აქვს დაბინძურების საკმაოდ ფართო ზონის არსებობას. ნახშირჟანგით მოწამილა დაკავშირებულია მის უნართან წარმოქმნას კარბოქსიჰემოგლობინი, რაც იწვევს ქსოვილებთან ქანგბადის მიგანის პროცესის რაოდენობრივად და ხარისხობრივად ღრმა ცვლილებებს. წარმოქმნილი ჰიპოქსია (ქანგბადის ნაკლებობა), გავლენას ახდენს პირველ რიგში ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონალურ მდგომარეობაზე, რომელიც მგრძობობიარეა ქანგბადის ნაკლებობისადმი. (სქემა 25, 26).

ნახშირორჟანგის გამრდილი კონცენტრაცია დიდი ქალაქების ჰაერში უარყოფით გავლენას ახდენს ორგანიზმზე. განსაკუთრებით იმ პირებზე, რომლებსაც საკმაოდ დიდი ხანი უწევთ პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე ქუჩაში ყოფნა (გამყიდველები, პოლიციელები, მოძრაობის მარეგულირებლები). გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მათ სისხლში კარბოქსიჰემოგლობინის რაოდენობა მომაგებულია 3-4%-ით, ნაცელად 0,5%-ისა, რის გამოც შეემჩნევათ თავის გკივილი, თავბრუსხვევა, კიდურების სისუსტე, გახშირებული გულისცემა, ნორმალური ძილის დარღვევა და სხვ.

ინტოქსიკაციის მსგავსი სიმპტომები აღენიშნებათ იმ ბავშვებს, რომლებიც ცხოვრობენ შავი მეტალურგიის ქარხნების მახლობელ უბნებში. CO კონცენტრაციის გამრდა იწვევს ინტოქსიკაციის მძიმე ფორმას. მეცნიერთა ნაწილის აზრით, ნახშირჟანგის რაოდენობა ატმოსფერულ ჰაერში თითქმის არასოდეს არ არის ისეთი კონცენტრაციით, რომელიც ადამიანის ორგანიზმში საგრძნობ ჰიპოქსიას გამოიწვევდა; თუმცა მეცნიერთა მეორე ნაწილის აზრით, ნახშირჟანგი შხამია, რომელიც უშუალოდ მოქმედებს ნერვულ უჯრედებზე და აქვს ფიზიოლოგიური კომპლაციის უნარი. (სქემა 26).

ბოზირლოვანი ამრი და გოგირდის სხვა ნაერთები. გოგირდოვანი აირი ჰაერში გამოიყოფა საწვავის წვის და მაღლის გამოღობის პროცესში, რაც გამოწვეულია გოგირდის მაღალი შემცველობით ქვანახშირსა და ნაეთობში. ნელლი ნაეთობის გადამუშავებისას ნაეთობგადამამუშავებელი ქარხნები ყოველწლიურად გამოყოფს 10 მლნ ტ გოგირდოვან ანჰიდრიდს, სპილენძის საღნობი ქარხნები 10-11 მლნ ტ-ს, თუთიისა და გყვიის საღნობი ქარხნები - 3-3,5 მლნ. ტ-ს. ასევე იგი დიდი რაოდენობით გამოიყოფა ქვანახშირის წვის შედეგად. გოგირდის შემცველობა სხვადასხვა სახის ქვანახშირის შემადგენლობაში 1-დან 6%-მდეა; რაც უფრო დაბალი ხარისხისაა ნახშირი, მით მეტია მასში გოგირდის შემცველობა.

გოგირდოვანი აირის მცირე კონცენტრაციები იწვევენ ბრონქიოლების გლუვი მუსკულატურის დროებით სპაზმს, მაღალი კონცენტრაცია კი მძიმე ბრონქიტს, ლორწოვანი გარსის პლიური ანთებით ზედაპირული ეპითელიუმის ჩამოფეხვით. მცირე დოზებით ჩასუნთქვა იწვევს ზემო სასუნთქი ვეების კაგარს, ფილტვების ემფიზემას, ქრონიკულ გასტრიტს, ჰეპათოპათიას, ნახშირწყლოვანი და ვიგამინური ცელის მოშლას; უარყოფითად მოქმედებს ორგანიზმში მიმდინარე ფერმენტულ პროცესებზე.

გოგირდოვან აირთან ერთად გარემოში ჩვეულებრივ გამოიყოფა გოგირდის ანჰიდრიდი, რომელიც სწრაფად გარდაქმნება გოგირდმქაეას წვეთებად, რომლის გოქსიურობა მეტია, ეიდრე თვით გოგირდოვანი აირის. ამ აეროზოლის მოქმედებით შეიძლება წარმოიქმნას გოქსიკური ნისლი, რომლის დროსაც გოგირდის ორჟანგი გადადის სამქანგში, შემდეგ კი გოგირდმქაეაში (ეს გაზები მონაწილეობენ მქაეური წვიმების წარმოქმნაში).

გოგირდის შენაერთებიდან, რომლებიც აბინძურებენ აგმოსფერულ ჰაერს, აღსანიშნავია გოგირდნახშირწყალბადი და მერკაპტანი. იგი რეფლექტორულად მოქმედებს თავის გვინის ქერქის ფუნქციურ მდგომარეობაზე. გოგირდწყალბადი გამოიყოფა ნაეთობის მოპოებისა და გადამუშავების პროცესში. მისი მცირე კონცენტრაციები იწვევს ნერეული სისგემის ფუნქციური მდგომარეობის, გულ-სისხლძარღვოვანი აპარატის და ქალის რეპროდუქციული ფუნქციის მოშლას. (სქემა 23, 25, 27).


მერკაპტანები (თიოსპირიდები) და დისულფიდები (თიოეთერები) იწვევენ ვეგეტაციურ რეულექსებს, აქვს ძლიერ ცუდი სუნი, რომელიც უმნიშვნელო კონცენტრაციების დროსაც შეიმჩნევა.

აზოტის ქანბაშულები წარმოშობის წყაროა ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი, აზოტოვანი სასუქების წარმოება, საოჯახო გაზის დანადგარები, სამრეწველო ლემელების წვის პროდუქტები, ასაფეთქებელი ნივთიერებების, ცელულოზის წარმოების გამო-ნაყოფი და სხვ. რაც უფრო სრულად ხდება წვა, მით ნაკლებია CO, მაგრამ მეტია ნიტროაირები.


ამერიკელი მეცნიერების აზრით, აზოტის ქანგეულების და გოქსიური ორგანული ნივთიერებების ნარევი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მიზეზს ფოტოქიმიური სმოკის განვითარებაში (smoke-კვამლი, ფიგ-ნისლი). სმოკის წარმოშობის ასახსნელად საყოველთაოდ აღიარებულია ჰაგენსმიგის თეორია, რომლის მიხედვით მზის რადიაციის გაუღენით ხდება აზოტური შენაერთების დისოციაცია ატომური ქანგბადის და ოზონის წარმოქმნით. უკანასკნელი მოქმედებს ნახშირწყალბადთან და საბოლოოდ წარმოიქმნება ნივთიერებების რთული კომპლექსი, რომელსაც ახასითებს დამკანგავი თვისებები, ე.წ. ოქსიდანტები, ვარკვეული მეტეოროლოგიური პირობები, ხელს უწყობს აღნიშნული ნივთიერებების ჰაერში დაგროვებას, შეიძლება სპეციფიური ნისლის ფორმირება, რომელიც იწვევს თვალის, ცხვირისა და ხახის ლორწოვანი გარსების გაღიზიანებას, უსიამოვნო სუნის წარმოქმნას და სხვ. ამ დროს მნიშვნელოვნად ქვეითდება ჰაერის გამჭვირვალობა და ხილვა-ლობა. (სქემა 28).

სმოკის წარმოქმნის მიზეზია საერთოდ ატმოსფეროს ჰაერის კომპლექსური გაბინძურება სხვადასხვა ნივთიერებებით, გოგირდის ქანგეულებით, აზოტის ქანგეულებით, ალდეჰიდებით. კეტონებით, მკავეებით, ქლორირებული ნახშირწყალბადებით, აკროლენით, ქლორალდეჰიდებით, ფორმალდეჰიდით, ოზონიდებით და ბეჟანგური ნაერთებით (ნახშირწყალბადების იმ რიგიდან, რომლებიც შედიან ბენზინში), ოზონით, თავისუფალი ორგანული რადიკალებით, ნახშირყანვით. დასახელებული პროდუქტები დიდი რაოდენობითაა ნავთობის წვის პროდუქტების შემადგენლობაში, ავტომანქანის გამონაბოლქვ აირებში.

გოგირდოვანი აირი და გოგირდის სხვა ნაერთები



აზოტის ეანგეულეზი



აგმოსუარული მტვერი. აგმოსუერული ჰაერის მტვერით დაბინძურება წარმოადგენს ადამიანის სამრეწველო და სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი არასასურველ და საშიშ შედეგს. ჰაერში შეწონილ მღვომარეობაში არსებული ნაწილაკების სისტემა ცნობილია აეროდისპერსული სისტემის, ანუ აეროზოლების სახელწოდებით. ვ.ა. რიაზანოვის კლასიფიკაციით, ყველა აეროდისპერსიული სისტემა შეიძლება დაიყოს აეროზოლებად (კვამლი), სადაც ნაწილაკების ზომა 0,1 მკმ-ზე ნაკლებია და აეროსუსპენზიებად, სადაც მტვერის ნაწილაკების დიამეტრი მეტია აღნიშნულ სიდიდეზე.

დასახლებული ადგილების აგმოსუეროს ჰაერი ყოველთვის შეიცავს ამა თუ იმ რაოდენობით მტვერს. აგმოსუეროში სისტემატურად გამოიყოფა კოსმოსური მტვერი. ცნობილია, რომ ღელამიწის 1კვ. კმ-ზე ილექება წელიწადში 70 გ. კოსმოსური მტვერი, რასაც არა აქვს დიდი ჰიგიენური მნიშვნელობა, რადგან მისი კონცენტრაცია ჰაერში ძალიან უმნიშვნელოა. ბუნებაში მტვერი წარმოიქმნება მთის ქანების დაშლის, ზღვის წყლის აორთქლებისა და სხვ. შედეგად. დასახლებულ ადგილებში აგმოსუეროს ჰაერის გაბინძურების მიზეზი შეიძლება იყოს ნიადაგის მტვერი. ნიადაგის მტვერით ჰაერის გაბინძურება მიუთითებს დასახლებული ადგილის კეთილმოწყობის დაბალ დონეზე. (სქემა 29).

საბინაო გამთბობი დანადგარების როლი ჰაერის გაბინძურებაში დიდია ქალაქებში, თუკი გამთბობი დანადგარები მყარ საწვავებზე მუშაობს (ვიდრე სოფლებში), განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, როდესაც გამთბობი ღუმელებიდან ჰაერში გამოყოფილი კვამლისა და წვის მკერივი პროდუქტების რაოდენობა საგრძნობლად მაგულობს.

ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ჰაერის მტვერით გაბინძურების ძირითადი წყაროა სამრეწველო საწარმოები, რომლებიც საწვავის წვისა და გექნოლოგიური პროცესების შედეგად გამოყოფენ ჰაერში მტვერს და კვამლს. ასეთებია შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოები, სამრეწველო საქვაბებები, ელექტროსადგურები, ცემენტის ქარხნები და სხვ.

კვამლი წარმოიქმნება საწვავის წვის შედეგად. იგი ჰაერის ნარევი მკერივ ნაწილაკებთან, ორთქლისებრ და გაზისებრ პრო-

დუქტთან. კვამლის რაოდენობა, მისი ხასიათი და შედგენილობა დამოკიდებულია საწვავის სახეობაზე, ხარისხსა და წვის წესებზე. მაშინ, როდესაც ღუმელში ჰაერი მცირე რაოდენობით შედის და დაბალია წვის ტემპერატურა, აღინიშნება საწვავის არასრული წვა. ამ დროს ჰაერში დიდი რაოდენობით გამოიყოფა არასრული წვის პროდუქტების შემცველი სქელი და შავი კვამლი. წარმოშობის მიხედვით არჩევენ არაორგანულ და ორგანულ მტვერს. არაორგანულია მინერალური და ლითონური, ნიადაგის ეროზიის შედეგად წარმოქმნილი და ეულკანური მტვერი.

კვამლის ძირითადი შემადგენელი ნაწილია საწვავის მინერალური ნაწილი - ნაცარი. 1გ. ნახშირი შეიცავს 200 კგ ნაცარს. 1გ. ასეთი ნახშირის დაწვით ჰაერში გამოიყოფა საშუალოდ 80% ნაცარი ე.ი. 160 კგ. თანამედროვე ელექტროსადგურს, რომელსაც გამწმენდი ნაგებობანი არა აქვთ, შეუძლია დღე-ღამეში ატმოსფეროში გამოყოს 500გ. ნაცარი. ამ დროს 500 მ მოშორებით ამ წყაროსაგან ქარის მიმართულებით ჰაერში მტერის შემცველობა 30-40 მგ/მ³ -მდეა.

ქალაქის მტერის შემადგენლობაში შედის სილიციუმისა და მაგნიუმის შენაერთები. სილიციუმს შენაერთებიდან სილიციუმის ორქანგი SiO_2 ყველაზე ავრესიული კომპონენტია, რომლის რაოდენობა მტვერში 20%-მდე შეიძლება იყოს.

მტერის დისპერსიულობას დიდი პიგიენური მნიშვნელობა აქვს, რაც განისაზღვრება მტერის ჰაერში ყოფნის ხანგრძლივობით, სასუნთქ გზებში შეღწევადობის სიღრმით და სასუნთქი ტრაქეის სხეადასხვა ნაწილში შეჩერებით. მცირე ზომის მტერის ნაწილაკებმა (5მკმ-ზე ნაკლები) შეიძლება შეაღწიონ ფილტვებში და მანე გავლენა იქონიონ ფილტვის პარენქიმაზე. მსხვილი ნაწილაკების (10-100მკმ) თითქმის სრული შეჩერება ხდება გედა სასუნთქ გზებში, რაც იწვევს ლორწოვანის გარსის გაღიზიანებას და ქრონიკულ ანთებით პროცესებს. ჰაეროვანი გარემოს დამტვერიანების ინტენსიუობაზე გავლენას ახდენს მეტეოროლოგიური პირობები: ქარის სიჩქარე, ჰაერის ტემპერატურა და ტენიანობა, ნალექების რაოდენობა და სხვ. (სქემა 30).

მცირე ზომის მყარი ნაწილაკები (ბოლი, მტვერი, ჭვარტლი და სხვ.) წარმოიქმნება საწვავის წვისას. ჰაერში ამ ნაწილაკების

შემცველობა წარმოადგენს ჰაერის სისუფთავის ერთ-ერთ კრიტერიუმს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტანდარტებით მისი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 90 მკგ-ს 1მ³ ჰაერში, რეალურად მსოფლიოს ბევრ დიდ ქალაქში მისი რაოდენობა ბევრჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას.

თვითგაწმენდის პროცესებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მგერის დისპერსიულობას. 10 მკმ-ზე დიდი ზომის მგერის ნაწილაკები სწრაფად ილექებიან დიდი მასის გამო; 10-0,1მკმ სიდიდისა - ილექებიან მუდმივი სიჩქარით; უფრო წერილდის-პერსიული მგერი იმყოფება შეწონილ მდგომარეობაში და ავლუგინაციისა და ადსორბციის პროცესში ნელა ილექება წყლის ორთქლის ზედაპირზე.

ჰაერის მგერით დაბინძურება მიკროკლიმატური პირობების მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს. ამით აიხსნება მგერის არა-პირდაპირი მოქმედება ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, რაც დაკავშირებულია ნისლის წარმოქმნის სიხშირის მომატებასთან, ატმოსფერული ჰაერის გამჭვირვალობის, განათებულობის, მზის რადიაციის ინტენსიუობის შემცირებასთან და სხვ.

დადგენილია, რომ ტყეების, მანგანუმის, დარიშხანის, ფგორის და სხვ. ელემენტების აეროზოლები იწვევენ ქრონიკულ მოწამვლას. არაგოქსიკურმა მგეერმა კი შეიძლება სასუნთქი ორგანოების, თვალების და კანისა დაზიანება გამოიწვიოს.

საეარაულოა კავშირი ქალაქის დამგვერიანებასა და ფილტვის კიბოს განვითარებას შორის (ამის საფუძველია კანცეროგენული ნახშირწყალბადების (3,4 ბენზპირენის ტიპის) არსებობაც.


მგერით ჰაერის გაბინძურებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული თვალის ლორწოვანი გარსის გრამეები, ლორწოვანი გარსის გაღიზიანებები და თვალის ანთებები კონიუნქტივიტები. დაბინძურებული ჰაერის შესუნთქვამ შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქციებიც. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გამაბინძურებელი ნივთიერებების ზემოქმედების მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარე არიან ბავშვები, მოხუცები და ავადმყოფები, ვინაიდან მათში დაქვეითებულია ორგანიზმის ფუნქციური ადაპტაციის შესაძლებლობანი.

ჰაერის ერთ-ერთ საშიშ გამაბინძურებელს, როგორც ზემოთაყ აღნიშნეთ, წარმოადგენს გოქსიკური ნისლები (სმოგი) ბელგიაში, ინგლისში, მექსიკაში, აშშ-ში აღვილი ჰქონდა, აგმოსუერულ კაგასტროფებს“, რომლებიც ეროვნულ უბედურებად იქყა ამ ქვეყნებში და „ნისლი-მკვლელების“ სახელწოდებითაა ცნობილი. 1952 წ დეკემბერში ლონდონში აღინიშნა გოსიკური ნისლი. ერთი კვირის განმავლობაში აქ დაიღუპა 4 ათასი კაცი. მომდევნო სამი კვირის განმავლობაში, კვირაში სიკვდილიანობა შეადგენდა 753-945 კაცს. გოქსიურმა ნისლმა ამის შემდეგ არაერთხელ დაფარა ლონდონის, ვლამგოს, დებლინის, სან-ურანცისკოს, ლოს-ანჟელესის ცა. ლოს-ანჟელესსა სან-ურანცისკოში „გოქსიკურმა ნისლმა“ უდიდესი ზარალი მიაყენა მოსახლეობას (მტკივნეული შეგრძნება ყელში, სურდო, ცრემლდენა, თავის ტკივილი, ყლაპვის გაძნელება და სხვ.) (სქემა 30).


1970 წლის 18 ივლისს გოკიოში ჰაერის ამგვარმა გაბინძურებამ 6000-მდე კაცი მოწამლა. რამოდენიმე დღის შემდეგ ანალოგიური სურათი განმეორდა ქალაქ იოკაიგში, სადაც 1000-მდე მოწამლული მცხოვრებიდან 60 კაცი დაიღუპა. იგი ცნობილია „იოკაიგის ასთმის“ სახელწოდებით.

მსგავსი გაბინძურება დღეისათვის დამახასიათებელია მსოფლიოს მრავალი ქალაქისათვის (მათ შორის საქართველოში თბილისისათვის, სადაც საგრანსპორტო პარკის სიმრავლე, გექნიკურად გაუმართავი ავტომანქანების დიდი რაოდენობა და ჰაერის ბუნებრივი ენგილაციის ნაკლები შესაძლებლობაა თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო). დამაბინძურებელი აგენტები ურთიერთგაველების გამო განსაკუთრებულად საშიშია გარემოსა და ადამიანისათვის. ამის საუკეთესო მაგალითია აგმოსუეროს ქვედა ფენებში, კერძოდ, გროფოსუეროში ოზონის წარმოქმნა. გამონაბოლქვ ამოგის ოქსიდსა და ნახშირწყალბადებზე მზის ულტრაიისფერი სინათლის გავლენით ხდება ოზონის წარმოქმნა მისი წარმოქმნის ინგენსიობა იზრდება ზაფხულის პერიოდში, როცა მაღალია ჰაერის ტემპერატურა და ულტრაიისფერი გამოსხივების ინტენსიობა. ე.წ. „სმოგის“ პრობლემა, რომელიც არსებობს ფაქტობრივად ყველა დიდ სამრეწველო ცენტრსა და მეგაპოლისში დაკავშირებულია


სქემა 29.



ატმოსფეროს დაბინძურების გაყვანა
მოსახლეობის ჯანმრთელობაზე



სქემა 31.



გროპოსფეროს ოზონთან. დადგენილია, რომ 1960 წლიდან გროპოსფერული ოზონის რაოდენობამ 60%-ით მოიმატა და გლობალური ეკოლოგიური პრობლემის სახე მიიღო. განსაკუთრებით მგრძობიარე ადამიანებში ოზონის ბეღეტი, ან მომატებული კონცენტრაცია იწვევს ლორწოვანი გარსების გაღიზიანებას, თავის ტკივილს, სუნთქვით დარღვევებს, ტკივილს გულ-მკერდის არეში, ასთმის გამწვავებას და სხვ. (სქემა 30, 31).

ნახშირორჰანგი (CO₂) - ეს გაზი ატმოსფეროში ადამიანის საქმიანობის შედეგად ხდება და გროვდება. ნახშირორჰანგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გაზია, რომელიც მონაწილეობს „სათბური ეფექტის“ წარმოქმნაში.

ნახშირორჰანგი ატმოსფეროს „ბუნებრივი კომპონენტია“ იგი აუცილებელია რიგი პროცესების წარმართვისათვის, მაგრამ საჭიროა გაეარკიოთ ნახშირორჰანგის რა რაოდენობა წარმოადგენს საშიშს გარემოსათვის. დღეს ამ გაზის რაოდენობა ატმოსფეროში 0,03%-ია, ხოლო 2100 წლისათვის პროგნოზით იგი შესაძლოა გაიზარდოს 0,09%-მდე. სხვა სამეცნიერო გამოკვლევებმა დაადასტურა ნახშირორჰანგის კონცენტრაციის ზრდა ატმოსფეროში ბოლო რამდენიმე ასწლეულის მანძილზე. პლანეტის მოსახლეობის გეომეტრიული პროგრესიით ზრდამ მრეწველობაში ორთქლისა და შიგაწვის ძრავების გავრცელებამ 25%-ით გაზარდა ნახშირორჰანგის კონცენტრაცია ატმოსფეროში.

როგორც აღვნიშნეთ, ნახშირორჰანგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს გლობალური გათბობის პროცესში. ამ პროცესში სხვადასხვა წელილი მიუძღვის სხვადასხვა სახელმწიფოებს 1985წ. მონაცემებით CO₂-ის ატმოსფეროში გამოწვობილქვის 74% ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებზე მოდიოდა, ხოლო განვითარებად ქვეყნებზე - 24%. 2025 წლისათვის ამ ქვეყნების გამოწვობილქვი 44% მიაღწევს, განვითარებული ქვეყნები დღეს 10-ჯერ უფრო მეტ CO₂-ს გამოყოფენ ატმოსფეროში, ვიდრე განვითარებადი. ნახშირორჰანგის რაოდენობის ზრდა უარყოფითად მოქმედებს სუნთქვის ცენტრზე, იგი ნარკოტიკულად მოქმედებს ორგანიზმზე, გავლენას ახდენს კანისა და ლორწოვანი გარსების გაღიზიანებაზე. 0,5% CO₂ შემცველი ჰაერის ხანმოკლე ჩასუნთქვა გავლენას ახდენს გარეგანი სუნთქვის ინტენსიობაზე, პერი-

ფერიული სისხლის მიმოქცევაზე, გვინის ელექტრული აქტივობის ცვლილებებზე. ჰაერში ნახშირორჟანგის კონცენტრაციის მომატება იწვევს მიკროკლიმატურ ცვლილებებს, მსუბუქი იონების რაოდენობის შემცირებას, მიკროორგანიზმების რაოდენობის მაგებას ჰაერში და სხვ. (სქემა 32)

მაენე ქიმიური ნაერთები, რომლებიც აგმოსფერულ ჰაერშია და მცირე კონცენტრაციებით სისტემატურად მოქმედებენ ორგანიზმზე იწვევენ ლატენტური გუბერკულობის გამწვავებას, იმუნოლოგიური ძალების დაქვეითებას, თეალებისა და ზედა სასუნთქი გზების ლორწოვანას და ყნოსვის ორგანოების გაღმიანებას, გულის დატვირთვის გაძლიერებას, ქრონიკულ ბრონქიტებს. ისინი ხასიათდებიან კანცეროგენული და მუტაგენური მოქმედებითაც.


აგმოსფერული ჰაერის ოპტიმალური მაჩვენებლების ცვლილება გაელენას ახდენს ორგანიზმის ფუნქციონალური მდგომარეობის შეცვლაზე, ავითარებს პათოლოგიურ პროცესებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია გოქსიკური ნისლები, რომლებიც მოქმედებენ ადამიანთა ჯანმრთელობაზე, რომელიც ზოგჯერ მათი სიკვდილით მთავრდება (ლონდონი, ლოს-ანჯელესი, ჩიკაგო, სან-ფრანცისკო და სხვ.).

რადგანაც ჰაერის გაბინძურება საშიშია როგორც ვარემოსათვის, ასევე ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს გაბინძურებული აგმოსფერული ჰაერის გაელენის შესწავლა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, რისთვისაც წარმოებს:

1. ანკეტური გამოკითხვით მოსახლეობის ჩივილის შესწავლა.
2. მოსახლეობის ცალკეული ჯგუფის სამედიცინო გამოკვლევა (კლინიკურ-ლაბორატორიული მეთოდებით).
3. მოსახლეობის საერთო ავადობის სტატისტიკური შესწავლა სამკურნალო დაწესებულებებში.

ანკეტური გამოკითხვა გარდება საცხოვრებელ რაიონში, რომელიც მდებარეობს ჰაერის დაბინძურების ზონაში. კონტროლის მიზნით საჭიროა ამ ზემოქმედების გარეშე მდებარე გერიგორიის შერჩევა. ანკეტური გამოკითხვა საჭიროა გაბინძურების ზონაში არანაკლებ 200 ადამიანის, ხოლო საკონტროლოში - 100 ადამიანის

ნახშირორქანგი



ნის. ანკეგაში უნდა გამოქვეყნდეს: 1) რა მანძილია გაბინძურების წყარომდე 2) შეიგრძნობა თუ არა არასასიამოვნო სპეციფიკური სუნის, როგორია მისი ინტენსივობა და პერიოდულობა. 3) აუადმყოფური მოვლენების შეგრძნება: ხველა, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, გულისრევა, მგერის ნაწილაკებით გამოწვეული თეალის გრამეები და სხვ. 4) გამოყოფილი აირების გავლენა მცენარეებზე, ცხოველებზე, საყოფაცხოვრებო საგნებზე, თეთრეულზე, განათებაზე, ბინის განიაყების შესაძლებლობაზე და სხვ.

გამოკვლევებში შეიძლება დაეაყვირდეთ როგორც მოზრდილი, ისე მცირეწლოვან მოსახლეობას, იმ პირობით, რომ გამოსაკვლევი კონტინგენტი მოცემულ გერიგორიაზე ცხოვრობდა არანაკლებ 5 წლისა. გამოსაკვლევი კონტინგენტის შერჩევისას უპირატესობა ეძლევათ ბავშვებს (სკოლისა და სკოლამდელი ასაკის), ვინაიდან ისინი უფრო მგრძობიარენი არიან გარემოს უარყოფითი ფაქტორების მოქმედების მიმართ. მოსახლეობის გამოსაკვლევი ჯგუფები უნდა ცხოვრობდეს მსგავს სოციალურ-ეკონომიკურ და სანიტარულ-საყოფაცხოვრებო პირობებში.

მოსახლეობას სამედიცინო გამოკვლევის ამოცანაა გაარკვიოს ის დამახასიათებელი ცვლილებები ორგანიზმში, რომლებიც შესაძლებელია დაუკავშიროთ აგმოსფეროს ჰაერის გაბინძურებას. ასეთი გამოკვლევის პროგრამაში შედის ა) პათოლოგიური ცვლილებების შესწავლა ფილტვებში გულმკერდის ღრუს რენტგენოგრაფიის საშუალებით; ბ) სხვადასხვა ორგანოს სისტემათა კლინიკური გამოკვლევა (პირველ რიგში სუნთქვის ორგანოების) გ) ბავშვთა ფიზიკური განვითარების შესწავლა (ანთროპომეტრიული მონაცემები); ორგანიზმში ფიზიოლოგიური და ბიოლოგიური ძვრების შესწავლა.

შეისწავლება აგრეთვე მოსახლეობის საერთო აუადობა სამკურნალო დაწესებულებებში პირველადი მიმართულების მასალების მიხედვით, რისთვისაც იყენებენ უკანასკნელი სამი წლის მაჩვენებელს. შეფასებისათვის საჭიროა გაბინძურებული და საკონტროლო რაიონების მოსახლეობის საერთო აუადობის მაჩვენებლების შეფასება. გამოსაკვლევი რაიონში მოსახლეობის მინიმალური რაოდენობა არ უნდა იყოს 2000 კაცზე ნაკლები, ხოლო საკონტროლო რაიონში არანაკლებ - 1500-სა.

აგმოსფერული ჰაერის სისუფთავეზე მედამხედველობის სანიტარულ პრაქტიკაში არ არის საკმარისი დადგინდეს მხოლოდ ჰაერის გაბინძურების ფაქტი, ე.ი. გაბინძურების ხასიათი და მისი კონცენტრაცია. ამისათვის საჭიროა ჰაერის სისუფთავის ნორმები. ანუ აგმოსფეროს გაბინძურებათა მღერულად დასაშვები კონცენტრაციები. მხოლოდ ჰაერის სისუფთავის ჰიგიენური ნორმები გვაძლევს საშუალებას არა მარტო შევაფასოთ დასახლებული ადგილების აგმოსფეროს ჰაერის გაბინძურების ხარისხი, არამედ დაეხმებოდეს კიდევ ამა თუ იმ გამწმენდი ნაგებობების, სანიტარული დაცეითი ზონების, მაღალი საკვამლე მიწების და სხვ. აუცილებლობა.

დღე-ღამის განმავლობაში და ხანგრძლივად გარემოზე ადამიანის ორგანიზმსა და საყოფაცხოვრებო პირობებზე აგმოსფეროს ჰაერის გაბინძურების ზემოქმედების შესაძლებლობა განსაზღვრავს დასახლებული ადგილების ჰაერში მანე ნივთიერებათა ჰიგიენური შეფასების პრინციპებს, კრიტერიუმებისა და მეთოდების თაეისებურებას. გარემოში ქიმიური აგენტების შემცველობის ჰიგიენურ ნორმირებას საფუძვლად უდევს მათი ბიოლოგიური მოქმედების ექსპერიმენტული შესწავლა.

ჰიგიენურად დასაბუთებული ნორმების დამუშავებისათვის უპირველეს ყოელისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ადამიანზე ჰაერის გამაბინძურებელი ნივთიერებების უშუალო მოქმედება. დასაშვები კონცენტრაცია ადამიანზე (და ცხოველებზე) მოცემული ნივთიერების მწვავე და ქრონიკული მოქმედების მღვარზე ნაკლები უნდა იყოს. მღერულად დასაშვები კონცენტრაციის დადგენისას გარდა გოქსიკურობისა, დიდი მნიშვნელობა აქვს ყნოსვის, მება სასუნთქი გზებისა და თვალის ლორწოვან გარსებზე გამლიზიანებელი მოქმედების მღერის შესწავლას. ყნოსვისა და გამლიზიანებელი მოქმედების მღვარი მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მოცემული მანე ნივთიერების გოქსიკური მოქმედების მღვარზე ნაკლებია.

მღერულად დასაშვები კონცენტრაციის დადგენისას საკმარისი არ არის ცხოველებზე ჩაგარებული ექსპერიმენტის მონაცემები. უნდა ვიცოდეთ აგრეთვე როგორ მოქმედებს ადამიანზე მანე ნივთიერებათა მცირე კონცენტრაციები. ამიგომ საჭიროა გამოვიყენოთ

მოსახლეობით ზემოთ მოყვანილი ავადობის მონაცემებიც, რომლებიც შესაძლებელია პირდაპირ იყოს დაკავშირებული აგმოსფეროს ჰაერის გაბინძურებასთან. მხედველობაში უნდა მივიღოთ მოსახლეობის სუბიექტური შეგრძნებანი და ჩივილი ჰაერის გაბინძურების არაკეთილსასურველ მოქმედებაზე. მის ჯანმრთელობაზე, თვითშეგრძნებაზე, სანიტარულ საყოფაცხოვრებო პირობებზე და სხვ.

ადამიანის ორგანიზმზე ჰაერის გაბინძურების პირდაპირი მოქმედების გარდა, აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი არაპირდაპირი მოქმედებაც. არ დაიშვება ჰაერის გაბინძურება ისეთი კონცენტრაციით, რომელიც აქვეითებს ჰაერის გამჭვირვალობას, ამცირებს ბინების ბუნებრივ განათებას და ბიოლოგიურად აქტიური ულტრაიისფერი რადიაციის ინტენსივობას, მრდის ნისლიანი ღღეების რაოდენობას და სხვ.

ჰაერში მავნე ნივთიერებათა ნორმირებისას არ შეიძლება შევამციროთ მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნები იმ მოტივით, რომ მოსახლეობა ეგუება, ეჩვევა ზოგიერთ ნივთიერებას. ამა თუ იმ ნივთიერებისადმი შეჩვევა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც მავნე ნივთიერებების არარსებობა. შეგუების დროს შესაძლებელია აღინიშნოს ორგანიზმის ქრონიკული მოწამელა და პათოლოგიური პროცესის მიმდინარეობა. გარდა ამისა, ცნობილია ადაპტაცია სუნისადმი მისი მწვავე მოქმედების დროს. ამ პროცესს საფუძვლად უდევს შეკაების პროცესი, ყნოსვის ანალიზატორის ქერქულ ნაწილში, ადამიანი ამ დროს წყვეტს სუნის შეგრძნებას, ხოლო ნივთიერება განაგრძობს თავის მოქმედებას ორგანიზმზე.

აგმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი ნივთიერების დასაშვებ სიდიდედ მიჩნეულია ისეთი კონცენტრაცია, რომელიც არ იწვევს ორგანიზმზე არასასურველ მოქმედებას განუსაზღვრელი დროის განმავლობაში.

აგმოსფერული ჰაერის დაბინძურების ხარისხის შესაფასებლად გამოიყენება ორგვარი კონცენტრაცია: 1. ერთჯერადი მაქსიმალური კონცენტრაცია, რომელიც წარმოადგენს ტოქსიკური ინგრედიენტების შედარებით არამავნე შემცველობას აგმოსფეროში მათი დიდი რაოდენობის დროს. 2. საშუალო დღე-ღამური კონცენტრაცია,

რომელიც წარმოადგენს ჰაერის დაბინძურების მრავალჯერადი განსაზღვრის შედეგს (რომელიც ჩატარებულია დღე-ღამის განმავლობაში).

ატმოსფეროს ჰაერის დაბინძურებისაგან დაცვის ღონისძიებებიდან ერთ-ერთი ეფექტური ღონისძიებაა დასახლებული ადგილების სწორი, რაციონალური დაგეგმარება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ყველა წარმოება და ობიექტი უნდა განლაგდეს საცხოვრებელი მასივებიდან მოშორებით ე.წ. სამრეწველო ზონაში, ამასთან უნდა გაეთვალისწინოთ ქარების მიმართულებაც, ისინი უნდა მიემართებოდეს ქალაქის საცხოვრებელი ზონიდან სამრეწველო საწარმოების მიმართულებით;

- სამრეწველო საწარმოებსა და საცხოვრებელ კვარტლებს შორის გარკვეული დაცივითი ზონის დადგენა. დაშორების მანძილის დადგენა საწარმოს პროფილის, სიმძლავრის, გამონაყოფი აირების თვისებრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით. სანიტარულ-დაცვითი ზონის კეთილმოწყობა და გამწვანება.

-საქალაქო გრანსპორტის გადაყვანა აიროვან საწვავზე და ელექტრული ძრავების გამოყენება.

- უნდა შეიზღუდოს და აიკრძალოს ისეთი ნავთობის და ქვანახშირის გამოყენება, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ვოგირდს.

დიდი მნიშვნელობა აქვს შიდაწვის ძრავების გამონაბოლქვი აირების გაუწელობის ღონისძიებების ჩატარებას; ბენზინში ტყვიის შემცველობის აკრძალვა.


- ჰაერის გაბინძურების შესამცირებლად ცენტრალური გათბობის მოწყობა (რომელიც იმუშავებს ელექტროსაწვავზე, ან გაზზე).

- იმისათვის, რომ გამაბინძურებელი ნივთიერებები მოხვდეს ატმოსფეროს მაღალ ფენებში, საჭიროა მაღალი გამწოვი მილების აშენება. ამჟამად ატომური და თბოელექტროსადგურების მილების სიმაღლე 250-500 მ-ია.


- უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიწისქვეშა გადასასვლელების, ესტაკადების, წრიული მაგისტრალების მშენებლობას, რომლებიც განაპირობებენ გრანსპორტის შეუჩერებელ მოძრაობას.

- საჭიროა სამრეწველო ობიექტებზე მტკვრადამჭერი ციკლონების და ენტილაგორების დამონტაჟება. (იხ. ასევე სქემა 33).

ატმოსფეროს ჰაერის სანიტარული დაცვის ღონისძიებები



ოზონი



ოზონის შრის ღამლა და მისი გემოქმედება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე

თანამედროვეობის ერთ-ერთ გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს დედამიწის ოზონის შრის ღამლა. ეს პრობლემა ადამიანის საქმიანობის შედეგად არის წარმოშობილი და მანვე უნდა გადაჭრას იგი. საერთაშორისო საზოგადოებას გათვითცნობიერებული აქვს დედამიწაზე სიცოცხლის არსებობისათვის ოზონის შრის განადგურების კატასტროფული შედეგები და უკვე შეუდგა ამ პრობლემის გადაჭრას. გადაიდგა პირველი ნაბიჯები, მაგრამ სრული წარმატებისათვის საჭიროა დედამიწის მცხოვრები ყველა ადამიანის საერთო ძალისხმევა და მონღომება.

ოზონი წარმოადგენს მოცისფერო აირს, მისი მოლეკულა შედგება ჟანგბადის სამი ატომისაგან (O_3). ოზონი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მზის ულტრაიისფერი გამოსხივების გემოქმედების შედეგად ხდება ჟანგბადის მოლეკულის ატომებად დაშლა. ჟანგბადის ატომები ჟანგბადის მოლეკულასთან შედის კავშირში და წარმოიქმნება ოზონი ($O+O_2=O_3$). (სქემა 34)

ჰაერის დაბინძურების პრობლემასთან პირველი შეხების დროს კვებულობთ, რომ არსებობს „კარგი ოზონი“ და „ცუდი ოზონი“. „ცუდი ოზონს“ მეცნიერები უწოდებენ ფოტოქიმიურ სმოგს. იგი აზიანებს ისეთ მსხვილ ქალაქებს, როგორცაა მაგ. ლოს-ანჯელესი, მეხიკო, ნიუ-იორკი და სხვ. მრავალი „ცუდი ოზონი“ ანუ დედამიწის მთლიანი ოზონის 10% მდებარეობს ატმოსფეროს ყველაზე დაბალ შრეში - ტროპოსფეროში, როცა მისი კონცენტრაცია გარკვეულ მნიშვნელობას აღწევს. იგი საშიში ხდება ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის. ოზონის დაახლოებით 90% არის სტრატოსფეროს ოზონი და დედამიწის ზედაპირიდან დიდ სიმაღლეზე მდებარეობს. ტროპოსფეროს შემდგომი შრე სტრატოსფეროა, აქ ხდება ამინდის ფორმირებასთან დაკავშირებული მოვლენებისა და გარდაქმნების უდიდესი ნაწილი. სტრატოსფერო დედამიწის ზედაპირიდან 8კმ-ზე იწყება პოლუსების არეებში (ეკვატორულ არეში 17კმ სიმაღლეზე) და მდებარეობს დაახლოებით 50კმ სიმაღლეზე. სწორედ სტრატოსფეროს ოზონი მიეკუთვნება

„კარგ ოზონს“, რადგანაც იგი დედამიწას მზის ულტრაიისფერი გამოსხივების დამანგრეველი ზემოქმედებისგან იცავს. ოზონის შემცველობა ცვალებადია სხვადასხვა სიმაღლეზე. ოზონის საერთო რაოდენობის 60% მოდის შრეზე, რომელიც მდებარეობს 16-დან 32 კმ-მდე სიმაღლეზე, ხოლო მაქსიმალური კონცენტრაციას იგი აღწევს 25კმ სიმაღლეზე, სწორედ ეს ფენაა ოზონის შრე (ნახ. 1).

ოზონის მოლეკულა ატმოსფეროში ძალიან იშვიათად გვხვდება: ჰაერის ყოველ 10 მილიონ მოლეკულაზე საშუალოდ მოდის ოზონის სამი მოლეკულა. ატმოსფეროში ოზონის ისეთი უმნიშვნელო ხედრითი წილის მიუხედავად, იგი უდიდეს როლს თამაშობს გლობალურ ეკოლოგიურ სისტემაში. ოზონი ინტენსიურად შთანთქავს მზის ულტრაიისფერ გამოსხივებას. ამ თვისების გამო ოზონს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ულტრაიისფერი გამოსხივებისაგან დაცვაში. ულტრაიისფერ გამოსხივებას შეუძლია უაღრესად დიდი ბიოლოგიური ზიანის მიყენება.

ატმოსფეროში არსებული ოზონის ფენის მთლიანი სისქე დაახლოებით 3,5მმ-ია. ეს სიფრიფანა აპკი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, რომელიც პლანეტის გარემოს ადამიანის არსებობისათვის ვარგისს ხდის. ოზონის რაოდენობა სტრატოსფეროში დამოკიდებულია გეოგრაფიულ განედზე, დედამიწის ზედაპირიდან დაშორების სიმაღლესა და წლის დროზე. ოზონის კონცენტრაციის მაჩვენებლები იცვლება წლიდან წლემდე. ოზონის მოლეკულები სტრატოსფეროში მუდმივ წარმოქმნა-დაშლის პროცესში იმყოფებიან. ისინი განუწყვეტლივ წარმოიქმნებიან ქიმიური რეაქციების შედეგად, რომელიც მზის სინათლის ზემოქმედებით მიმდინარეობს. იმაედროულად მზის რადიაციის და ქანგბადის, ამოტის, წყალბადის, ქლორისა და ბრომის შემცველი ბუნებრივი შენაერთების ქიმიური ზემოქმედების შედეგად ხდება ოზონის მოლეკულის დაშლა. ოზონის მოლეკულის წარმოქმნის მექანიზმი გაწონასწორებულია მათი დაშლის მექანიზმით.

სტრატოსფეროს ოზონთან დაკავშირებული პოლიტიკური და ეკოლოგიური პრობლემები გამოწვეულია ატმოსფეროში ისეთი ქიმიური ნივთიერებების უზარმაზარი რაოდენობით მოხვედრით, როგორცაა ქლოროფტორნახშირბადები (CFC) და ჰალოგენები. ისინი წარმოქმნილია ადამიანის საქმიანობის შედეგად როგორც მეც-

ნიერები თელიან, სწორედ ამ ნიეთიერებებმა დაარღვია ოზონის ბუნებრივი ბალანსი.

1974 წ. კალიფორნიის უნივერსიტეტის ქიმიკოსებმა შერეულ როულენდმა და მარიო მოლინამ გამოთქვეს მოსაზრება, რომ სტრატოსფეროში ქლორფტორნახშირბადები მზის სინათლის გემოქმედებით იშლება და გამოიყოფა დიდი რაოდენობით ქლორი. მის ერთ ატომს შეუძლია დაშალოს ოზონის 100 ათასი მოლეკულა. მათ გააკეთეს დასკვნა, რომ ათობით წლების განმავლობაში ქლორფტორნახშირბადების გამოყენებას უნდა გამოეწვია სტრატოსფეროს ოზონის კონცენტრაციის მნიშვნელოვანი შემცირება. ამ მეცნიერთა გამოკვლევებმა მოგვიანებით მსოფლიო აღიარება დაიმსახურა. 1995 წელს მათ ნობელის პრემია მიენიჭათ.

1975 წ. მსოფლიო მეტეოროლოგიურმა ორგანიზაციამ (WMO), რომლის ძირითად მოვალეობას წარმოადგენს სახელმწიფოთა მთავრობების უზრუნველყოფა დედამიწაზე კლიმატისა და ატმოსფეროს ცვლილებებისა და მდგომარეობის შესახებ ინფორმაციითა და კონსულტაციებით, გამოაქვეყნა დასკვნა: „ოზონის შრის ცვლილებები ადამიანის საქმიანობის შედეგად და ზოგიერთი შესაძლო გეოფიზიკური შედეგები“ 1985 წ. ხელმოწერილი იქნა საერთაშორისო შეთანხმება - ოზონის შრის დაცვის ვენის კონვენცია.

სწორედ ამ წელს მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა, რამაც იმოქმედა ოზონის შრის პრობლემის საყოველთაო აღიარებაზე: 1985 წ. აღმოჩენილ იქნა ანტარქტიდის ოზონის ხვრელი. „ბრიტანული ანტარქტიდული კვლევების პროგრამის“ ფარგლებში მიღებულმა მონაცემებმა უჩვენა, რომ ანტარქტიდაზე ოზონის შრის კონცენტრაცია 70-იანი წლებიდან ყოველწლიურად მცირდებოდა. ოზონის რაოდენობის შემცირება განსაკუთრებით შესამჩნევია ანტარქტიდაზე, როცა ზამთრის პირობებში სტრატოსფეროში წარმომოხილი პოლარული ვრიგალი აფერხებს ჰაერის აქტიურ მიმოცვლას საშუალო განედების ჰაერთან. „ოზონის ხვრელის“ ანტარქტიდის თავზე გაჩენა გამოწვეულია იმით, რომ პოლარული ქარების მოძრაობის მარშრუტი მკაცრად შემოიფარგლება პოლარული რეგიონით, ამას ემატება ისიც, რომ ანტარქტიდული ატმოსფერო ხანგრძლივი დროის განმავლობაში (პოლარული

ღამე) იმყოფება სიბნელესა და განსაკუთრებულ სიცივეში. სტრატოსფეროში ატმოსფეროს გემპერატურის ვარდნის შედეგად წარმოიქმნება ყინულოვანი ღრუბელი. ოზონის კონცენტრაციის შემცირება ვრძელდება ვეიან გაზაფხულამდე. როდესაც მზის სხივები იმდენად ათბობს ატმოსფეროს, რომ ყინულოვანი ღრუბლებისაგან იწყება ამოგის გამოყოფა. ოზონის კონცენტრაციის შემცირების სინქარე სწრაფად იზრდება ავვისგოს ბოლოდან, პროგრესირებს სექტემბერში და შუა ოქტომბრიდან იწყებს ვარდნას. ოზონის ხერელის უკრთი დაახლოებით ისეთივეა, როგორც დასაელეთ ეეროპის ას აშშ-ის კონტინენტური ნაწილის ტერიტორია.

1986-1987წწ ანგარქტიდაზე ჩატარებული ამერიკული ექსპედიციების შედეგებმა და აშშ აერონავტიკის და კოსმოსის ეროვნული მმართველობის (NASA) მიერ 1987წ. მიღებულმა მონაცემებმა დაადასტურა, რომ ოზონის შრის დაშლასა და ანგარქტიდული ოზონის ხერელის გაჩენაზე დიდი როლი ეკისრება ქლორს, რომელიც გამოიყოფა ქლორფტორნახშირბადისაგან, ავრეთვე ბრომს, რომელიც გამოიყოფა ჰალოგენებიდან და მეთილბრომიდან. 1987წ. 24 სახელმწიფოსა და ეეროპული ეკონომიკური გაერთიანების მიერ ხელმოწერილ იქნა საერთაშორისო შეთანხმება „მონრეალის ოქმი იმ ნივთიერებების შესახებ, რომლებიც შლიან ოზონის შრეს“. მონრეალის ოქმმა დაადგინა შეზღუდვები ქლორფტორნახშირბადებისა და ჰალოგენების გამოყენებაზე.

NASA-მ და NOAA-მ (აშშ ოკეანისა და ატმოსფეროს ეროვნული მმართველობა) იმედი გამოთქეეს, რომ საერთაშორისო დონეზე მიღებული გადაწყვეტილებებით ქლორფტორნახშირბადის ხმარებიდან ამოღება შესაძლებელს გახდის მომდევნო 100 წლის განმავლობაში აღდგეს ოზონის ბუნებრივი დონე. ცენტრის მეცნიერები თვლიან, რომ ეს სიტუაცია შენარჩუნებულ იქნა, ვიდრე სტრატოსფეროში არ დაეცემა ქლორის შემცველობის დონე.

ოზონის შრის დაშლის პროცესი არქტიკაზეც მიმდინარეობს ისევე, როგორც ანგარქტიდაზე, მაგრამ ოზონის კონცენტრაციის შემცირების პერიოდი უფრო ხანმოკლეა, ვიდრე ანგარქტიდაზე. რადგან არქტიკული ცირკუმპოლარული ნაკადები ისეთი მუდმივი არ არის, როგორც ანგარქტიდაზე. თუმცა არქტიკაზე ოზონის ისე-

თი დანაკარგები არ არის რეგისტრირებული, როგორც ანგარქტიდაზე.


მონრეალის ოქმის მიღების შემდგომ პერიოდში განჩნდა ბრომისა და ქლორის შენაერთების მანეჟ ბემოქმელების კიდევ უფრო მეტი მტკიცებულებები. ოზონის ხერელის ვადილების საშიშროებამ კატასტროფული ხასიათი მიიღო. მონრეალის ოქმის მომხრეებმა გადაწყვიტეს, გააძლიერონ ოქმის მოთხოვნები და მასში ახალი ნიეთიერებები შეიგანონ.

ყველა არსებული საერთაშორისო შეთანხმების სრულად დაყვის პირობებშიც კი, 2005 წლამდე სტრატოსფეროში ქლორისა და ბრომის შემცველობა მაინც გაიზრდება. საეარაულოა, რომ ვიდრე მოხდებოდა ოზონის რაოდენობის შემცირების გემქმების სტაბილიზაცია და შემდგომი კლება, ოზონის მაქსიმალურ დანაკარგებს გლობალურად კიდევ ექნება ადგილი მომდევნო ათწლეულში, როდესაც დაიშლება ოზონის კიდევ 3-4%. ძალიან ძნელია ოზონის შრის აღდგენის ვადების დამაჯერებლად პროგნოზირება.

ამ ბოლოდროინდელი (2003წ. სექტემბრის) მონაცემებით ანგარქტიდის თაეზე ოზონის ხერელი ძალიან სწრაფად იზრდება და შესაძლებელია მალე რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწიოს. ეს მოვლენა იაპონელმა მეგეოროლოგებმა შენიშნეს. მათი მტკიცებით 2003წ. 1 სექტემბრისათვის ოზონის ხერელის სიდიდე 25,8 მილიონი კვ.კმ გახლდათ, რაც ანგარქტიდის მაგერიკის ფართობს 2-ჯერ აღემატება. ვასულ წელს მეცნიერებმა შენიშნეს, რომ ოზონის ხერელი შესამჩნევად ეიწროვებოდა და მან 15კმ-ს მიაღწია, ახლა კი თითქმის ძველებურ მომებში აღსდგა.

ადრე აცხადებდნენ, რომ ანგარქტიდის თაეზე ოზონის ხერელი შესაძლებელია 2050 წელს მთლიანად გაქრეს. ოზონის ფენაში ხერელი პირველად დაახლოებით 30 წლის წინათ აღმოაჩინეს - მომით ის აესგრალიას უტოლდებოდა.

ოზონის ხერელთან დაკავშირებული სამეცნიერო და პოლიტიკური პრობლემები, რომლებიც დადგა მსოფლიო საზოგადოების წინაშე შემდგომში მდგომარეობს: ბრომისა და ქლორის შემცველი ნიეთიერებების სტრატოსფეროში დამატებითი მიწოდება მიგვიყვანს ოზონის წარმოქმნა-დაშლის ბუნებრივი ბალანსის დარღვევამდე, ენაიდან ჩნდება ოზონის დაშლელი დამატებითი ფაქტორი.



ნახ. 1.

ქურნალისტურ პუბლიკაციებში ხშირად აღინიშნება, რომ ოზონი იშლება აეროზოლების გამოყენების გამო, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ოზონის დაშლისათვის საშიშროებას წარმოადგენს არა თავად აეროზოლები, არამედ ქლორფტორნახშირბადები, რომლებიც მათში გამაფრქვეველი კომპონენტების სახით გამოიყენება. ეს საშიშროება იარსებებს მანამ, ვიდრე ყველა ქვეყანაში არ აღიკვეთება ამ ნივთიერების გამოყენება. მეორეც აეროზოლების გამოყენების მთლიანი შეწყვეტა მაინც ვერ გადაწყვეტს ოზონის შრის პრობლემას, რადგან, აეროზოლების გარდა ქლორფტორნახშირბადების ატმოსფეროში მიწოდების საკმაოდ ბევრი წყარო არსებობს.

ქლორფტორნახშირბადები ხასიათდება არაგოქსიკურობით, მედეგობით კოროზიის მიმართ, არააალებადობით და სტაბილურობით. ამ თვისებების გამო ქლორფტორნახშირბადები ფართო მოხმარების შესანიშნავ პროდუქტს წარმოადგენს. 1950 წლიდან ქლორფტორნახშირბადების მოხმარება მუდმივად იზრდებოდა და შემდგომ 30 წლის განმავლობაში ყოველწლიურად საშუალოდ 10%-ით მაგულობდა. 1986წ., როცა მათი მოხმარების ზრდა შეჩერებულ იქნა, წარმოებული იყო 1000000ტ. ქლორფტორნახშირბადი. ასეთი ფართო გამოყენების შედეგად ატმოსფეროში ქლორფტორნახშირბადების შემცველობა სწრაფად გაიზარდა.

ქლორფტორნახშირბადებს და ჰალოგენებს შეიცავს მყარი პენოპლასტები; პარალონი, მაციერები, კონდიციონერები, გამხსნელები, სამედიცინო სტერილიზატორები, ცეცხლმაქრობები, აეროზოლიანი ბალონები.

აშშ-ისა და სხვა განვითარებული ქვეყნების კერძო სექტორმა დიდი წვლილი შეიტანა სტრატოსფეროს ოზონის დაცვისათვის გადაწყვეტილებების შემუშავებაში. 1986-1991წლებში ისეთი ქლორფტორნახშირბადების როგორცაა CFC-11, -12-113 მსოფლიო მოხმარება შემცირდა 40%-ით. შემცირების ტემპი უფრო დიდი აღმოჩნდა, ვიდრე ამას ითვალისწინებდა მონრეალის ოქმი და ლონდონის შესწორებები. 1991წ. კომპანია „დიუპონმა“ გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ მომდევნო 10 წლის განმავლობაში განზრახული აქვს 1 მილიარდი დოლარის დახარჯვა ქლორფტორნახშირბადების შემცველების შესამცირებლად. სხვა ამერიკული ფირმები, მათ

შორის „ჯენერალ ელექტრიკი“ „დიჯიტალ ექვიპმენტ“, „მოტოროლა“ დიდ თანხებს ხარჯავენ ქლორფტორნახშირბადების გამოყენების შეწყვეტისა და მათი შემცველების შემუშავების მიზნით. ქლორფტორნახშირბადებთან დაკავშირებული მოწყობილობა 135 მლრდ დოლარად არის შეფასებული. ქლორფტორნახშირბადების გამოყენების შემცირება შესაძლებელი გახდება ისეთი ნაბიჯების გადადგმით, როგორცაა: აერომოლეებსა და პენოპლასტების სპირტშემცველი სხნარების სმარება; გამაციებელ სისტემებში ქლორფტორნახშირბადების აღდგენა და რეციკლირება, მათ ნაცვლად ამიაკის ან სხვა ეკოლოგიურად სუფთა ნივთიერებების გამოყენება.

როგორც აღვნიშნეთ, სტრატოსფეროს ოზონის შრე დედამიწას იცავს მზის ულტრაიისფერი რადიაციისაგან და ჩვენამდე აღწევს საერთო რადიაციის 5-10%, რომელიც აღწევს დედამიწის გედაპირამდე, ხოლო ოზონის შრის დაშლის შედეგად ულტრაიისფერი რადიაციის კიდევ უფრო დიდი რაოდენობა მოაღწევს დედამიწის გედაპირამდე. აშშ-ის გარემოს დაცვის სააგენტოს მონაცემებით სტრატოსფეროს დაკარგული თითოეული პროცენტი იწვევს მზის ულტრაიისფერი რადიაციის ინტენსიუობის 1,5-2%-ით გაზრდას. ულტრაიისფერი გამოსხივების ინტენსიუობის გაზრდა საშიშია, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის კანსა და თვალებზე მანეგემოქმედების გამო.

მზის ულტრაიისფერი გამოსხივების ყველაზე მოკლეგაღლიანი მონაკვეთი (ულტრაიისფერი - C) აქტიურად აღსორბირებს კანის მიერ. თავისი საშიშროებით იგი დაახლოებით ისეთივეა, როგორც რენტგენის სხივები, მაგრამ პრაქტიკულად მთლიანად შთანთქმება ოზონის ეკრანის მიერ.

შემდეგი ზონა (ულტრაიისფერი B₁ გაღლის სიგრძით 280-320ნმ) ულტრაიისფერი სპექტრის ყველაზე საშიში ზონაა, რომელსაც ახასიათებს კანცეროგენული გემოქმედება. ამ მოქმედების მექანიზმი უცნობია. ვარაუდობენ, რომ ის ელინდება დემოქსირიბონუკლეინმჟავას მოლეკულის დაზიანებით. რაც საფუძველია გენური დაზიანებებისა. ამის გარდა, ეს სხივები ახდენენ კანის უჯრედების ინაქტივირებას, იმ უჯრედებისა, რომლებიც იმუნიტეგმეა პასუხისმგებელი და ასევე ააქტიურებენ ზოგიერთ მიკროორგანიზმს.

რადიაცია, რომლის გაღლის სივრცე 320 ნანომეტრზე მეტია, არ შთაინთქმება ოზონის მიერ და იგი აღწევს ჯელამინის გელა-პირამდე. სპექტრის ამ ნაწილს დიდი ენერჯია აქვს. ცოცხალ ორგანიზმზე ასლენს ძირითად ქიმიურ ზემოქმედებას. კერძოდ, ულტრაიისფერი სხივები შედეგად ორგანიზმში ხდება ვიტამინ D-ს სინთეზი, რომელიც არეგულირებს კალციუმისა და ფოსფატის მიმოცვლას, რაც ხელს უწყობს ნორმალურ ზრდა-განვითარებას.

ამშ-ს გარემოს დაცვის სააგენტოს მონაცემებით ოზონის შრის დაშლის შემთხვევაში მოიმატებს კანის სამი სახის სიმსივნური დაავადების სიხშირე: ორი ყველაზე გავრცელებული კანის კიბოს დაავადება არის ბაზალურუჯრედული კიბო (ბაზალიომა) და ბრტყელუჯრედოვანი კიბო. 500 ათასზე მეტი ამერიკელი ყოველწლიურად ავადდება ამ სენით. აღრეულ სტადიაში ეს დაავადებები განკურნებადია. კანის კიბოს მესამე სახეობა სარკომა უფრო იშვიათად გვხვდება, ბევრად უფრო საშიში ფორმაა. ამშ-ში კანის კიბოთი გარდაცვლილთა 65% სწორედ სარკომაზე მოდის. 1970-1980 წლებში სსრკ-ში კანის სიმსივნურ დაავადებათა ზრდა აღინიშნებოდა 13%-ით. ვარაუდობენ, რომ ყოველ რვა წელიწადში ორჯერ გაიზრდება ამ დაავადებათა რაოდენობა.

მეცნიერები ძირითადად აღიარებენ იმ ფაქტს, რომ ულტრაიისფერი რადიაცია იწვევს კანის ბაზალოუჯრედულ ან ბრტყელუჯრედულ კიბოს, ხოლო დამოკიდებულება მზის რადიაციასა და სარკომას შორის ასე ამკარა არ არის. კიბოს უფრო მსუბუქი ფორმებისათვის შეიმჩნევა კორელაცია მზებზე გატარებულ დროის ხანგრძლივობასა და დაავადების გაჩენას შორის. უფრო ხშირად ავადდებიან მოხუცები (70-80 წლის ასაკში). დაავადება ვითარდება იმ ადგილზე, რომელიც მზის სინათლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფება, ძირითადად სახე და ხელები. ამშ-ის გარემოს დაცვის სააგენტომ გამოთვალა, რომ ულტრაიისფერი რადიაციის 2%-ით გაზრდა გამოიწვევს კანის მსუბუქი ფორმით დაავადების 2-6%-ით გაზრდას. სარკომით ავადდებიან უფრო ახალგაზრდა ადამიანები.

E₉₅₄ - საქარინი. ცხოველებზე ჩატარებული ცდებისას იწვევდა შარდის ბუშტის კიბოსა და ხელს უწყობდა უჯრედების პათოლოგიურ ზრდასა და ავთვისებიანი სიმსივნეების განვითარებას. დასაშვები დღიური დოზაა 5 მგ/კგ. არ გირჩევთ ხშირად მიღებას.

E₉₅₇ - თაუმაგინი. მიიღება გენური ინჟინერიით. ბუნებრივი თაუმაგინი საექვო არ არის. ხოლო გენური ინჟინერიით მიღებული თაუმაგინის შესახებ საბოლოო დასკვნა არ არსებობს.

E₉₅₉ - ნეოქსპერიდინი Dc - საექვო არ არის.

E₉₉₉, E₁₁₀₅, E₁₂₀₀, E₁₄₀₄, E₁₄₁₀, E₁₄₁₂, E₁₄₁₃, E₁₄₁₄, E₁₄₂₀, E₁₄₂₂, E₁₄₄₀, E₁₄₄₂, E₁₄₅₀ -საექვო არ არის.

E₁₅₀₅, E₁₅₁₈ დღეისათვის არ არსებობს საბოლოო დასკვნა. არსებული შემავსებლების ნომრები საქართველოს მწვანეებმა 1996 წ. 25 სექტემბერს გამომცემლობა Verbraucher-zentrale-გან. ამჟამად ზოგიერთი შემავსებლების E ნომრების ახალი ნუსხა

იქნა შემუშავებული (2003წ.) კთავაზობთ ამ ემულგატორების ჩამონათვალს მათი კლასიფიკაციისა და აღამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მიხედვით.

- E₁₀₂ - სახიფათო;
- E₁₀₃ - აკრძალული.
- E₁₀₅ - აკრძალული.
- E₁₁₀ - სახიფათო
- E₁₂₀ - საეჭვო
- E₁₂₁ - აკრძალული
- E₁₂₂ - საეჭვო
- E₁₂₃ - ძალიან სახიფათო
- E₁₂₄ - სახიფათო
- E₁₂₅ - აკრძალული
- E₁₂₆ - აკრძალული
- E₁₂₇ - სახიფათო
- E₁₃₀ - აკრძალული
- E₁₄₁ - საეჭვო
- E₁₄₂ კანცეროგენული
- E₁₅₀ - საეჭვო
- E₁₅₂ - აკრძალული
- E₁₇₁ - საეჭვო
- E₁₇₃ - საეჭვო
- E₁₈₀ - საეჭვო
- E₂₁₀ კანცეროგენული
- E₂₁₁ კანცეროგენული
- E₂₁₃ კანცეროგენული
- E₂₁₅ კანცეროგენული
- E₂₁₆ კანცეროგენული

E₂₁₇ კანცეროგენული

E₂₃₀ - კანისათვის საშიანო

E₂₃₁ კანისათვის საშიანო

E₂₃₂ - კანისათვის საშიანო

E₂₃₈ - კანისათვის საშიანო

E₂₄₀ კანცეროგენული

E₂₄₁ - საეჭვო

E₃₁₁ - გამონაყარი

E₃₁₂ - გამონაყარი

E₃₁₃ - გამონაყარი

E₃₃₀ კანცეროგენული

E₄₇₇ - საეჭვო

E₂₂₁ კუჭ-ნაწლავის გრაქტის მოშლა;

E₂₂₂ კუჭ-ნაწლავის გრაქტის მოშლა;

E₂₂₃ კუჭ-ნაწლავის გრაქტის მოშლა;

E₂₂₄ კუჭ-ნაწლავის გრაქტის მოშლა;

E₂₅₀ - არტერიული ცირკულაციის დარღვევა

E₂₅₁ - სისხლის ცირკულარების დარღვევა

E₃₂₀ - ქოლესტერინის მომაგება

E₃₂₁ - ქოლესტერინის მომაგება

E₃₂₂, E₃₃₈, E₃₃₉, E₃₄₀, E₃₄₁, E₄₀₇, E₄₅₀, E₄₆₂, E₄₆₃, E₄₆₅, E₄₆₆ - კუჭ-

ნაწლავის მოშლა.

ცნობილია, რომ უცხოეთის ცნობილი კომპანიები აწარმოებენ ერთი და იმავე დასახელების საკვები პროდუქციის სამ კატეგორიას: 1. ქვეყნის შიგნით გამოყენებისათვის; 2. მეზობელ ქვეყნებში ექსპორტისათვის; 3. განვითარებად ქვეყნებში ექსპორტისათვის.

სწორედ მესამე კატეგორიას განეკუთვნება საქართველოში შემოსული საკვები პროდუქტების, სიგარეტისა და ალკოჰოლიანი თუ უალკოჰოლო სასმელების 80%.

ცნობილ ფრანგულ გამოცემას „ვალენ-ნუველს“ თუ ენდობით,

საკეები პროდუქტების მსოფლიო მრეწველობის კომისიის თანახმად, დასაელეთის რიგი ფირმები ღღემღე აფართოებენ არამარგო ეკოლოგიურად სახიფათო პროდუქტების, არამედ ეუროპასა და ამერიკაში აკრძალული კონსერუანტების ექსპორტს. ამავე კომისიის თანახმად, ასეთი პროდუქტები მზადღება თურქეთში, საბერძნეთში (კეიპროსი), პოლანღიაში, ესპანეთში, შვეიცარიაში და სხვა ქვეყნებში.

უცხოეთიღან შემოსულ საკეებ პროდუქტს არაეინ ამოწმებს. არაღა აქსიომაა, რომ საკეები პროდუქტების გამოკეღევა აუციღებღია აღამიანის ჯანმრთეღობის უსაფრთხოებისათვის. ამღენაღ, აუციღებღია ქვეყანაში სახიფარული კანონის არსებობა. საკეები პროდუქტების უმრავღესობა კონტრაბანღული თარიღებგაღასწორებღული, არასერტიფიცირებღული და ვაღავასულია. იგი მოქმეღებს აღამიანის ჯანმრთეღობაზე, მის გენეტიკურ სისტემაზე, რაც უმღიმესი დააეაღებების მიზეზი ხღება.

გამყიღეღიე და მომხმარებღიეღ ღღეს მღიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზებიღან გამომღინარე, ნაკეებ ყურაღღებას აქევეს ეტიკეზე აღნიშნულ ინფორმაციას, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ეს ინფორმაციაც არ ახღავს შემოგანიღ საქონღეს.

ექიმ-ინფექციონისტების ექსპერტიზით დაღგენიღიღა, რომ ვაღავასული საკეები პროდუქტები აღამიანის ჯანმრთეღობაზე უარყოფით ვაღენას ახღენს, რაღგანაც ვაღავასულ საკეებ პროდუქტში ყვეღაზე ხშირია სტაფიღოკოკები და ნაწღაეის ინფექციური ჩხირები. ზოგჯერ უცნობია მოწამეღის კონკრეტული შემთხვეეის კღინიკური ნიშნები. ბაქტერიის „უცხო“ წარმომავღობა ამნეღებს ზუსტი ღიავნობის დასმას. შეღევი კი ძაღზე სავაღაღოა

ნიეთიერებათა ეღლის მთღიანი მოშღა (განსაკუთრებით ბავშვებში), ნაწღაეური ინფექციები, სისხლ-ძარღვეოვანი სისტემის დააეაღებები, კონსერვირებღული პროდუქტებში კი ბოგულიზმი. 2003 წღელს 9 თვის განმავღობაში მიღებღული მონაცემებით მარგო თბიღისის სუპერმარკეტებისა და მაღაზიების ქსეღიღან 3 ათასი კგ. ვაფუჭებღული ხორცი და 237 გ. ქაომის ბარკალი, ქათმის გულ-ღვიღღი 519გ; ქათმის კეჭები - 17გ; ღორის გაყინული ნეკნები 8 გ. და ა.შ. იქნა ამოღებღული. ასეთიეე ღონისძიებების ჩაგარეების შეღეგად საკმაოღ ცნობიღი და პრესტიეული სუპერმარკეტებიღან ამოღებღული იქნა უამრავი სახის ვაღავასული

და უვარგისი პროდუქცია. აღნიშნული პროდუქტების ლაბორატორიული შემოწმებით დადგინდა, რომ მათი მიღება იწვევს მოწამელას, მწვავე ინფექციური დაავადებისა და კანცეროგენული ხასიათის პათოლოგიებს ორგანიზმში. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი კი საქართველოში „ა“ და „ბ“ ჰეპატიტით დაავადებულთა რიცხვის მრდას სწორედ უხარისხო ხორცპროდუქტებით კვებას უკავშირებს. საქართველოს მოსახლეობის 65% სიღარიბის ზღვარზეა, 15% - ზღვრის მიღმა, ამიგომ ხალხი შედარებით იაფფასიან ხორცს ყიდულობს, რაც საშუალებას აძლევს ექსპორტიორებს, თავიანთი ვადაგასული და ჩაწოლილი საქონელი გაასაღონ. აქ სხვა ფაქტორზეც არის საუბარი, იმპორტირებული ხორცპროდუქტები შეიცავს ემულგატორებს, კანცეროგენულ ნივთიერებებს, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანს. საქართველოს ბაზრებსა და მაღაზიათა ქსელში 70% საკვებად არათუ უვარგისი, არამედ ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქტები იყიდება.

ხორცპროდუქტები და ქათმის ბარკლების უმრავლესობა, რომელიც მსოფლიო ბაზარზე იყიდება, გენმოდიფიცირებულია. უცხოეთში თვითთუელ პროდუქციას წარწერა აქვს, რომელიც მუსგად მიუთითებს პროდუქტის ხარისხს, ამის მიხედვით აკეთებს მომხმარებელი არჩევანს იყიდოს უფრო იაფი, მაგრამ გენური ინჟინერიით გამოყვანილი თუ ეკოლოგიურად სუფთა და ძვირადღირებული პროდუქტი. საქართველოში შემოსულ პროდუქტზე სერტიფიკატის მიხედვით მსჯელობა ძნელია, ხშირად შესაბამისი სერტიფიკატის არსებობაც არაფრის მანიშნებელია. რადგანაც დღეს საქართველოში 100-ზე მეტი შპს-ა შექმნილი, რომლებსაც უფლება აქვთ სერტიფიკატი გასცენ, რომლებიც ყოველგვარი ლაბორატორიული ანალიზის გარეშე იძლევიან ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს დადგენილი თანხის გადახდის საფასურად.

გენური მოდიფიკაციით მიღებული პროდუქტები მე-20 და 21-ე საუკუნეში ბიოლოგიის უდიდეს მიღწევად მიიჩნევა და სწორედ ამ პროდუქტების ფართო მასშტაბით მოხმარება წარმოადგენს გლობალურ შიმშილთან ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებას. მკვლევარების ნაწილი მიიჩნევს, რომ აღნიშნული პროდუქტები კაცობრიობას გაცილებით მეტ ზიანს მოუტანს, ვიდრე სიკეთეს.

მართალია, იგი საკვებით აკმაყოფილებს მოსახლეობას, მაგრამ წარმოადგენს ეკოლოგიურ „ბომბს“ ადამიანის ჯანმრთელობისათვის. მსოფლიოს 30-მდე ქვეყანაში არსებობს კანონი, რომლის თანახმად, თუ მოხმარებისთვის განკუთვნილი პროდუქტი გენური ინჟინერიითაა მიღებული ამის შესახებ მითითებული უნდა იყოს, რათა მომხმარებელმა არჩევანი თავად გააკეთოს, თუმცა ხშირ შემთხვევაში ამ წესის დაცვა სხვადასხვა მიზეზის გამო არ ხერხდება. სპეციალისტები გამოთქვამენ სერიოზულ შეშფოთებას, რომ არ არის გამორიცხული მოდიფიცირებულმა პროდუქტებმა ნეგატიური შედეგები გარკვეული დროის გაელის შემდეგ გამოაქვინოს, მაშინ. როდესაც ყველაფრის გამოსწორება უკვე დაგვიანებული იქნება.

მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციათა მონაცემებით ამ გზით მიღებული პროდუქტების უსაფრთხოების დასადაგენად საჭიროა გაირკვეს არის თუ არა პროდუქტი გოქსიური, შეიძლება თუ არა გამოიწვიოს მან ალერგიული რეაქციები, შეიძლება თუ არა სპეციფიკურ კომპონენტებს, რომლებიც შესაძლოა სხვა თუ არა, გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები. შეიძლება თუ არა სპეციფიკურ კომპონენტებს, რომლებიც შესაძლებელია სხვა ნივთიერებებთან კავშირში საზიანო აღმოჩნდეს და სხვ.

საბოლოოდ პასუხი მთავარ კითხვაზე ადამიანისათვის აბსოლუტურად უსაფრთხოა თუ არა გენური ინჟინერიით მიღებული პროდუქტები, დღემდე ძნელი სათქმელია. გენური ინჟინერიით მიღებული პროდუქტები საქაროველოშიც შემოდის (კარტოფილი, წიწიბურა, ხახვი, სათესლე მასალა და სსკ.), რაც ახალი რისკ-ფაქტორის წინაშე აყენებს მოსახლეობას და განსაკუთრებით რეპროდუქციული ასაკის მქონე ინდივიდებში. გამორკვეულია, რომ იგი იწვევს უშეილობას, გაველენას ახდენს ოოგენებისა და სპერმოგენების მიმდინარეობაზე და სსკ. რაც მომდევნო თაობებში იწვევს გენეტიკურ ანომალიებს.

ამრიგად, საკვები პროდუქტები, რომელიც აუცილებელია ადამიანის არსებობისა და ორგანიზმის ცხოველმყოფელობისათვის, შეიძლება ადამიანის მძიმე დაავადებების მიზეზი გახდეს; განსაკუთრებით თუ მისი სიჯანსაღისა და ეკოლოგიური სისუფთავის პრობლემა ღვას ღღის წესრიგში.

პესტიციდები და მათი გავლენა სოცხალ ორგანიზმებზე

პესტიციდები ქიმიური ან ბიოლოგიური პრეპარატებია, რომლებიც გამოიყენება მცენარეთა დაავადებებისა და მავნებლების, სარეველა მცენარეების, შენახული სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და საყოფაცხოვრებო მავნებლების, ცხოველთა პარაზიტების წინააღმდეგ, მცენარეთა ზრდის რეგულირებისათვის აგრეთვე მცენარეთა ფოთლების მოსაცილებლად და მცენარეების შესახმობად მოსავლის აღების წინ.

პესტიციდები (pestis - მავნე; caid ვკლავ) მცენარეთა და ცხოველთა მავნებლებისაგან დაცვის ქიმიური საშუალებების საერთო კრებითი სახელია. ისინი ამჟამად ფართოდაა გავრცელებული მთელს მსოფლიოში. ბოლო წლებში ფართოდ იყენებენ პროპესტიციდებს, რომლებსაც არ ახასიათებს პესტიციდური თვისებები, მაგრამ მავნე მწერების ან სხვა მავნე ორგანიზმებში მოხვედრისას გარდაიქმნებიან პესტიციდებად.

პესტიციდებს შემდეგ ძირითად ჯგუფებად ყოფენ:

აკარაციდები - ტკიპებთან საბრძოლველად;

ალგიციდები - წყალმცენარეების, წყლის სხვა მცენარეების გასანადგურებლად;

ანტისეპტიკები - ლითონური და არალითონური მასალებისა და ნაკეთობების მიკროორგანიზმებისაგან დასაცავად.

არბორიციდები - არასასურველი ხემცენარეებისა და ბუჩქების გასანადგურებლად.

აფიციდები - ბუვრებთან საბრძოლველად;

პერბიციდები - სარეველა მცენარეებთან საბრძოლველად;

ზოოციდები - მღრღნელებთან საბრძოლველად;

ინსექტიციდები - მავნე მწერებთან საბრძოლველად;

ლიმაციდები ან მოლუსკოციდები სხვა მოლუსკებთან საბრძოლველად;

ნემატოციდები - მრგვალ ჭიებთან საბრძოლველად

ფუნგიციდები ავადმყოფობასთან და ფიტოპათოგენურ სოკოებთან საბრძოლველად;

პესტიციდების მნიშვნელოვანი ჯგუფია მცენარეთა ზრდის სტიმულატორები; ისინი ამაღლებენ მცენარის მსხმოიარობას, აჩქარებენ ნაყოფის დამწიფებას, ხელს უწყობენ ვეგეტაციური გამრავლებისას მცენარის სწრაფ დაფესვიანებას, იცავენ მცენარეს ყინვისა და გვალვისაგან.

პესტიციდებს ასევე აჯგუფებენ გოქსიკურობის მიხედვით გარემოში და მათი ცირკულაციის გათვალისწინებით.

1. გოქსიკო-ჰიგიენური კლასიფიკაცია. ცოცხალი ორგანიზმების ნაწლავებში მოხეღრის მიხედვით გამოიყოფა კატეგორიები:

- ა) ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერებები;
მაღალგოქსიური შხამიანი ნივთიერებები;
საშუალოდ გოქსიკური შხამიანი ნივთიერებები;
მცირედ გოქსიკური შხამიანი ნივთიერებები;

ბ) გოქსიკურობა ჰიდრობიონტებისათვის:
მაღალგოქსიკური,

გოქსიკური

მცირედგოქსიკური

1.2. კლასიფიკაცია ნიადაგში მდგრადობის მიხედვით:

ა) ნიადაგში ნახევრად დაშლის პერიოდის მიხედვით გამოიყოფა შემდეგი კატეგორიები:

ძალზე მაღალი - 360 დღე-ღამე

მაღალი - 180-360 დღე-ღამე

საშუალო - 60-180 დღე-ღამე

დაბალი - 15-60 დღე-ღამე

ბ) არაგოქსიკურ ნივთიერებებად დაშლის დროის მიხედვით გამოიყოფა შემდეგი კატეგორიები;

ძალზე მდგრადი - 2 წელზე მეტი

მდგრადი - 0,5 - 2 წელი

საშუალოდ მდგრადი 1-6 თვე

ნაკლებად მდგრადი - 1 თვის განმავლობაში.

პესტიციდების არასწორმა გამოყენებამ შეიძლება არასასურველი შედეგები გამოიწვიოს. მათ უნარი აქვთ გამოიწვიონ არა მარტო მწერების, მღინარეების და სხვადასხვა მიკრობების, არამედ თბილსისხლიანი ცხოველების დაღუპვა. ისინი საშიშია ცოცხალი ბუნებისა და ადამიანებისათვის.

პესტიციდებიდან უფრო ხშირად გამოიყენება ქლორორგანული, ვერცხლისწყალორგანული და ფოსფორორგანული პესტიციდები.

ქლორორგანული პესტიციდიდან განსაკუთრებით ცნობილია დიქლორდიფენილტრიქლორეთანი (დღგ); დიქლორდიფენოლ-დიქლორეთანი (დღდ), პექსაქლორანი, ქლოროფოსი, პეპტაქლორი და სხვ. ისინი მდგრადია გარემოს სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედებისაღმი. მაგ, დღგ 115-120°C-ზე გაცხელებისას ძლევს 15 სთ-ის განმავლობაში, იშლება 170-200-ზე, ნიადაგში ინახება 10-15 წელი.

ქლორორგანული პესტიციდები კარგად იხსნება ცხიმებში, ამიგომ ისინი გროვდება ფრინველების, თევზების, ძუძუმწოვრების ცხიმების და ადამიანების ცხიმოვან ქსოვილებში. ისინი ადამიანის ორგანიზმში საკვებთან ერთად ხვდება. ქლორორგანული პესტიციდებით დაბინძურებული საკვების მიღებისას ქლორორგანული ნაერთები ადამიანის ორგანიზმში დიდი ხნის განმავლობაში რჩება. ისინი შეიძლება დამლუკველი აღმოჩნდეს ჩვილი ასაკის ბავშვებისათვის; ამიგომ არ უნდა მოხდნენ მეძუძური დელების საკვებში. ისინი ადამიანის ორგანიზმში შეჭრისას იწვევენ საერთო ავადობის ზრდას, ორსულობის პათოლოგიას, თანდაყოლილ ანაგომიურ და ფიზიოლოგიურ დეფექტებს, ბავშვის ფიზიკური განვითარების შეფერხებას, სასქესო ფუნქციის მოშლას, ფსიქიურ დეპრესიებს, მეხსიერების დაქვეითებას, კანცეროგენული ეფექტების სტიმულირებას და ა.შ.

დღგ და მისი წარმოებულები მეცნიერების მიერ დაფიქსირებულ იქნა ანგარქტიდაში, ცხადია აქ ისინი ჰაერის ნაკადებით და წყლის ღინებებით მოხვდა. დღგ-ს კონცენტრაცია ცხოველური წარმოშობის პროდუქტებსა და ადამიანის ორგანიზმში იმ ქვეყნებშიც კი, სადაც მისი მოხმარება აკრძალულია, 2-3-ჯერ აღემატება დასაშვებ ნორმებს.

მერსხლისნაქალორგანული პესტიციდები გოქსიკური ნივთიერებებია, ამიგომ მასთან მუშაობისას საჭიროა დიდი სიფრთხილე, დაუშვებელია მისი მოხედრა საკვებ პროდუქტებში. მას მიეკუთვნება გრანოზანი, მერკურანი, აგრონალი, ფალიზინი და სხვ.

ბრანოზანი - მდგრადია ხანგრძლივი დროის განმავლობაში. გამოიყენება ძირითადად მარცვლოვნების თესლის შესაწამლად;

მერკურბანოლი - გამოიყენება მარცვლოვანი კულტურების

შესაწამლავად.

მერკურკჰჰსანი გამოიყენება მარცვლეულის, ხილის და ბოსტნეულის კულტურების დასაცავად სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებებისგან დასაცავად. ამ ბოლო დროს დაიწყეს ვერცხლისწყალორგანული ნაერთების შეცვლა ნაკლებად ტოქსიური ნივთიერებებით.

შოსფორორბანული პესტიციდები ადამიანის ჯანმრთელობისათვის და გარემოს დაბინძურებისადმი ნაკლებად უსაფრთხოა. მათ მიეკუთვნება თიოფოსი, კარბოფოსი, მეგაფოსი, როგერი და სხვ. ისინი გამოიყენება ბამბის ტკიპას, მარცვლოვანი კულტურებისა და ხეხილის მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად. 20 წელზე მეტია თიოფოსის სმარება აკრძალულია, მაგრამ ხალხი მას მაინც იყენებს. პესტიციდებმა ფართო გამოყენება ჰპოვეს ამიის ქვეყნებში. მსოფლიო ინსტიტუტის მონაცემებით მილიონობით ღოღარი ისარჯება ყოველწლიურად ფერმიების მიერ ქიმიკატების შესაძენად, ხოლო ისეთი ქვეყნები, როგორცაა ჩინეთი, ინდონეზია და პაკისტანი, პესტიციდებს სუბსიდიების გარეშე ღებულობენ. ექსპერიმენტებმა დაადგინეს, რომ გასვითარებად ქვეყნებში ყოველწლიურად 10 ათასი ადამიანი კვდება და 40 ათასი ადამიანი იგანჯება პესტიციდებით მოწამელის შედეგად. ჩინეთსა და ინდოეთში მდგრადი პესტიციდების გამოყენების გამო ისინი ამ ქვეყნების ქალის რბეში მაღალი კონცენტრაციით აღინიშნება. მაღალიზიის ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით 1980-1987 წწ ქიმიკატით მოწამელის შედეგად 1200 ადამიანი დაიღუპა. დსთ ქვეყნებში მაკონტროლებელი ორგანოების მკაცრი კონტროლის დაუყველობის გამო 400 ათასი პესტიციდიდან კონტროლს მხოლოდ 60 ექვემდებარება. ამ ქვეყნებში მათი გამოყენების ეფექტურობა წელიწადში მხოლოდ 10%-ს შეადგენს, ხოლო უმიზნოდ გამოიყენება 200000 ტ. ნიადაგში დღეს-სამუხალ კონცენტრაცია აზერბაიჯანში, სომხეთსა, მოლდავეთსა და უზბეკეთში 2-8-ჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას. ბელორუსიასა და საქართველოში ნიადაგების ყოველ მეოთხე სინჯში ზღვრულად დასაშვებ ნორმაზე მეტი პესტიციდი აღმოჩნდა (I p m á é ñ ð ð á ñ ð "Yñ ò ð á ñ ÑÑÑ, I 1992 á; ხუგაშვილი მ; თბილისი, 2000).

პესტიციდები ცირკულირებენ გარემოში, სელებიან ატმოსფეროში, ჰიდროსფეროში, ნიადაგში, მცენარეებში, ჰიდრობიონტებში,

აღამიანებისა და ცხოველების ორგანიზმებში. ბოგიერთი მათგანი, რომლებსაც დაბალი პერსისგენგობა აქვთ, მალე იშლება და არ გროვდება გარემოში, ხოლო მდგრადი პესტიცილები, ადვილად და სწრაფად გროვდება ნიადაგებსა და ცოცხალ ორგანიზმებში. ნიადაგიდან პესტიცილები ხედება საკეებში ზედაპირულ წყლებში, რაც იწვევს ბუნებრივი რესურსების განადგურებას და საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

ცხრილი 5

ნიადაგში პესტიცილების მღერულად დასაშეები კონცენგრააციები		
1	პესტიცილის დასახელება	მ.დ.კ. ნიადაგში მგ/ კგ
1	ტექნიკური ჰექსაქლორანი	0,5
2	ქლოროფოსი	2
3	კარბოფოსი	1
4	ლინდონი	0,5
5	პოლიქლორკამფენი	0,5
6	პოლიქლორინენი	0,5
7	პრომეგრინი	0,5
8	ქლორალითი	0,05
9	კარბარილი	0,05

1. ე. გამყრელიძე, პესტიცილები, თბილისი, 2002

ცხრილი 5-ში მოცემულია ბოგიერთი პესტიცილის მღერულად დასაშეები კონცენგრააციები.

პესტიცილების უდიდესი ნაწილი აგმოსფეროში ხედება მათი გამოყენების პროცესში. პესტიცილებით ტყეებისა და ნათესების შეწამვლა ხდება სპეციალური მოწყობილობებით ან ავიაციის საშუალებით.

პესტიცილების ჰიდროსფეროში მოხედრის გზაა მათი ჩამორეცხვა მინდერებიდან და ნათესი ფართობებიდან წვიმის წყლით და ხედება წყლის აუზში. პესტიცილებით ბინძურდება გრუნგის წყლებიც; წყალსატევეებში პესტიცილები ჰიდროსფეროში ხედება იმ საწარმოებიდან, რომლებიც მათ ამზადებენ. ჰიდროსფეროში და

აგმოსუეროში პესტიცილები განიცდის გარლაქმნებს. ამ სახით ისინი დიდხანს ინარჩუნებენ მღკრადობას. ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს პესტიცილის შერჩევისას წარმოადგენს მისი ტოქსიკურობა პიღრობიონტებისადმი და უნარი მათი კონცენტრაციისადმი, მათ შორის პლანქტონში, ხერხემლიანებსა და უხერხემლოებში.

აღამიანის და ცხოველებისათვის განსაკუთრებით საშიშია შემდეგი პესტიცილები: დღკ, ვინილქლორიდი, დიელდრონი, კეპონი, სიმამინი, პეპტაქლორი. ქლორდანი. ლინდანი, ალდრინი, ტრიქლოროფენილი და სხვ. იმ შემთხვევაში თუ ისინი სასმელ წყალში ან საკვებში მოხედებიან.

პესტიცილების შერჩევისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნას მათი დაშლის სიჩქარე ნიადაგში, ასევე მათი გავლენა ნიადაგში არსებულ ორგანიზმებზე. ნიადაგში პესტიცილების არსებობის ხანგრძლივობა (პერსისტენტობა) დამოკიდებულია თვით პესტიცილის ქიმიურ სტრუქტურაზე, ფიზიკურ თვისებებზე, განსაკუთრებით წყალში ხსნადობასა და აქროლადობაზე, ნიადაგის აღსორბციულ თვისებებზე, ტემპერატურაზე, ტენიანობაზე, პესტიცილის გამოყენების შემდეგ ნალექების რაოდენობაზე, ნიადაგის მიკროსკოპულ შემადგენლობაზე და სხვ. ფაქტორებზე.

მღკრადი პესტიცილები წარმოადგენენ ძირითად ფაქტორს გარემოს მეორადი დაბინძურების პროცესში. კვების პროდუქტები, რომლებიც არასოდეს არ დაუმუშავებიათ პესტიცილებით, მაინც შეიცავენ მათ. დღკ გროვდება და ინახება ნიადაგში. მტვრიან ქარიშხალს ასეთი მიწის ნაწილაკები საკმაოდ დიდ მანძილზე გადააქვს. წვიმასთან ერთად მტვერი ილექება ისეთ ადგილებში, სადაც ეს პესტიცილები არასოდეს არ გამოუყენებიათ. მაგ. დღკ-ს კვალი აღმოჩენილი იქნა არქტიკული სელაჰის, დელფინისა და თევზების ცხიმოვან ქსოვილებში.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში პესტიცილების გამოყენებას მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ. პესტიცილების შერჩევისას ძალზე მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს აღამიანის ორგანიზმში მათი შეღწევის გზები. მაღალი ტოქსიკურობის ნიუთიერებებს უნარი აქვთ აღამიანის სასუნთქ სისტემასა და კანში შეღწევის, ამიგომ სასიკვდილო დომის განსაზღვრისას აუცილებელია


დადგინდეს პრეპარატის ტოქსიკურობა არა მარტო კუჭ-ნაწლავში, არამედ მისი ორთქლის კანზე მოხეიდრისას და სასუნთქ გზებში ინჰალაციის დროს.

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ხდება პესტიციდების ნარჩენების ნორმირება მცენარეული და ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტებსა და აგრეთვე საფურაქე მასალაში. პესტიციდების ნარჩენი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ დაწესებულ მინიმალურად დასაშვებ ღონეს ან ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას, რომლის დადგენა ხდება ძუძუმწოვრებში ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოცდის საფუძველზე. მკაცრი ნორმებია დადგენილი ფართო მოხმარების კვების პროდუქტებზე (ფქვილი, ხორცი, კარაქი, რძე და სხვ.) და შეღარებით ნაკლები მკაცრი სემონური პროდუქტების მოხმარებისადმი (ხილი, კენკრა და სხვ.).


პესტიციდების შერჩევა დიდად არის დამოკიდებული მის ძირითად დანიშნულებაზე, გამოყენების მიზნობრიობასა და ეკოლოგიურ მოთხოვნებზე. წესით, თუ ნიადაგში აღმოჩენილი იქნა პესტიციდი ნორმით დასაშვებზე მეტი, მაშინ მისი გამოყენება აკრძალულია. ამ ბოლო 10 წლის განმავლობაში განვითარებულ ქვეყნებში სტაბილური პრეპარატების გამოყენება მცირდება, იზრდება ისეთი პესტიციდების წარმოება, რომლებიც გარემოში აღვილად იშლებიან.

სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია ქმნის მასიური ქრონიკული ინტოქსიკაციის საშიშროებას, რისთვისაც საჭირო ხდება პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება. კერძოდ, ძალზე ტოქსიკური პესტიციდების გამოყენების შეზღუდვა, პესტიციდების რაოდენობის შემცირება, ნარჩენი პესტიციდების ზღვის დადგენა, მხამქიმიკატების ხმარების ვადების დაცვა და სხვ.

პესტიციდების გამოყენების აუცილებელი პირობაა მისი დაშლა მოსავლის აღების წინ. ნიადაგში შესაგანი პრეპარატის პერსისტენტობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ საეფეგაციო პერიოდს პერბიციდებისათვის და ორ საეფეგაციო პერიოდს ნიადაგის მავნებლებისათვის, ამასთან პრეპარატი არ უნდა შთაინთქმებოდეს მცენარის მიერ და არ უნდა გროვებოდეს ნაყოფებში ან სხვა ნაწილებში, რომლებსაც ადამიანები ან შინაური ცხოველები იყენებენ საკვებად, წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხე ექმნება ბუნებრივ



ნიადაგის დაბინძურება პესტიციდებით



რესურსებს და ადამიანის ჯანმრთელობას (სქემა 65).

არსებობს 4 ძირითადი გზა, რომლითაც გოქსიკური ნივთიერებები ადამიანის საკვებში ხვდება. ესენია: 1) ბუნებრივი გოქსინები; 2) პესტიციდების ნარჩენები, რომლებიც კვების პროდუქტებში, ძირითადად მცენარეულ საკვებში, ნარჩენების სახით გროვდება; 3) ხორციში მოხვედრილი ნარჩენები, რომლებსაც პირუტყვის საკვებს უმატებენ. 4. გოქსიკური ნივთიერებები, რომლებიც ადამიანის კვების პროდუქტებში შემთხვევით ხვდებიან კაგასგროფების ან განსაკუთრებული სიტუაციების შედეგად.

მიუხედავად იმისა, რომ რიგი პესტიციდების გამოყენება აკრძალულია, იგი მოიპოვება მრავალი ქვეყნის მოსახლეობის საკვებ პროდუქტებში. ეს პესტიციდი წარმატებით გამოიყენება განვითარებად ქვეყნებში. მაგ. ღვ-ს იყენებენ ყავის პლანტაციებში, ხეხილის ბაღებში, ბოსტნეული კულტურისა და ნათესების მანებლებისგან დასაცავად. ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში ბანანი, ფორთოხალი და ბოსტნეული კულტურების დიდი ნაწილი განვითარებადი ქვეყნებიდან შემოაქვთ.

ამშ თვითონ არის აკრძალული პესტიციდების ექსპორტიორი განვითარებად ქვეყნებში, იქედან კი პესტიციდები საკვებ პროდუქტებთან ერთად უბრუნდება არა მარტო ამერიკელებს, არამედ ვრცელდება ევროპის ქვეყნებში, თურქეთში შემდეგ საქართველოსა და კავკასიის მთელს რეგიონში ბანანთან და ფორთოხალთან და სხვა ბოსტნეულ კულტურებთან ერთად და სხვ. ბოსტნეულ კულტურებთან ერთად, რომლებიც განვითარებადი ქვეყნებიდან შემოაქვთ.

განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში აკრძალული პესტიციდები განვითარებად ქვეყნებს მიეწოდება უეტიკეტოდ, ინსტრუქციის გარეშე. მოსახლეობასა და მომუშავე პერსონალს წარმოდგენა არა აქვთ მათ გოქსიკურობაზე. ისინი თვეობით ინახება თოვლში, მზის სხივებისა და წვიმის ქვეშ, რაც ხელს უწყობს მათ გაჟონვას გარემოში. ზოგიერთ პესტიციდს თან ახლავს ინსტრუქცია, მაგრამ ის უცხოურ ენაზეა და ნაკლებად მისაწვდომია ადგილობრივი მოსახლეობისათვის. სამწუხაროდ, ბევრმა არც ის იცის, რომ თითოეული მცენარისთვის პესტიციდი ინდივიდუალურადაა შესარჩევი. მაგ. საქართველოში რამდენიმე წლის წინ შაბიამნის ნაცვლად შუა

აზიიდან შემოიგანეს უეტიკეტო პესტიციდი, რომელიც როგორც გამოირკვა, ბამბისათვის იყო განკუთვნილი. შედეგი კი კარგადაა ცნობილი. მას მოჰყვა ბევრ რაიონში ეაჩის აჩეხვა. მართალია ზოგან ეაჩი გადარჩა, მაგრამ გლუხობას უმჯობესი იყო აქ მოსული ყურძნისგან ლეინის დამზადებაზე თავი შეეკავებინათ.

პესტიციდების გამოყენება განკითარებად ქვეყნებში გლობალური პრობლემაა, რომელიც უშუალო კავშირშია ჩვენი პლანეტის მოსახლეობის თითქმის ნახევრის ჯანმრთელობა. პესტიციდები ასევე გაელენას ასლენენ ომონის მთლიანობაზე, რომელიც ამავედროულად ადამიანის ჯანმრთელობაზეც ასლენს გაელენას. ადამიანის ჯანმრთელობა ბევრადაა დამოკიდებული ჯანსაღ საკვებზე. აშშ-ისა და ევროპის მოსახლეობის შეძლებულმა ფენამ უარი თქვა პესტიციდების გამოყენებით მიღებულ კვების პროდუქტებზე. ამ ქვეყნების "Natur Product"-ის მალაზიებში იყილება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები.

პესტიციდების გამოყენებისას აუცილებელია დავიცვათ ღომები, რადგანაც იგი ერთდროულად შხამიცაა და სამკურნალო საშუალებაც. აუცილებელია მოსახლეობა ფლობდეს ელემენტარულ ცნობებს პესტიციდებსა და მათს გამოყენებაზე. შხამქიმიკატების ნორმირებულ და მიზანდასახული მოხმარებით თავიდან ავიცილებთ ადამიანის ჯანმრთელობისთვის უარყოფით შედეგებს, რომელიც მოაქვს საკვებ პროდუქტებში პესტიციდების და მათი ნარჩენების მოხვედრას. უარყოფითი შედეგები გამოიხატება კიბოს რისკის მრდით, რეპროდუქციულ დარღვევებით, თანდაყოლილი დეფექტების გამოვლინებით.

დასახლებული ადგილების გადანაყარის ბაჟი ადამიანის ჯანმრთელობაზე


დასახლებულ გერიტორიაზე ადამიანების ცხოვრება-საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება სხვადასხვა ნარჩენი და გადანაყარი, რომლებიც აუარესებენ დასახლებული ადგილის სანიტარული მდგომარეობას და ქმნის რიგი ინფექციებისა და ინვაზიების გაერცელების საშიშროებას.

ორგანული ნივთიერებების შემცველი გადანაყარები ლქება და იხრწნება, რის შედეგადაც გამოყოფს მავნე აირებს (ამონიაკს, გოგირდწყალბადს, მეთანს, ინდოლს, სკატოლს და სხვ.), არასრული დამლის პროდუქტებს, რომლებიც ხშირად აბინძურებენ ჰაერს, ნიადაგს, წყალსაგეეებსა და ნიადაგქვეშა წყლებს, რაც შეიძლება ადამიანთა მძიმე დაავადებების მიზეზი გახდეს.

გადანაყარებში ხანგრძლივად ძლებს სხვადასხვა ინფექციური დაავადებების გამომწვევი მიკრობები (მუცლის გიფის, პარატიფების, დიზენტერიის, ტუბერკულოზის, ციმბირის წყლულის გამომწვევები), ზოგიერთი მათგანი კვირაობით და თვეობითაც კი ინარჩუნებს ცხოველმყოფელობის უნარს, რითაც ღიდ ეპიდემიურ საშიშროებას ქმნის მოსახლეობისათვის (სქემა 66).

დადგენილია გადანაყარის როლი ზოგიერთი ვირუსული დაავადების პოლიომიელიტი, ბოტკინის დაავადება) გაერცელებაში. ღიღია გადანაყარის როლი ინვაზიების, განსაკუთრებით ჰელმინთების გაერცელებაში (ასკარიდები და სხვ.), ვინაიდან გადანაყართან ერთად ჰელმინთების კვერცხები ხელება ნიადაგში, სადაც ისინი მწიფდებიან ინვაზიურ სტადიამდე. გადანაყარი (ნაგავი, ნეხვი, ფეკალური მასები, საკეების ნარჩენები) წარმოადგენს საუკეთესო სუბსტრატს ბუზების და სხვა სინანტროპული პარაზიტების გამრავლებისა და განვითარებისათვის, რომლებიც ეგუებიან ადამიანთან ახლო ცხოვრებას და ადვილად შეუძლიათ გააერცელონ ინფექციური დაავადებები და ჰელმინთოზები.

დადგენილია გადანაყარის როლი მღრღნელების გაერცელებაში, ვინაიდან სხვადასხვა სახის გადანაყარი მათთვის კარგი საკეები და საცხოვრებელი ადგილია. მღრღნელები კი როგორც ცნობილია, წარმოადგენს ზოგიერთი ინფექციური დაავადების (ლეპტოსპიროზი,



შავი ჭირი, გულარემია) არა მარტო ვადამტანს, არამედ რეზერვუარსაც.

დასახლებული ადგილების სანიტარული დასუფთავების სწორმა ორგანიზაციამ შეიძლება მოგვეცეს დიდი გამაჯანსაღებელი ეფექტი. ამასთანავე, საჭიროა ვიცოდეთ, რომ გადანაყარის გარკვეულ ნაწილს დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. მაგ. საოჯახო გადანაყარი შეიცავს 6%-მდე (წონით) მეორად სამრეწველო ნედლეულს. შესაძლებელია საჭმლის ნარჩენების ცხოველების გამოსაკეებად გამოყენება; ნაგავი, რომელიც გარკვეული რაოდენობით შეიცავს ორგანულ ნივთიერებებს, წვის შედეგად გამოყოფს სითბოს, შეიძლება გამოვიყენოთ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

დღეისათვის მიღებული კლასიფიკაციით გადანაყარის ორი ძირითადი ჯგუფია: მკერივი (მყარი) და თხიერი, რომელიც თავის მხრივ იყოფა ცალკეულ ქვეჯგუფებად

ა. თხიერი გადანაყარი

1. უსუფთაობანი (ფეკალური მასები და შარდი);
2. ნარეცი (საჭმლის თხიერი ნაწილი, განის ნაბანი, ჭურჭლის, თეთრეულის, იაგაკის ნარეცი ჭუჭყიანი წყალი);
3. სამრეწველო ნახმარი წყლები;
4. აბანო-სამრეცხაობის ნახმარი წყლები;
5. აგმოსფერული წყლები;

ბ. მყარი გადანაყარი.

1. საოჯახო ნაგავი;
2. ქუჩის ნაგავი;
3. ნეხვი;
4. სამრეწველო და საეაჭრო საწარმო-დაწესებულებების გადანაყარი;
5. საზოგადოებრივი კვების ნარჩენები და გადანაყარი;
6. ცხოველური წარმოშობის ნარჩენები და გადანაყარი (ცხოველისა გვამები, სასაკლავო გადანაყარი);
7. სანიტარული ზედამხედველობის მიერ კონფისკაციაქმნილი გაფუჭებული საკვები პროდუქტები.

მყარი ნარჩენები ინფექციური დაავადების გავრცელების წყაროა. მისთვის დამახასიათებელია ადვილ აალებადი

ნივთიერებების შემცველობა.

განვითარებულ ქვეყნებში ხალხი დიდი რაოდენობით ნაგავს ყრის. აშშ-ში ყოველწლიურად იმდენი ნაგავი იყრება, რომ ამ ნარჩენების წონის ეკვივალენტური წყალი 50მ. სიგრძის 6800მ სიგანის უზარმაზარ საცურაო აუზს გააქსებდა. ნიუ-იორკელთა მიერ ყოველწლიურად გადაყრილი ნაგავი სრულიად საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ ქალაქის უზარმაზარი ცენტრალური პარკი ნარჩენების 4 მეტრიანი ფენით დაფარულიყო (პარკი გაშენებულია 3413ა-ზე). გერმანიის მოსახლეობის მიერ ყოველწლიურად გადაყრილი ნაგავი თავისუფლად ააქსებდა ბერლინიდან აფრიკის სანაპირომდე - დაახლოებით 1800 კმ სიგრძეზე გაჭიმულ საგვირვთო მატარებელს. ბრიტანეთში დაიანგარიშეს, რომ ოთხი წევრისგან შემდგარი ოჯახი წელიწადში ექვსი ხის ეკვივალენტურ ქალაქს ყრის. ნაგვის მოზღვაუებას ვერც განვითარებადი ქვეყნები აღწევენ თავს. ცუდია ის, რომ პლანეტის 6 მილიარდიანი მოსახლეობის უმრავლესობა უკვე იწყებს ამერიკის და დანარჩენი განვითარებული ქვეყნების მაგალითის მიბაძვას და ნაგვის გროვების დაყენებას.

თანამედროვე მსოფლიოში, რომელშიც მრეწველობა და მეცნიერება განვითარებას განიცდის, ნაგვის ახალ-ახალი სახეები ჩნდება. გაზეთი „ველტი“ (გერმანია) იუწყება რომ „ეკოპოკაემირის ქვეყნებში ყოველწლიურად დაახლოებით 9 მილიონ აეგომანქანას აგდებენ“. არსებობს უფრო პრობლემატური საკითხი, რამდენად უსაფრთხო ხდება ბირთვული და ქიმიური ნარჩენების მოცილება. 1991წ. შეერთებულ შტატებს „არ გააჩნდა ადგილი, სადაც მუდმივად შეინახავდა დიდი რაოდენობის დაგროვილ რადიოაქტიურ ნარჩენებს. სიცოცხლისთვის საშიში მილიონი კასრი ნივთიერება დროებით საწყობში იყო შენახული, სადაც მუდამ არსებობდა მისი დაკარგვის, მოპარვის .ან გარემოს დაზიანების საშიშროება არასწორად გამოყენების შემთხვევაში. 1999 წ. შეერთებული შტატების 20000-მდე კომერციული თუ სახელმწიფოს სახიფათო ნარჩენებმა 40 მილიონ ტონას გადააჭარბა. ამერიკა და რიგი განვითარებული ქვეყნები განვითარებად ქვეყნებს მოუწოდებენ თავიანთ ტერიტორიაზე დამარხონ ეს გადანაყარები მყარადი ანამზაურების საფასურად. განვითარებადი და ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები ზოგჯერ იძულებულია მიიღოს ეს მომაკედინებელი

ნარჩენები, რათა მინიმალურად მაინც დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნები. ნიგერიაში აღმოაჩინეს 3500 ტ. გოქსიკური ნიეთიერება, რომელიც 8000 ტონიანი ქანგისგან შეჭმული ცისტერნიდან ქონაქდა და როგორც ნიადაგს, ასევე გრუნტის წყლებს წამლავდა. ამის უამრავი მაგალითები შეიძლება მოვიყვანოთ აფრიკის და აზიის მრავალ ქვეყანაში.

დასახლებული ადგილების დასუფთავების სწორი ორგანიზაციისას დიდი მნიშვნელობა აქვს დაგროვილი გადანაყარის რაოდენობის ზუსტად აღრიცხვას, ვინაიდან მის საფუძველზე ღვება დასუფთავების პროექტი, გაიანგარიშება ნაგებობები, გრანსპორტი და სხვა.

გადანაყარის დაგროვების რაოდენობა დასახლებულ ადგილებში იცვლება კლიმატის, წელიწადის დროის, დასახლებული ადგილის ფართობის, მისი კეთილმოწყობის, მრეწველობისა და მშენებლობის განვითარების, მოსახლეობის ცხოვრების ეკონომიკური და კულტურული დონისა და სხვა ფაქტორების შესაბამისად.

დასახლებული ადგილებიდან გადანაყარის მოშორება ორი მეთოდით ხდება: 1. წყალსაზიდი სისტემის, ანუ კანალიზაციის დროს თხიერი უსუფთაობა (ფეკალური მასები, შარდი, ნარეცხი, სამრეწველო საწარმოების და აბანო-სამრეცხაოების ნახშიარი წყლები). მიღების ან შახტების (გვირაბების) საშუალებით გადაიტანება დასახლებული პუნქტის გარეთ, სადაც ხდება მისი გაწმენდა, გაუვნებლება და წყალსატევეში ჩაშუება; 2. გადაზიდვის სისტემით — მკერივი გადანაყარი იქ, სადაც კანალიზაცია არ არის, თხიერი უსუფთაობა სპეციალური გრანსპორტის საშუალებით გააქვთ მათი გაუვნებლებისა და უტილიზაციის ადგილზე.

მთლიანად და ნაწილობრივ კანალიზებულ დასახლებულ ადგილებში თხიერი უსუფთაობა მიდის საკანალიზაციო მილებით, ხოლო მკერივი ნარჩენები - გადაზიდვის სისტემით ე.ი. დასუფთავებით. არაკანალიზებულ დასახლებულ ადგილებში იყენებენ დასუფთავების (გადაზიდვის) სისტემას, გააქვთ თხიერი და მკერივი გადანაყარიც.

დასახლებული ადგილების დასუფთავებისათვის გაცილებით სრულყოფილია წყალსაზიდი ანუ კანალიზაციის სისტემა, რომელსაც გადაზიდვის (დასუფთავების) სისტემასთან შედარებით აქვს

სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური, საყოფაცხოვრებო და ეკონომიკური უპირატესობა. საკანალიზაციო მიწებში მოხვედრილი გადაწყარო არ აბინძურებს გარემოს, გამოირიცხავს მასთან ალამიანის კონტაქტს, მაგრამ დასახლებული ადგილების დასუფთავებაში არც გადაზიდვის სისტემა კარგავს როლსა და მნიშვნელობას. იგი საჭიროა როგორც არაკანალიზებულ და ნაწილობრივ კანალიზებულ დასახლებულ ადგილებში, ასევე კანალიზებულ პუნქტებში მყარი გადანაყარის მოსაშორებლად.

სათანადო გამოკვლევის საფუძველზე დადგენილია, რომ უსუფთაობის რაოდენობა წლის განმავლობაში ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 0,5გ (486,5კგ) ან 0,5მ³-ს. უსუფთაობის უმთავრეს ნაწილს შეადგენს წყალი (93,0%), სოლო დანარჩენი მასა ძირითადად ორგანული ნივთიერებებია (5,7%). მინერალური მარილებიდან აღსანიშნავია ამოგი, ფოსფორი, კალიუმი. უსუფთაობანი დიდი რაოდენობით შეიცავს სხვადასხვა მიკრობებს (მუცლის ტიფის, პარატიფების, ღებნგერიის გამომწვევნი), ჰელმინთების კვერცხებს. უსუფთაობაში არსებული ორგანული ნივთიერებები ადვილად იხრწნება და მიკროორგანიზმებისათვის კარგ გარემოს ქმნის.

უსუფთაობის არასწორი, არადროული შეგროვება და გაგანა ხელს უწყობს ჰაერში აირების წარმოქმნას. ნიადაგისა და ნიადაგქვეშა წყლების გაბინძურებას. ისინი ხშირად ჩაედინებიან ან ჩაირეცხებიან ღია წყალსატევებში, იწვევენ მათ გაბინძურებას და ინფიცირებას.

თხიერი გადანაყარის სახეა ნარეცხი. იგი შეიცავს ორგანული ნივთიერებების გარკვეულ რაოდენობას და ქმნიან სხვადასხვა მიკროორგანიზმების გამრავლებისათვის ხელსაყრელ პირობებს.

დადგენილია, რომ წლიურად ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ 2მ³ ნარეცხი მოდის. მისი გაგანა ხდება საკანალიზაციო სისტემით, მაგრამ სადაც იგი არაა, აწყობენ ნარეცხის ორმოებს. უსუფთაობის გასაგანად არსებობს საასენიზაციო გრანსპორტი, რომლის საშუალებითაც ქალაქის არაკანალიზებული რაიონებიდან თხიერი უსუფთაობა მიაქვთ საკანალიზაციო კოლექტორში ჩასაშვებად. კონცენტრირებული თხიერი უსუფთაობა ბაელება 2-3-ჯერ წყალსატევის წყლით.

თხიერი უსუფთაობის გაუენებლობისათვის მიღებულია 2 ხერხი:
1. საასენიზაციო ველები, რომლებზეც ხდება როგორც უსუფთაობის გაუენებლება, ასევე სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვა და
2) სახნავი ველები, რომლებზეც ხდება მხოლოდ უსუფთაობის გაუენებლობა, მიწის ნაკვეთი სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის არ გამოიყენება.

საასენიზაციო ველის ეფექტური მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოს ფაქტორებს, უპირატესად ნიადაგსა და კლიმატს. ამ მხრივ უმჯობესია მშრალი, ფხვიერი, წყლისა და კაერის კარგი გამტარი ნიადაგი. საასენიზაციო ველები ეწყება დასახლებული ადგილების გარეთ, საცხოვრებელი რაიონიდან არანაკლებ 1კმ-ის მოშორებით. საასენიზაციო ველებზე ნიადაგისა და მასზე მოყვანილი ბოსტნეულის ბაქტერიოლოგიური და ჰელმინთოლოგიური გამოკვლევებით დადგენილია, რომ ნიადაგში არსებული მიკრობები და ჰელმინთების კვერცხები ილუქება ნიადაგის უსუფთაობით მორწყვის მეორე წელს. ამიტომ მიღებულია, რომ პირველ წელს საასენიზაციო მინდერებზე დაითესოს მხოლოდ ის კულტურები, რომლებიც ადამიანისათვის საკვებად არ გამოიყენება უმი სახით. დასახლებული ადგილებისათვის საასენიზაციო ველის საჭირო ფართობის გამოანგარიშებისათვის უნდა ეიცოდეთ მცხოვრებთა და გასამიდი უსუფთაობის რაოდენობა, ნიადაგის დატვირთვის სიდიდე და თესლბრუნვის რაოდენობა. მაგ. თუ გვსურს მოვაწყოთ საასენიზაციო ველი უსუფთაობის გაუენებლებისთვის 1000 მცხოვრებზე სამწლიანი თესლბრუნვით, საშუალო ნორმით საჭიროა 1,8 ჰა.

მკვრივი გადანაყარის ერთ-ერთი სახეა ნაგავი. ქალაქის ნაგავში შედის საბინაო, ეზოს და ქუჩის ნაგავი, სამზარეულოსა და საჭმლის ნარჩენები, ზოგჯერ ფეკალიები. ნაგვის დაგროვების ნორმა 1 მცხოვრებზე დღე-ღამეში საშუალოდ შეადგენს 0,5კგ-ს, ხოლო წელიწადში 200კგ, ანუ 0,5მ³-დან 1მ³-მდე. ნაგვის მოცულობითი წონა მეტად ცვალებადია არა მარტო ქალაქისათვის, არამედ ქალაქის სხვადასხვა რაიონებისთვისაც კი, იგი იცვლება წელიწადის დროების მიხედვითაც.

ტენიანობა აღიღებს ნაგვის მოცულობით წონას, ხელს უწყობს

მის ლპობას, აბრკოლებს წყის პროცესს. ქალაქის ნაგავი შეიცავს 10-20%-მდე უგილს, რის გამოც იგი კარგი მეორადი ნედლეულია სახალხო მეურნეობის სხვადასხვა ღარჯისათვის. ქალაქის ნაგავი 1--30%-მდე შეიცავს სამზარეულოს გადანაქარებს, რომელიც კარგი საკვებია ცხოველებისთვის. სამზარეულო ნარჩენების ქიმიური შემადგენლობა ასეთია: მინერალური ნაწილი 18,44%; ორგანული ნაწილი 81,56%, ორგანული ნახშირბადი 30-35%; აზოტი - 2,31%; ფოსფორი - 1,81%; კალიუმი - 1,46%. ეს ნივთიერებები ნიადაგის გასანოყიერებლად გამოიყენება.

ნაგვის ლიკეიდაციის მნიშვნელოვანი ეტაპია დასახლებული ადგილის მთელი გერიტორიის რეგულარული დასუფთავება თანამედროვე მექანიზმების მაქსიმალური გამოყენებით, ნაგვის შეკრება და გაგანა. ნაგვის სწორი შეგროვება უნდა შეესაბამებოდეს მის გაუვნებლობისა და უტილიზაციის მეთოდებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაგვის დამხარისხებელი ქარხნების, ნაგვის საწვავი ღუმელების ნორმალური მუშაობისათვის, მეორადი ნედლეულის (უგილი) ცალკე შეგროვებისათვის და სხვ. გადანაყრების არარეგულარული შეგროვება სანიტარული და ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვნად აქვეითებს კარგად ორგანიზებული დასუფთავების მომდევნო ეტაპების ეფექტურობას. ნაგავი გროვდება ლითონის სანაგვე ჭურჭელში, რომელიც ყოველდღიურად უნდა გათავისუფლდეს ნაგვისაგან, რათა მასში არ შეიქმნას ხელსაყრელი პირობები ბუშების გამრავლებისათვის. საცხე ყუთების წაღებისას მოგანილი უნდა იქნეს იმდენივე ცარიელი გარეცხილი და დემინფიცირებული ყუთები. სისტემატური დემინფექცია უნდა ჩატარდეს საასენიზაციო გრანსპორტსაც.

ხუთზე მეტსართულიან შენობებში ეროდროულად რამდენიმე ბინის მომსახურებისათვის ეწყობა ნაგავგამგარი მილები. ნაგავი იკრიბება პირველ სართულზე მოწყობილ სანაგვე კამერაში. იგი მიუწვდომელი უნდა იყოს ვირთაგვებისა და ბუშებისათვის.

საქართველოს ქალაქებში დამკვიდრებულია დასუფთავების ე.წ. „გეგმიან-ბინობრივი სისტემა“. სანიტარული თვალსაზრისით დასუფთავების ამ სისტემას ახასიათებს უპირატესობანი, გამოორიცხულია ეზოს სანაგვის გამოყენების აუცილებლობა, ეზოში ნაგ-

ვის დაგროვება, ნიადაგის დაბინძურება და სხვ. მცხოვრებლები სანაგვე ჭურჭელს ცლიან უშუალოდ აეგომანქანებში, რომლებიც დღეში მოდიან 1-2-ჯერ, ერთსადაიმეავე საათებში. სანიტარული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დახურული ნაგავმზიდი მანქანების გამოყენება.

ზოგიერთ დასახლებულ ადგილას ნაგვის შესაგროვებლად ჯერჯერობით კიდე გამოიყენება ეზოს სანაგვეები, რომელთა გეგოდობა არ უნდა აღემატებოდეს 80-120ლ-ს, რათა მოხერხებული იყოს მომსახურებისათვის; რომელიც იდგმება ბინებიდან 15მ მოშორებით მოხერხებულ ადგილას, რომ მისადგომი იყოს ნაგავმზიდი ტრანსპორტისათვის. გამოყოფილი ადგილი უნდა იყოს მოკირწყლული. სანაგვე სასურველია გათაისუფლდეს ყოველდღიურად.

დასკენითი ეტაპია ნაგვის გაუვნებლობა და უტილიზაცია. გაუვნებლობის მეთოდებია: ნაგვის დაკომპოსტება, გაუვნებლება ბიოთერმულ კამერებში, სათბურებში ჩალაგება და გაუვნებლობა.

ნაგვის ბიოთერმული გაუვნებლობა დაკავშირებულია ბიოქიმიურ პროცესებთან. ბიოქიმიური პროცესების შედეგად გამოიყოფა სითბო, ნაგავი ხურდება, ორგანული ნივთიერებები განიცდიან მიწერალიზაციას და ნიგრიფიკაციას, ილუპებიან პათოგენური მიკრობები და ჭიის კეერცხები, წარმოიქმნება უვნებელი და ნიადაგის გამანოყიერებელი ჰუმუსი.

ნაგვის დაკომპოსტება ხდება სპეციალურად გამოყოფილ მოედანზე. ნაგავს ალაგებენ ფენებად ისეთ მასალასთან ერთად, რომელიც ხელს უწყობს ბიოთერმული პროცესების ნორმალურად წარმართვას. კომპოსტში ნიადაგის მიკრობების მეშვეობით სწრაფად იწყება ორგანული ნივთიერებების მიწერალიზაცია და სითბოს გამოყოფა. ამ პროცესში დიდ როლს ასრულებს თერმოფილური ბაქტერიები, რომელთა ცხოველმყოფელობისთვის ოპტიმალურია 50-70 გემპერატურა. ამ გემპერატურის გავლენით თითქმის მთლიანად ილუპება პათოგენური მიკრობები (გარდა სპოროვანი მიკრობებისა). კომპოსტს არ აქვს სუნი და არ იზიდავს ბუზებს. იგი უკეთესი ნიადაგის გასანოყიერებელი მასალაა, ვიდრე საქონლის ნაკელი. ზოგჯერ ბუზის ჭურჭებისაგან დაცვის მიზნით კომპოსტს ამუშაებენ სადემინფექციო საშუალებებით.

17. ჟორჯოლიანი ც, გორდაძე ე, სამედიცინო ეკოლოგია

ბიოთერმული კამერა სსეადასხვა ტეკალობის მარტივი დანადგარია, რომელიც იგება ხის, აგურის ან ბეტონისგან. დასაკომპოსტირებელ მასას უმატებენ თერმომოლერ ბაქტერიებს, სადაც ტემპერატურა 60-70°C-მდე აღწევს. ნაგვის ჰუმუსად გარდაქმნა მთავრდება 40-60 დღეში. მიღებული ჰუმუსი არ შეიცავს პათოგენურ მიკრობს, პელმინთების კვერცხებს და ბუზების ჭკუარებს. ახასიათებს კარგი გამანოციერებელი თვისება.

ზოგჯერ ნაგვის გაუენებლობისთვის იყენებენ სათბურებს, სადაც ბიოქიმიური პრეცესები უფრო სუსტად მიმდინარეობს. სათბურების მიზანია ნაგვის გამოყენება ბიოსათბობის სახით. გარდა ეკონომიკური ეფექტისა, დასახელებულ მეოთხე აქვს სანიტარული და ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობა. სასელობორ: სათბურებში ნაგავი იზოლირებულია, არ აბინძურებს ქაერს გამოყოფილი აირებით, ამასთანავე იგი შეუღწეველია ბუზებისთვის ბიოთერმული პროცესების შეღეგად ნაგავში იღუკებიან ნაწლაე-ტიფური ჯგუფის ბაქტერიები, ჭიის კვერცხები; გაუენებლობის პროცესის დამთავრების შემდეგ დარჩენილი მასა კარგი გამანოციერებელი მასალაა ნიადაგისთვის.

ქალაქებში ყოველთვის არ არის მკვრივი გადანაყარების გაუენებლობის შესაძლებლობა. გემოაღწერილი მეთოდების გამოყენებით, აწყობენ გაუმჯობესებულ ნაგვისსაყრელ ადგილს. ამ დროს ნაგავს აყრიან მიწას 0,25-0,5 მ სისქის ფენად, რომელიც სკობს ცულ სუნს და ნაგავს ბუზებისთვის მიუწვდომელს ხლის. ბიოქიმიური პროცესების შეღეგად ორგანული ნივთიერებები გარდაიქმნება ჰუმუსად, პათოგენური მიკრობები და პელმინთების კვერცხები იღუკებიან. გაუმჯობესებული ნაგავსაყრელი ეწყობა საცხოვრებელი ტერიტორიიდან არანაკლებ 1000 მ დამორებით.

საყოფაცხოვრებო ნაგვის გაუენებლობა ხდება 2 გზით: ა) გატანა და დამარხვა სპეციალურ ადგილებში და ბ) სპეციალიზებულ ქარხნებში გადამუშავება ნაგვის საყრელის ირგვლივ საჭიროა სანიტარული დამცავი ზონების შექმნა 1 კმ-ის ზომის. ამ ადგილებში აგმოსყერული ჰაერი ბინძურდება. სუნით, კვამლით, ჭვარტლით, ბინძურდება ნიადაგები, მიწისქვეშა წყლები, ამიტომ ნაგვის გაუენებლობის მისაღები ხერხი ქალაქებისთვის ნაგავგა-

დასამუშაებელი ქარხნებია, სადაც ხდება კომპოსტირება, დაწვა და პიროლიზი.


ნაგვის გაუვნებლობის მნიშვნელოვანი ხერხია დაწვა. მისი ლესგრუქცია, რომელიც ხდება ლესგრუქტორებში - ნაგვის საწვავ ლუმელებში (600-1000°C და მეტი). ამ დროს იღუპება ყველა მიკროორგანიზმი, მათი სპორები, პელმინთების კვერცხები, მთლიანად იწვის ნაგვის ორგანული ნაწილი, რჩება მხოლოდ ნაქარი, ნაგვის დაწვის შედეგად წარმოქმნილი სითბო და წილა შეიძლება გამოვიყენოთ სახალხო მეურნეობის საჭიროებისთვის. ნაგვის დაწვისას საჭირო აღარაა ქალაქგარეთ ნაგვის გაგანისა და გაუვნებლობისთვის მიწის დიდი ფართობების გამოყოფა (სქემა 67).

დიდ ქალაქებში, სადაც დიდი რაოდენობით გროვდება ნაგავი (წელიწადში ყოველ 1000 მცხოვრებზე 200ტ) ეწყობა ნაგვის დამხარისხებელი სადგურები, სადაც შეზღუდული ნაგვიდან ხდება მეორადი ნელლეულის (უტილი) გამოყოფა და სახალხო მეურნეობაში მისი გამოყენება.

ქუჩებისა და მოედნების რეგულარული დაგვა-დასუფთავება მნიშვნელოვანი სანიტარული ღონისძიებაა განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, სადაც დიდი რაოდენობით გროვდება სხვადასხვა ნარჩენი და გადანაყარი. გამოანგარიშებულია, რომ ზაფხულში დიდი ქალაქების ქუჩებში ყოველ 1000მ² ფართობზე გროვდება 15მ³ ნაგავი.

გრანსპორტისა და ხალხის მოძრაობის დროს ქუჩის ნაგავი მტერით აბინძურებს ატმოსფეროს ჰაერს, რომელშიც შეიძლება იყოს სხვადასხვა პათოგენური მიკრობები, გარდა ამისა დანაგვიანებული ქუჩები იწვევს ესთეტიკურ უსიამოვნებას, აუფერულებს ქალაქის არქიტექტურას, რაც დაბალი სანიტარული კულტურის მაჩვენებელია, ამიტომ ქუჩები სისტემატურად უნდა სუფთავდებოდეს. ნაგვის ჩაყრა მდინარეებში, ხეობებში ან მინდვრებზე გაუმართლებელია და განხილული უნდა იყოს, როგორც არასასურველი ანგისანიტარული, ეკოლოგიის, ბუნების დაცვისა და გარემოს დაცვის საწინააღმდეგო ქმედება.

გარემოსა და ნიადაგების დაცვის ერთერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ნაგვის მოშორება სანაგვე-საბინაო წისქვილების გა-



მოყენება. ნაგავი და სხვა ნარჩენები სამზარეულოშივე იღერდება საკანალიზაციო ქსელში დამონტაჟებული ელექტროძრავიან „წისქვილში“, რომელშიც იხსნება წყლის ონკანი და ნაგავი ოხელი ფაფის სახით ჩადის კანალიზაციაში.

ნაგვის გაუენებლობის ერთერთი სრულყოფილი წესია ბეკერის ცემენტის იაგაკიანი და სახურავიანი კამერები, აქვე ხდება ცხოველთა კონფისკანგების და ლემების გაუენებლობაც.

ნიადაგების, მიწისქვეშა წყლებისა და აგმოსფერული პაერის (განსაკუთრებით ცუდი სუნი) დაცვის მიზნით ყურადღება უნდა მიექცეს საქონლის სამარხებისა და სასაფლაოების კეთილმოწყობას.

გაუენებლობას საჭიროებს ცხოველთა გვამები, სანიგარული და ვეგერინალური სამსახურის მიერ დაწუნებული და რეალიზაციიდან ამოღებული ხორცი, თევზული და მათი პროდუქტები, ვინაიდან ისინი სწრაფად ისრწნება, აბინძურებს აგმოსფეროს პაერს ცუდი სუნის აირებით და ეპიდემიოლოგიურ საშიშროებას ქმნიან. განსაკუთრებით საშიშია ციმბირის წყლულით დახოცილ ცხოველთა გვამები.

ცხოველთა გვამების გასაუენებლად გამოიყენება ცხოველთა სამარხების მოწყობა. ცხოველთა სამარხი ეწყობა დასახლებული ადგილიდან 2კმ-ის დაშორებით. ნიადაგი უნდა იყოს მშრალი და ფხვიერი. ვინაიდან ციმბირის წყლულის სპორები ნიადაგში ხანგრძლივად ინარჩუნებენ ცხოველმყოფელობას, საჭიროა ცხოველთა სამარხი ადგილის შემოღობვა. ცხოველთა გვამებს მარხავენ 2-4მ სიღრმეზე. გადამდები დაავადებით დაღუპულ ცხოველთა გვამებს ჯერ აყრიან ქლორიან კირს, ხოლო შემდეგ არანაკლებ 1მ სიმაღლის მიწის ფენას. ცხოველთა გვამების გაუენებლობა ეფექტურია საუგილიზაცია ქარხნებში, რის შედეგადაც მთლიანად იღუპებიან პათოგენური მიკრობები და მათი სპორები, საუგილიზაცია ქარხნები უნდა მდებარეობდეს საცხოვრებელი განაშენიანებიდან არანაკლებ 1 კმ-ის დაშორებით.

დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა გვამების გაუენებლობას. არსებობს ადამიანთა გვამების გაუენებლობის ორი წესი: მიწაში დამარხვა და დაწვა. სასაფლაო უნდა მოეწყოს ისე, რომ მოსახლეობას საფრთხეს არ უქმნიდეს, რადგან გვამმა გახრწნისას

შეიძლება გააერცელოს ჰაერსა და ნიადაგში სხედასხვე მავნე პროდუქტი და ბაქტერიები (სასაფლაოზე ქალაქის წყალსადენის მოყვანა მხოლოდ განსაკუთრებული წესების დაკვირვებით უნდა ხდებოდეს).

სასაფლაოს გერიგორია უნდა შეირჩეს ქალაქიდან დაშორებით არანაკლებ 1-2 კმ-ით სოფლიდან კი 300-500მ დაშორებით. სასაფლაოს შერჩეული ადგილი უნდა იყოს მშრალი, მზის სხივებით კარგად განათებული, ნიადაგქვეშა წყლების დეპოზის დაბალი დონე (არანაკლებ 2 მ ნიადაგის მელაპირიდან). სასაფლაო უნდა იყოს შემოღობილი, გერიგორია გამწვანებული.

ერთი გვაშისთვის საფლავად საჭიროა 2 მ სიგრძისა და 90სმ-ის სიგანის ფართობის მიწა; ერთ გვამზე საშუალოდ ივარაუდება 5კე მ ფართობი. საფლავის სიღრმელ მიღებულია 2-2.5მ; საფლავებს შორის მანძილი 1 მ.

ყოფილი სასაფლაოები შეიძლება გამოყენებული იყოს ბალებად და პარკებად, უკანასკნელი გვამის დამარხვიდან 20 წლის შემდეგ. ინფექციით გარდაცვლილი გვამები უნდა დაიმარხოს 24 სთ-ში. გრანსპორტირებისას საჭირო მითითებული და პერმეგულად დარჩილული თუნუქის კუბო.

პიგიენური და ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით გარდაცვლილი გვამების გაუვნებლობის მნიშვნელოვანი წესია კრემაცია. ეინაიდან მიღებული ფერფლი თაეისუფალია პათოგენური მიკრობებისა და მათი სპორებისაგან. დაწვის დროს არ ბინძურდება ჰაერი, ნიადაგი და წყალი. კრემატორიუმში გემპერატურა 1000C° უნდა იყოს, რასაც აღწევენ გაზის ან ელენის საშუალებით. გვამის დაწვა გრძელდება 1 სთ და გვამიდან რჩება 1-1,5 კმ-მდე ნაცარი. კრემატორიუმი ეწყობა დასახლებული კვარტლებიდან 300-500მ დაშორებით.

ნარჩენების გაუვნებლობა-მოცილება ყოველთვის ადვილი არაა. იგალიის გარემოს დაცვის საზოგადოების გამოანგარიშებით მღვაში გადაგებული მინის ბოთლის დაშლას 1000 წელი ჭირდება; ქალაღი გაცილებით მალე, სულ რაღაც 3 თვეში იშლება. სიგარეტის ნამწვი 5 წლის განმავლობაში აბინძურებს მღვას; ცელოფანის პარკები 1-20, ნეილონის ნაწარმი 30-40; კონსერვის ქილები 500 და

პოლისტიროლი 1000 წელი. ასეთი ნარჩენების რაოდენობა ბოლო დროს უზომოდ გაიზარდა. რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია პლასტმასის ნაწარმი. ცივილიზებულ ქვეყნებში პლასტიკაგები მეორადი პროდუქციის დასამზადებლად გადაამუშავდება. განვითარებად ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში პლასტმასის ნაწარმი უამრავი რაოდენობითაა. პლასტმასის ნარჩენები უბრალო ნაგავი არაა. ისინი პრაქტიკულად არ იშლება და მრავალი წლის განმავლობაში რჩება ბუნებაში, რომლის დამლის პერიოდი ათასობით წელს მოიცავს. მათი დაწვა მიზანშეუწონელია, რადგან ამ დროს გამოიყოფა ისეთი ნივთიერებები, რომლებიც ჰაერში არ იფილტრება. საქართველოში ცელოფანის პარკები და პლასტმასის ბოთლები თითქმის უფასოდ შემოდის, ამიტომ ადგილობრივი წარმოებებს არ უღირთ მისი დამზადება და მეწარმეც არაა ლაინტერესებული ამ ნარჩენის ამოღებითა და გადაამუშავებით.

ქართული ბაზარი გაჯერებულია პლასტმასის პროდუქციით. საქართველოს ტერიტორია არც ისე დიდია (69,7 ათასი კვ კმ აფხაზეთ-სამჩაბლოიანად) რამოდენიმე წლის შემდეგ შეიძლება პლასტმასისგან თავისუფალი მიწაც კი არ დარჩეს. სინთეზური მასალები და პლასტმასის გაუენებლობა მსოფლიო პრობლემაა. ისინი გარემოს ძლიერ გამაბინძურებლად ითვლება, ამიტომ განვითარებულ ქვეყნებში მინის გარასა და ქალაქის პარკების მოხმარებას პოპულარიზაციას უკეთებენ. განვითარებულ ქვეყნებში როგორც მეწარმე, ასევე პლასტმასის გარის შემომგანი სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება, თუკი არ გადაამუშავებს ან არ მოახდენს მათ უტილიზაციას.

ნაგვის გადაამუშავებას ამკარად მოაქვს სარგებლობა. როგორც წიგნი „5000 დღე პლანეტის გადასარჩენად“ შენიშნავს, ალუმინის გადაამუშავების წყალობით უზარმაზარი ენერჯია იზოგება“ და „მცირდება ის ზიანიც, რომელსაც ბოქსიტის ღია წესით მოპოვება აყენებს გარემოს“. წიგნში გრძელდება: „ნარჩენების გადაამუშავებით ქალაქის მიღებისას ორჯერ უფრო ნაკლები ენერჯია ისარჯება და ათჯერ უფრო ნაკლები წყალია საჭირო, ვიდრე მისი ქარხნული წესით წარმოებისას... შესაძლებელია მრავალი სხვადასხვა ნარჩენის აღდგენა, გადაამუშავება და ხელახლა

გამოყენება... თუნდაც ზოგ საწარმოს არ შეუძლია ნარჩენების ხელახლა გამოყენება, ზოგჯერ მათ შეუძლიათ ნარჩენი პროდუქტების გადამუშავება, რათა ისინი სხვებმა გამოიყენონ“... ზოგიერთ სახელმწიფოში ნარჩენების წარმოქმნის შემცირებაზე ამახვილებენ ყურადღებას. როგორც ზემოხსენებული წიგნი გვაფრთხილებს, „დაუყოვნებლივ უნდა ვიპოქმედოთ“, თუ გვინდა, რომ ჩვენი მსოფლიო, რომლის „ეკონომიკაც დაფუძნებულია პრინციპზე ეაწარმოთ მალეგადასაგდები პროდუქცია იქცეს მომჭირნე საზოგადოებად, სადაც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ნარჩენების წარმოქმნა და ბუნებრივი რესურსების მოხმარება“.

რადიასიის გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე

მე-19 საუკუნის ბოლოდან ბიოსფეროში შეინიშნება რადიაციული ფონის მკვეთრი გაზრდა, რაც ძირითადად გექნოგენური პროცესების გააქტიურებით არის გამოწვეული, ამას დაემატა XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მიმდინარე ატომური იარაღის გამოცდები, აუარიული სიგუაციები ბირთვულ-ენერგეტიკულ სადგურებზე, რამაც გარკვეული საშიშროება შექმნა გარემოს რადიონუკლიდებით გლობალური დაბინძურების მიმართულებით (სქემა 68).

ადამიანის დასხივების ძირითადი წყაროები ორგანოა, ბუნებრივი და ხელოვნური. ბუნებრივი წყაროებიდან აღსანიშნავია სხვადასხვა სახის სხივები: კოსმოსიდან, ნიადაგიდან. ატმოსფეროდან და სხვ. ამ დასხივებას ადამიანი ღებულობს ორი გზით: რადიაქტიული ნივთიერებები, რომლებიც არსებობენ ორგანიზმის გარეთ, იწვევენ ორგანიზმის გარეგან დასხივებას; ხოლო რადიონუკლიდები, რომლებიც იმყოფებიან ჰაერში (რომლითაც ადამიანი სუნთქავს), საკვებში ან წყალში ხვდებიან ორგანიზმში. ასეთი ფორმა შინაგანი დასხივების სახელწოდებითაა ცნობილი (სქემა 69).

რადიაციის ბუნებრივი წყაროებით დასხივებას ღელამიწის ნებისმიერი მცხოვრები განიცდის, აქედან ერთნი შედარებით მეტ ღომას ღებულობენ, ვიდრე სხვები. ეს დამოკიდებულია ძირითადად იმ ადგილზე, სადაც ისინი ცხოვრობენ, იგი ასევე დამოკიდებულია ცხოვრების პირობებთანაც. ზოგიერთი საშენი მასალის გამოყენება, შენობის ჰერმენგულობა, თვითმფრინავით მგზავრობა გარკვეულად ცელის დასხივების ღომას ბუნებრივი წყაროებიდან.

მოსახლეობის დასხივებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის სამედიცინო აპარატურით დასხივებას, რაც ხელოვნურ დასხივებას მიეკუთვნება. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება ასევე დაბინძურება ხელოვნური რადიონუკლიდებით, პროფესიული დასხივება და სხვ.

საშენი მასალებიც დასხივების ბუნებრივი წყაროა. ადამიანი თავისი ცხოვრების გარკვეულ ნაწილს შენობაში ატარებს. სამშენებლო მასალები ბეტონი, აგური, ცემენტი საკმაო ღიდი რაო-



დენობით რადიაქტიულ ნიუთონიერებებს შეიცავს, ვიდრე ხის მასალა. შენობა საშუალოდ წელიწადში იძლევა 60 მიკრორად გამოსხივებას. ქვის სახლი გამოსხივებას ამცირებს 10-ჯერ, ხის სახლი კი 2-ჯერ (სქემა 70).

რადიონუკლიდებით დაბინძურებაში გარკვეული წვლილი შეაქვს საცხოვრებელ სახლში არსებულ გათბობისა და საკვების მოსამზადებელ მოწყობილობებს, რომლებიც ნახშირზე მუშაობს. მოსახლეობის დასხივების ბუნებრივი წყარო თერმული წყლებიც არის (რომლითაც მდიდარია საქართველოც). რადიონუკლიდების წყაროა სასუქები, რომლებიც ნიადაგში გადადიან, იქიდან კი მცენარეებში, შემდეგ ცხოველებსა და აქედან ადამიანებში (კვებითი ჯაჭვები) (სქემა 71).


ხელოვნური რადიაციის წყაროა ატომური იარაღის გამოცდა, ატომური ელსადგურების ექსპლოატაცია, ავარიული სიგუაცია და სხვ. ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი რადიონუკლიდებიდან, რომლებიც იწვევენ ორგანიზმის გარეგან და შინაგან დასხივებას, ხელოვნური რადიოიზოტოპებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტრონციუმ - 90 (Sr-90) და ცეზიუმ - 137 (Cs-137).


ატომურ ენერჯიას იყენებს სახალხო მეურნეობის მრავალი დარგი, ქიმიური წარმოება. მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა. მედიცინაში იგი გამოიყენება დიაგნოსტიკური კვლევებისთვის, ონკოლოგიურ პრაქტიკაში, კარდიალურ პრაქტიკაში - რადიოაგრომულატორები, რომლებიც იწვევენ გულის კუნთის ბლოკადის მოხსნას და შეკუმშვის რითმის აღდგენას.


სახალხო მეურნეობაში ატომური ენერჯიის ფართო გამოყენების შედეგად დედამიწაზე იზრდება მაიონიზებული გამოსხივების წყაროების რიცხვი. ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის დასხივების ბუნებრივ წყაროს - ბუნებრივად რადიაციულ ფონს და სამედიცინო დასხივებას. დანარჩენ ხელოვნურ წყაროებს (ხელოვნური რადიონუკლიდებით გარემოს დაბინძურება, პროფესიული დასხივება და სხვ.) შედარებით ნაკლები ხვედრითი წონა გააჩნია. მხედველობაშია მისაღები, რომ თუ არ მოწეს-



სქემა 69







რიგდება რადიაქტიულ გადანაყარების პრობლემა, უახლოეს წლებში შეიძლება გარემოში გასული ხელოვნური რადიონუკლიდები გაუტოლდნენ ბუნებრივ რადიონუკლიდებს, რაც გამოიწვევს მოსახლეობის დასახიების ღონის საგრძნობი ზრდის რეალურ საფრთხეს.

გარემოს ბუნებრივი რადიაციული ფონი ყოველთვის მოქმედებდა ადამიანზე; დღეისათვის დასახიების ფონი ხელოვნურად მაგულობს გექნოგენური და ანთროპოგენური პროცესების შედეგად. გექნოგენურ პროცესებს მიეკუთვნება: წიაღისეულის მოპოვება და მისი სამრეწველო დამუშავება, ქვანახშირის წვა, ბეგონის, ცემენტის, სასუქების წარმოება, რასაც თან სდევს დედამიწის სიღრმეში ჩაფლული რადიონუკლიდების გადანაწილება და მისი ნოოსფეროში გაერცელება, მასვე მიეკუთვნება ფრენა დიდ სიმაღლეზე, რაც ზრდის კოსმოსური დასახიების დოზას.

ანთროპოგენულ პროცესებს ეკუთვნის: ხელოვნური რადიონუკლიდების წარმოება, ატომური ენერჯის გამოყენება მშენებლობიანი და საომარი მიზნით, სხივური დიაგნოსტიკა და სხვ. დედამიწის სხედასხვა ადგილებზე მოსახლეობის დასახიების ღონე განსხვავებულია ზღვის ღონიდან, სიმაღლის, განედების და სხვ. მიხედვით.

ევროპის ქვეყნებში 1993 წლის მონაცემებით ღია ადგილების რადიაციული ფონი 30-80 ნანოგრეი სთ-ს შეადგენდა. იგივე პერიოდში თბილისისთვის 80-120ნგრ სთ, 1997 წელს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ღია ადგილების რადიაციის ფონი საშუალოდ 105 ნგრ სთ-ის გოლი იყო. კოსმოსური გამოსხივების სიდიდე პოლუსებზე უფრო მეტია, ვიდრე ეკვატორთან. ანომალური რაიონები აღმოჩენილია ბრაზილიაში, ინდოეთში, ირანში, საფრანგეთში.

კოსმოსური გამოსხივების სიდიდე იზრდება სიმაღლისა და განედის მაგებასთან ერთად, ასევე მზის მაღალი აქტივობის წლებში. მეტეოროლოგიური ფაქტორები მასზე გავლენას არ ახდენს. დასახიების დოზა კოსმოსის ხარჯზე წელიწადში 0,3 მილიზივერტია (წელიწადში).

ნიადაგში არსებობს K^{40} , Pb^{87} , U^{238} , Th^{232} , რომელთა დამლის

შედეგად წარმოიქმნება ბუნებრივი რადიონუკლიდები (განსაკუთრებით Ra და რადონი). სხედასხვა ნიადაგი სხედასხვა რაოდენობით შეიცავს რადიოაქტიულ ელემენტებს. რაც განაპირობებს იქ არსებული მოსახლეობის დასახიების განსხვავებულ დონებს. მოსახლეობის უმრავლესობა 95% ცხოვრობს ისეთ ადგილებში, სადაც ნიადაგის გამოსხივებით განპირობებული დასახიების დონა წელიწადში დაახლოებით 0,3-0,6 მლმე-ია/წ, ხოლო ზოგიერთ წერტილში 17მლმე (წ), რაც სამუალო წლიურ დონეს 50-ჯერ აღემატება.

ადამიანის დასახიების წლიური დონა, ნიადაგის გამოსხივების ხარჯზე დაახლოებით 0,25მლმე/წ გოლია.

სამენ მასალათა გამოსხივება ნიადაგის დასახიების შემადგენელი ნაწილია. სამშენებლო მასალებში: ბეტონი, აგური, ცემენტი, უფრო მეტია რადიონუკლიდები, ეიდრე ხეში და ხის შენობაში. სამშენებლო მასალა დამატებითი დასახიების როლს ასრულებს, მაგრამ იგი კოსმოსური და ნიადაგის გამოსხივების დროს ეკრანირების როლსაც ასრულებს. განსაკუთრებით ბეტონით, ცემენტით და აგურით აშენებული სახლი. უკანასკნელი მონაცემებით თბილისის შენობების რადიაციული ფონის სამუალო სიდიდე 130 ნგრ სთ-ის გოლია (სქემა 71).

სანიტარული ნორმებით ზოგიერთი რადიონუკლიდის მიმართ განსამდგრულია მდგრულად დასაშვები კონცენტრაციები სამშენებლო მასალებში. მშენებარე საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების სამშენებლო მასალის ხვედრითი აქტივობა არ უნდა აღემატებოდეს RA^{226} -ისათვის / 1×10^{-8} კი / კგ, Th^{232} 7×10^{-9} კი / კგ და K^{40} -ისათვის $1,3 \times 10^7$ კი / კგ.

I კლ. სამშენებლო მასალისათვის ხვედრითი აქტივობა მისი მოპოვების ადგილებში არ უნდა აღემატებოდეს 370 ბკ/კგ. ხოლო II კლ. სამშენებლო მასალებისთვის 740ბკ/კგ. ხე, აგური, ბეტონი ბუნებრივ რადიონუკლიდებს შეიცავს ნაკლები რაოდენობით, ეიდრე გრანიტი და პემზა.

ქალაქების მშენებლობისას მასალებში რადიონუკლიდების შემცველობას ადრე არ აქცევენ ყურადღებას, რის გამოც მრავალი სამშენებლო მასალა მზადდებოდა ისეთი ნელეულისგან,

რომელიც მაღალი კონცენტრაციით შეიცავდა რადიონუკლიდებს, უფრო მეტიც, ზოგიერთი სამშენებლო მასალა მზადდებოდა ატომური ენერჯის წარმოების გადანაყარებისგან და გამდიდრებული იყო სხვადასხვა სახის რადიონუკლიდებით. აშშ-ში სამშენებლო მასალად გამოყენებული იყო 200000 ტ. ურანის წარმოების ნარჩენი, რომლის ხედრითი აქტივობა გოლია 4600 ბკ/კგ; შეეციაში გამოყენებული იყო შაბიანი ფიქლის შემცველი მსუბუქი ბეტონი. მასში შემავალი Ra²²⁶-ის ხედრითი აქტივობა გოლი იყო 1300 ბკ/კგ. ამჟამად ასეთი სამშენებლო მასალების გამოყენება აკრძალულია.

აშშ-ში და კანადაში საცხოვრებელი შენობების გამა-ფონის კრიტერიუმად მიღებულია შემდეგი სიდიდეები. თუ გამა ფონი 500 ნგრ სთ-ზე ნაკლებია, იგი ნორმალურად ითვლება. 500-1000 ნგრ სთ პირობებში მიზანშეწონილია დაკუთი ღონისძიებების გაგარება. 1000 ნგრ სთ. პირობებში აუცილებელია დაკუთი ღონისძიებების გაგარება.

შინაგანი დასხივება ორგანიზმში შეიძლება გამოწვეული იყოს საკვებით, წყლით, ჰაერის მეშვეობით შესული ელემენტებით K⁴⁰, Ra²²⁶, C¹⁴, H³, Pb⁸⁷. ადამიანის ორგანიზმში ყველაზე დიდი რაოდენობით K⁴⁰ შეიცავს. იგი ლაგდება კუნთებსა და ერთროციტებში. შინაგანი დასხივების დომის სიმძლავრე რომელსაც K იძლევა წელიწადში 0,18 მლზე შეადგენს. რადიუმი ლოკალიზებულია ძვლებში. სუნთქვის პროცესში და მისი დაშლის პროდუქტების ორგანიზმში მოხვედრა იწვევს ფილგის ეპითელიუმის დასხივებას დაახლოებით 5,0 მლზე გოლი დომით. ეს არის მაქსიმალური დოზა, რომელიც შეიძლება მიიღოს ადამიანმა ბუნებრივი ფონის მეშვეობით.

ჩასუნთქული რადონის დამაგებით წყაროს ქმნის სამზარეულოში საწვავად გამოყენებული აირი და აბაზანაში შხაპის გამოყენება. სააბაზანოში რადიუმის კონცენტრაცია 40-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე საცხოვრებელ ოთახებში და 4-ჯერ მეტია, ვიდრე სამზარეულოში.

დღეისთვის დადგენილია მაიონიზებული გამოსხივების მცირე დოზების კანცეროგენული და გენეტიკური მოქმედება, მისი გავ-

ლენა სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, ორგანიზმის იმუნურ სტატუსზე, სისხლის სურათსა და სისხლმბადი ორგანოების მდგომარეობაზე. მცირე დოზების ქრონიკული მოქმედების პირობებში აღინიშნება ცელილებები ცენტრალური ნერვულ და გულსისხლძარღვთა სისტემებში, ასევე ადგილი აქვს მენსტრუალურ-ოვარიული ფუნქციის მოშლას, ვიტამინური ცელის დარღვევას და სხვ. მაიონიზირებული გამოსხივების მცირე დოზებთან კონტაქტში მყოფ პროფესიონალთა ჯანმრთელობის შესწავლას აქვს თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა და ამ მიმართულებით უსაფრთხო ღონისძიებების შემუშავება-დაგეგმვა.

მოსახლეობის დასხივების დიდი დოზა მოდის სამედიცინო-რენტგენო-რადიოლოგიურ პროცედურებზე, რომელთა გამოკვლევები მოგჯერ წელიწადში რამოდენიმეჯერ გარდება.

საქართველოში რენტგენოლოგიური გამოკვლევების რაოდენობა 1000 მოსახლეზე 678-ია, ხოლო უფექტურობა 1 ადამიანზე 0,9 მლზე/წ. მოსახლეობის დასხივების დოზა ძირითადად ფორმირდება გაშუქებით, ხოლო გადაღებითა და ფლოროგრაფიით 0,1-0,1 მლზე/წ. საქართველოში რენტგენოდიაგნოსტიკური პროცედურებით დასხივების დოზა მაღალია; იგი თითქმის უტოლდება ბუნებრივი რადიაციული ფონის საშუალო მაჩვენებელს. ორგანიზმზე დიაგნოსტიკური დოზების მოქმედების შედეგად გამოირიცხული არ არის კიბოსა და გენეტიკური დაზიანებების განვითარება (სქემა 72).

გასათვალისწინებელია დასხივების სიმძლავრეც. მაგ. კუჭნაწლავის გრაქტის გაშუქებისას 6 წთ-ის განმავლობაში პაციენტი სხივდება 25 სგრ-ის. გოლი დოზით, რაც ათეულ მილიონჯერ მეტია, ვიდრე ბუნებრივი რადიაციით მიღებული დოზა ამავე დროის განმავლობაში. დასხივების შედეგად ლეიკოზების განვითარების შესაძლებლობა 9 წ-მდე ასაკის ბავშვებში 1,5-2-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე მოზრდილებში. გერატოგენული (სიმახინჯის განვითარების) დაზიანების თვალსაზრისით ძალზე საშიშია ნაყოფის დასხივება 2-დან 15 კვირის განმავლობაში, თუ დოზა 100მლგრ-ის (მილიგრეი) აჭარბებს, რეკომენდირებულია ორსულობის შეწყვეტა. რადიოლოგიური დაცვის საერთაშორი-

სო კომიტეტს რენტგენოლოგიური პროცედურების ჩატარებისას პაციენტის დაცვის სპეციალური რეკომენდაცია აქვს გამოცემული (პაციენტის ღირექტუა) (სქემა 73)


მაიონიზებული გამოსხივების მოქმედებით გამოწვეული ბიოლოგიური რეაქციები შეიძლება გამოვლინდეს 2 სახით: ლეტერმინირებული და სტოქასტური ეფექტების სახით (სქემა 74).


ლეტერმინებულს მიეკუთვნება ეფექტები, რომლებიც გამოვლინდება გარკვეული ზღვრული დოზების მოქმედებით. ასეთია მწვავე და ქრონიკული სხიური დაავადება, სხიური დამწერობები, გერატოგენული მოქმედება, კატარაქტა, ლიმფოპენია, ნაადრევი სიბერე, ორგანიზმის წინააღმდეგობის დაქვეითება, სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება, დოზის მრდასთან ერთად ამ დაზიანების სიმძიმე მატულობს.

დასხივების დოზა 0,1 გრეი ითვლება საზღვრად, რომლის ქვემოთ ადამიანებში რადიომგრძნობელობა აწეული არ არის, ლეტერმინებული ეფექტების განვითარების ალბათობა პრაქტიკულად უმნიშვნელოა.

სტოქასტურს მიეკუთვნება ეფექტები, რომელთა გამოვლინების დოზის საზღვარი არა აქვს. ამ ეფექტების განვითარება შეიძლება მოხდეს ნებისმიერი მცირე დოზის მოქმედების პირობებში.


სტოქასტური ეფექტები იყოფა სომატოსტოქასტურ და გენეტიკურ ეფექტებად. სომატოსტოქასტური ეფექტები დასხივებულებში გამოვლინდება ლეგალური ან არალეგალური ხასიათის სიმსივნური დაავადების სიხშირის მრდით. მათი გამოვლენის პერიოდი შეიძლება მრავალი ათეული წელი გრძელდებოდეს. სტოქასტური გენეტიკური ეფექტები სასქესო ჯირკვლების დასხივების შედეგად ვითარდება. მისთვის ზღვრული დოზა არ არსებობს, ამიტომ დასხივებული მოსახლეობისთვის მომდევნო თაობებში არის მძიმე შთამომავლობითი დაავადების განვითარების რისკი. მაგრამ შემდეგმა გამოკვლევებმა 8322 ბავშვზე, რომელთა მშობლები იაპონიაში ატომური აფეთქების დასხივებას ექვემდებარებოდნენ, მათ შთამომავლობაში გადახრები არ იქნა შემჩნეული სასქესო და აუტოსომური ქრომოსომული სტრუქტურების მხრივ.





გონივრული დასახლება


მოსახლეობის დასახლების წლიური ღირსება არ უნდა აღემატებოდეს ძირითად ღირსურ ზღვარს - 1 მლზე/წ საშუალოდ ნებისმიერი 5 მომდევნო წლის განმავლობაში; არაუმეტეს 5 მლზე/წ




დასხივების ხარისხი დამოკიდებულია დასხივების მეთოდსა და რადიომგრძობელობაზე. ასევე ასაკზე, სქესზე, პორმონალურ სტატუსზე, ორგანოთა ფუნქციურ მდგომარეობაზე და სხვ. მაიონიზებელი გამოსხივების მცირე დოზების მოქმედების პირობებში კიბოს განვითარების რისკი დაახლოებით 30 წელია. ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების რისკები ქალებში 50-100%-ით მეტია, ვიდრე მამაკაცებში. არსებობს ადამიანთა გენოტიპები, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი რადიომგრძობელობით (სქემა 75).

განსხვავებული რადიომგრძობელობა ახასიათებს სხვადასხვა ქსოვილებსა და ორგანოებს. ერთნაირი დოზებით მოქმედების დროს ავთვისებიანი სიმსივნის განვითარება სარძევე ჯირკვლებსა და ფილტვებში უფრო მოსალოდნელია, ვიდრე ფარისებრ ჯირკვალში. იგივე დოზების მოქმედება გონადებზე უფრო საშიშია, ვინაიდან მას მოჰყვება მანვე გენეტიკური შედეგები, ამიტომ ორგანოებისა და ქსოვილების დასხივების დოზების დადგენა სხვადასხვა კოეფიციენტით ხდება. აღმოჩნდა, რომ დასხივებიდან რამოდენიმე წლის შემდეგ თავს იჩენს სხვადასხვა დაავადებები, კერძოდ, ლეიკემია 5 წლის შემდეგ, ფარისებრი ჯირკვლის კიბო 10 წლის შემდეგ, ფილტვების 20 წლის შემდეგ, კუჭისა და სწორი ნაწლავის კიბო 30 წლის შემდეგ (სქემა 76).

რადიაქტიული გაბინძურების უმნიშვნელოვანესი წყაროა ექსპერიმენტული აფეთქებები, ატომურ რეაქტორებსა და ატომურ ელსადგურებზე მომხდარი ავარიები. აფეთქების შემდეგ ატმოსფეროდან ჩამოსული რადიაქტიული ნალექები დაყოფილია პირველად (ადგილობრივ) მეორეულ და გვიან (გლობალურ) ნალექებად. პირველადი ნალექები მსხვილი ნაწილაკებია, რომლებიც მშრალი მგერის სახით ილექებიან რამოდენიმე საათის განმავლობაში აფეთქების რაიონში და რადიაქტიული ღრუბლის მოძრაობით ვრცელდებიან რამოდენიმე ათეული ან ასეული კმ-ის მანძილზე. მეორეული ნალექები უფრო წერილი ნაწილაკებია, ისინი ხვდებიან ატმოსფეროს შუა ფენებში და ჰაერის ნაკადის მეშვეობით ვრცელდებიან მრავალ ასეულ ათასეულ კმ-ზე და დედამიწაზე ეშვება 1-5 დღის განმავლობაში. ატმოსფეროს ზედა ფენაში არსებული გვიანი ნალექები ძალიან წერილი მგერის





ნაწილაკები. ისინი ჰაერის ნაკადთან ერთად ცირკულირებენ და დაბლა ეშვებიან ნელა, რაიოდენიმე წლის განმავლობაში. ნიუთიერებების 80% მოდის წერილ ნალექებზე, დანარჩენი თითქმის მთლიანად გადადის სტრატოსფეროში. გროპოსფეროში რჩება დაახლოებით 1% რადიაციული მგერის „აკულები“. წერილდის-პერსიული მგვერი სტრატოსფეროში მოხვედრისას საკმაოდ თანაბრად ირევა ჰაერის მასებში, ნელა ვრცელდება დედამიწის გარშემო და წლების განმავლობაში ილექება მიწაზე. ესაა ჰაერის გლობალური რადიოაქტიული გაჭყუქყიანება. რადიოაქტიული პროდუქტები სტრატოსფეროში შეიძლება იმყოფებოდეს 3-9 წლამდე; გროპოსფეროში 3 თვე.

რადიოაქტიული ნიუთიერებები დედამიწაზე მოდიან ნალექებთან ერთად, რადიოაქტიულ ელემენტებს აქვთ განსხვავებული ნახევარდაშლის პერიოდი. მოკლე ნახევარდაშლის პერიოდიანი ელემენტები ნაკლებ საშიშია, რადგანაც ისინი მალე კარგავენ თავიანთ რადიოაქტიუობას, მაგრამ ზოგიერთი ელემენტის ნახევარდაშლის პერიოდი ათეულ და ასეულ წელიწადს გრძელდება. მაგ. ^{90}Sr -28 წელს, ^{137}Cs -29,68; ^{233}U -46.10⁵; ^{14}C -5600 წელს. მოკლე ნახევარდაშლის პერიოდის მქონე ელემენტებია ^{131}I ; Sr^{89} ; Ba^{140} ; რადიოაქტიული ნიუთიერებები გრანსპორტირდებიან ჰაერისა და წყლის დინებით, ცოცხალი ორგანიზმებით თევზებით, ფრინველებით. ადამიანში მოხვედრისას ისინი კონცენტრირდებიან სხვადასხვა ორგანოებში, ქსოვილებში, უჯრედებში, რაც იწვევს შინაგან დასხივებას.

ყველაზე დიდი ბიოლოგიური აქტიურობა აქვს რენტგენის სხივებს და γ სხივებს. α და β ნაწილაკები შეღწევის მცირე უნარით ხასიათდებიან და იწვევენ სხიურ დაავადებებს. რადიოაქტიული ნიუთიერებები იჭრებიან ადამიანის ორგანიზმში პირიდან, სუნთქვის გზებით, დაზიანებული კანიდან, ასევე ნიადაგიდან, წყლიდან, მცენარეებიდან. ^{90}Sr ძალიან საშიშია ჯანმრთელობისთვის. იგი გროვდება ძელის ქსოვილში, კბილებში, წარმოქმნის რადიოაქტიულ კერებს ძელის გვინის ასლოს, რის შედეგადაც ვითარდება სიმსიენური დაავადებები, ლეიკოზები. ბავშვის ორგანიზმში ^{90}Sr -ს შთანთქავს 10-15 უფრო აქტიურად, ვიდრე ზრდას-

რული. ე.ი. იგი ინტენსიურად მოქმედებს ახალ თაობაზე. არის აზრი, რომ მსოფლიოში არ არის ბაქტერია, რომლის ორგანიზმში არ იყოს ^{90}Sr

რადიოაქტიული ელემენტები დელამიწაზე დაცემისას გადადიან ნიადაგში და ერთეუბიან კვებით ჯაჭვში: ნიადაგი→მცენარე→ცხოველი→აღამიანი. რადიოაქტიული ნივთიერებები გროვდება ნიადაგში 0-15სმ (30%) სიღრმეზე; 70% ზედა 5სმ ფენაში. ცნობილია, რომ 90 Sr-ის 80% ძროხის რძეშია, 20% ყვესებშია, ვარაუდობენ, რომ დელამიწაზე რადიოაქტიულობის მომატება 1 რენტგენით იწვევს მომაკვალე თაობების დაახლოებით 10 მილიონი ადამიანის მძიმე შემკვიდრებით ანომალიას. მაიონიზებული გამოსხივების დოზა გამომწვევი ბიოლოგიური ეფექტების მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა:

1. დიდი დოზები, რომელთა მოქმედება იწვევს სხივურ დაავადებას 0,7 გრეი და მეტი.

2. საშუალო დოზები 0,1 - 0,6 გრეია;

3. მცირე კი 0,1 გრეიზე ნაკლები.


ლიგურატურული მონაცემები, რომლებიც ეხება ატომური ელექტროსადგურების გაუქმებას ადამიანის ჯანმრთელობაზე, წინააღმდეგობებითაა აღსავსე. არის პუბლიკაციები, რომელთა ავტორები უარს აცხადებენ ატომური ელექტროსადგურების მათზე გაუქმებაზე ადამიანის ორგანიზმზე, მაგრამ არის უამრავი მასალა, რომელიც მეტყველებს მის გაუქმებას ადამიანის ჯანმრთელობაზე. განსაკუთრებით სიმსივნური, გულ-სისხლძარღვთა და სხვა დაავადებების განვითარებაზე.

1986 წლის 26 აპრილს ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მეოთხე რეაქტორზე მოხდა აფეთქება ლამის 1^{23} საათზე. რადიოაქტიული მტერის გაბნევა გრძელდებოდა 6 მაისამდე. ყველაზე მძიმე ნაწილაკები დაილექა კაცასტროფის მიმდებარე გერიგორიაზე. ბელორუსია, უკრაინა, რუსეთი, ხოლო მსუბუქი ნაწილაკები, რომლებიც 8 კმ-იან სიმაღლეზე ავიდა, ატმოსფეროში მიაღწია სკანდინავიას, დასავლეთ ევროპას, ატლანტის ოკეანეს, ახლო აღმოსავლეთს, ჩრდ. ამერიკას, ასევე იაპონიას და ჩინეთს. ჩერნობილის ატომურ რეაქტორზე მომხდარი ავარიის შედე-

ვად გარემოში გაიფანტა რადიაქტიული ნივთიერებები, რომელმაც გივანტური რადიაქტიული ღრუბელი წარმოქმნა. მან ევროპისა და აზიის გერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაფარა (სურ. 3). რადიაქტიულმა ღრუბელმა საქართველოს მთელი გერიტორიაც მოიცვა. მომხლარი ფაქტი მაშინდელმა საბჭოთა მთავრობამ დანაშაულებრივად მისჩქალა. ისცილენტი მსოლოდ ორი კეირის შემდეგ ამცნეს მოსახლეობას. ძირითადი მონაცემები ამკამადაც გასაიდუმლებულია. 1986 წ. აკარიის ადგილებიდან დიდძალი რადიაქტიული ხორცი გაუგზავნეს საქარსიეელოს, რომელსაც მოკყვა რეკომენდაცია ძეხვეულში მისი გამოყენების შესახებ. ეს პროდუქტები შეიგანეს მალაზიებში, სასაიდლოებსა და რესტორნებში. ამ პერიოდში გორის ხორცკომბინაგში დამუშაუდა ხორცის კონსერვისათვის 13300 კგ. და მეორე ხარისხის 528კგ. რომელიც გამოგზავნილი იყო გომელის ხორცკომბინაგის მიერ (მოწმობა № 5254) ბათუმის ხორცკომბინაგში შეგანილი იქნა ცენგრაღიზებული წესით 55.5ც. ღორის ხორცი (1986 წ.), რომელიც მალაღი პროცენტული რაოდენობით შეიცავდა რადიონუკლიდებს. 1986წ. 3 იენის ბელორუსიის ხორცკომბინაგის მიერ სოხუმის ხორცკომბინაგში 5,963კგ ძროხის ხორცი ძეხვეულისათვის; 49,367კგ კი ღორის ხორცი.

ხორცის წარმოების საკავშირო-კელეკითი ინსტიტუტის მიერ (დირექტორი ივაშოვი) შემუშავებული იქნა რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებდა რადიაქტიული ნივთიერების შემცველი ხორცის გამოყენებას ძეხვეულში. ეს რეკომენდაცია შეთანხმებული იყო სსრ კავშირის მთავარი სანიგარული ექიმის მოადგილესთან (ა. გაიჩენკო) და დამტკიცებული იყო სსრ კავშირის სასაგრომრეწვის თავმჯდომარის მოადგილესთან (ლ. კუზნეცოვი) (გაზეთი „სამრეკლო“, 1989წ. დეკემბერი).

ჩერნობილის აეს-ის აკარიის ღროს 31 ადამიანი დაიდუპა. მომდევნო თვეებში სხიური დაავადებით ასეულობით ადამიანი გარდაიცვალა, საფრთხე დამუქრა 300-400 მილიონი ადამიანის ჯანმრთელობას. მკვეთრად მოიმაგა ლეიკემიით, ავთვისებიანი სიმსიენეებით და რადიაციით ინდუცირებულმა სხვა დაავადებებმა. დაბინძურებული გერიტორიის გარაღი 13,5 მილიარდი დოლა-



სურ.მ.მანჩინიძის კი.ლენინის სახელობის ატომურ ელექტროსადგურში მოხდარი კატასტროფის შედეგად წარმოქმნილი რადიოაქტიური დრუბლის ეავრცელება. 1986 წ. 26 აპრილს ჩეჩნობილის ატომურ ელექტროსადგურში მოხდარი ავარიის შედეგად გარემოში გაიფანტა რადიოაქტიური ნაყოფიერებები, რომელსაც ციკანტური რადიოაქტიური დრუბელი წარმოქმნა. მან ევროპისა და აზიის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაფარა. რადიოაქტიულმა დრუბელმა საკარგელოს მთელი ტერიტორია მოიცვა. მომხდარი ფაქტი გამოიწველმა საბჭოთა მთავრობამ დანამატული ღირებულება მიიქმალა. ინციდენტი მხოლოდ ირი კვირის შემდეგ აჩვენეს მოსახლეობას, ძირითადი ზონტეგები აფგანადიკის რეგიონებშია. აყარის დროს, ადამიანი დაიღუპა, მომხდარი ფაქტის შესწავლა და დაგეგმვა ადამიანი გარდაიცვალა. საერთოზე უკუკრება 300-400 მილიონი ადამიანის გაანგრივობას. მეფთიოდ მოიბატებს ლეიკემიით, ავთვისებიანი სიმსივნეებითა და რადიაციით ინდუცირებული სხვა დაავადებები. ამ ფაქტმა მილიონობით ადამიანი ატომური ელექტროსადგურების შექმნის წინააღმდეგ განაწყო.

რით უასღება, ხოლო მილიონი ადამიანი პირდაპირ ან ირიბად დაშავდა ჩერნობილის კატასტროფის შედეგად. დღეს ძნელია დადგინდეს აეაროის შედეგად დაღუპული ადამიანების რიცხვი, ასევე იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც დაინვალილებული ან დაავადებული არიან გამოუცნობი დაავადებით, არის მოსაზრება, რომ ჩერნობილის დაბინძურების შედეგად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოსალოდნელია 8000 ადამიანში გენეტიკური გადახრების განვითარება.

რადიაციისაგან ყველაზე მეტად დაზარალდა უკრაინის, ბელორუსიის, რუსეთის მოსახლეობა. ჩერნობილის კატასტროფას სხვადასხვა გენეტიკური დარღვევები და სიმახინჯეების რიცხვის მრდაც მოჰყვა: კურდღლის ტუნი. მგლის ხახა. გაორებული ლეიძლი, შარდსადენები, დამატებითი თითები, ანომალური ნერვული და სისხლის მიმოქცევის სისტემით დაავადებულ ბავშვთა რიცხვის მრდა და სხვ.

გომელის ოლქში თანდაყოლილი სიმახინჯეების რიცხვი 1986 წლიდან 1994 წლამდე 6-ჯერ გაიზარდა.

ჩერნობილის კატასტროფამდე ფარისებრი ჯირკელის კიბო ბავშვებსა და მოზრდილებში უკრაინაში, ბელორუსიასა და რუსეთში იშვიათად აღირიცხებოდა. კერძოდ, 1965-1985 წლებში ბელორუსიაში მსოლოდ 21 შემთხვევა იყო რეგისტრირებული. 1996 წ. ბავშვებსა და მოზრდილებში რუსეთსა და უკრაინაში დაბინძურებულ გერიგორიაზე იგი 10-ჯერ გაიზარდა. გომელის ოლქში მოიმაგა ჩიყვის აეალობამ 7-ჯერ. 1986-1993წწ-ში აეგო-იმუნური თირეოიდიგის რაოდენობა გაიზარდა 600-ჯერ და მეტად. ბელორუსიასა და მინსკში იმაგა თეალის სისხლძარღვოვანი გარსის ახალწარმონაქმნებმა - რეგინობლასტომებმა.

1992წ. ბელორუსიაში საშუალო ასაკის მოსახლეობაში გამოვლინდა ყველა ფორმის ლეიკემიის მრდა (ჯ. ფომანის გამოკვლევები „ჩერნობილის შედეგები“, 1994წ.).

ცნობილია, რომ რადიაცია მოქმედებს იმუნურ სისტემაზე, რომლის უპრავი გამოკვლევაა უკრაინაში, ბელორუსიასა და რუსეთის იმ რეგიონებში, სადაც დაბინძურების დონე იყო 5 კიური/კმ2-ზე. ამ რეგიონების ბავშვებს შემცირებული აქვთ ან-

გისხეულების წარმოქმნის უნარი (პეგროვა „ჩერნობილის კატასტროფის ციგოგენეტიკური გამოკვლევები და დიაგნოსტიკა“, 1993).

4000-ზე მეტი ადამიანის იმუნური სისტემის შესწავლის შემდეგ, რომლებმაც რადიაციის მცირე დოზების ზემოქმედება განიცადეს, დაადგინეს, რომ ორგანიზმში კარგავს იმუნური სისტემის უნარს წინააღმდეგობა გაუწიოს ინფექციურ და არაინფექციურ დაავადებებს. იმ ბავშვებს, რომლებიც ცხოვრობდნენ „30 კმ-იან ზონაში“ და შემდეგ მოახდინეს მათი ევაკუაცია დაქვეითებული აქვით სიმსივნის საწინააღმდეგო იმუნური უნარი.

ჩერნობილის ავარიის შემდეგ რადიაციის შემდეგ დაბინძურებულ გერიგორიაზე მცხოვრებ ინდივიდებს შორის იმუნიტეტის დაკარგვის უნარს „ჩერნობილურ შიდას“ უწოდებენ. სხვა დაავადებებთან ერთად მოიმაგა სიკვდილიანობამ მუცლად ყოფნის პერიოდში 1986წ. ივნის-იელისში (ერიქსონი; 1994წ.) ჩერნობილის ავარიის უმძიმესი შედეგები ყოველწლიურად იხენს თავს. მათ შორის ყველაზე მეტად ეს შედეგები აისახება იმ ამოუცნობი და ახალი დაავადებების სიჭარბეში, რასაც დღეს ვხვდებით მედიცინაში, რომელთა შორის აღსანიშნავია ჩერნობილური გონებრივი სისუსტე, ანუ „ჩერნობილური ჭკუასუსტობა“. ქვეყანა დაღვა უკურნებელი დაავადების წინაშე - საკუთარი მოსახლეობის ინტელექტუალური დეგრადაცია. ეს არის პრობლემა არა მარტო იმ ხალხისა, რომლებიც უშუალო მონაწილეა ამ გრაგელისა, არამედ იმ ხალხისა, რომლებიც არასოდეს არ ყოფილა რადიაციულ ზონაში. დაავადებით დაავადდა მოზრდილები და ბავშვები, რომლებიც დაიბადნენ კატასტროფიდან რამდენიმე წლის შემდეგ, დაავადების სიხშირე მეტია რუსეთში, ბელორუსიასა და უკრაინაში. ერის გენოფონდი აღმოჩნდა საშიშროების წინაშე, რადგან დაავადებიდან ბრძოლის საშუალება უცნობია; ფსიქიატრიულ კლინიკებში იმაგა ამ დიაგნოზით დაავადებულებმა. აღრე რადიაციული დასხივებით გვინის დაზიანების აღიარება გასაიდუმლოებული იყო, მაგრამ დღესდღეობით ფსიქიატრები აქტიურად მუშაობდნენ ამ დაავადების პრობლემებზე, რომელიც დღეს ლეგალურად მიმდინარეობს. აღმოჩნდა, რომ დასხივებულ ადამიანებში წარმოიქმნება ანტიხეულები, რომლებიც ნთქავენ მათი გვინის უჯრედებს.

საკუთარი იმუნური სისტემა გვინს აღიქვამს, როგორც უცხო სხეულს და მის წინააღმდეგ იწყებს ბრძოლას.

აღმოჩნდა ისეთი დაავადებებიც, როდესაც შვილები ვერ იგანენ საკუთარ მშობლებს. ესენი ჩერნობილით დაბინძურებულ ზონაში მცხოვრები მშობლების შვილებია, ისინი გრაველიდან I წლის შემდეგ დაიბადნენ. ამ ბავშვებს არ შეუძლიათ სწავლა, სულ მცირე ასაკიდან აღენიშნებათ თავის გვიფილები, გვინის ეპითელიზაციის ნიშნები. ბავშვები რამოდენიმე წუთით ითიშებიან, შემდეგ თითქოს არც მომსლარა არაფერი. აგრძელებენ თავიანთ საქმიანობას. ამ მოვლენის შექანიში უცნობია. ექიმებმა აღმოაჩინეს 600 ათასი ასეთი ბავშვი. ამ მოვლენის აღმოჩენის შემდეგ ექიმები აღიარებენ, რომ ჩერნობილმა საშიშროების წინაშე დააყენა „სლავი ხალხის“ არსებობის ბიოლოგიური საფუძველი. მეცნიერები დაბეჯითებით ვერ უარყოფენ, რომ „ჩერნობილური გონებრივი სისუსტე“ არ გადაეცემა მეტკვიდრებით. ეს ჯერ კიდევ შესწავლის საგანია და ძნელი წარმოსადგენია ის მომენტი, თუ რა შედეგი მოჰყვება საკითხის დადებით გადაწყვეტას.

ჩერნობილმა უარყოფითი შედეგები მოუტანა იმ ქვეყნებსაც, რომლებამდეც მიაღწია აგომურმა ღრუბელმა. მაგ. გერმანიაში აღინიშნა კორელაცია ჩერნობილით დაბინძურებასა და პერინატალურ სიკვდილიანობას შორის. გერმანიაში უნაყოფობამ ამ პერიოდში მოიმატა 5,5-ჯერ. ახალშობილთა სიკვდილიანობამ 35% მოიმატა ჩერნობილის ავარიის პერიოდში. ასეთივე შედეგები იქნა დაფიქსირებული დიდ ბრიტანეთში. ნეონატალური სიკვდილიანობის, სპონტანურ აბორტების ზრდის მაღალი პროცენტი აღინიშნა (30%-ით გაზრდა) 1986 წლის მაის-აგვისტოში ატლანტაში (აშშ). თურქეთის ქალაქ ბურსასა და იზმირში 1986 წლის მეორე ნახევარში ჩასახულ ბავშვებში 3.4-4-მდე გაიზარდა ნერვული სისტემის თანდაყოლილი დეფექტები. ზალცბურგსა (ავსტრია) და იუგოსლავიაში 4-დან 71%-ით გაიზარდა თანდაყოლილი სიმსივნეების რაოდენობა.

ჩერნობილის კატასტროფას არც საქართველოსთვის ჩაუვლია უკვალოდ გარემოს გაბინძურების ხარისხით საქართველო მეოთხე ადგილზეა, უკრაინის, ბელორუსიის, რუსეთის შემდეგ.

საქართველოს გეოგრაფიულმა და გეოფიზიკურმა მდებარეობამ ხელი შეუწყო მის ტერიტორიაზე ხელოვნური რადიონუკლიდების გამოლექვას.

კატასტროფის შემდეგ განსაკუთრებით დაბინძურდა შავი ზღვის სანაპირო. მაისის პირველ რიცხვებში გაბინძურების ხარისხი აგმოსფერულ ჰაერში ბათუმში მოიმატა 500 ათასჯერ, კოლხიდაში 100 ათასჯერ, აფხაზეთში 500 ათასჯერ. დაფიქსირდა მცენარეთა (ვაშის ფოთოლი, ბალახი, კომბოსტო, მწვანილი და სხვ.) მაღალი დაბინძურება რადიაციით. დაფიქსირდა რძისა და მისი პროდუქტების (ყველი) დაბინძურება. რადიონუკლიდების შემცველობა ანუ დაბინძურების ხარისხი დასაეღეთ საქართველოში 10-ჯერ უფრო მაღალი იყო, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში (კ. ნადარეიშვილი, გ. ციციქიშვილი, რ. ხაზარაძე და სხვ. „ტექნოგენური რადიონუკლიდების ალიმენტური (კვებით) გზით ადამიანის ორგანიზმში კვების რაციონით შეღწევის გამოკვლევა საქართველოში“ 1989 თბ.). განსაკუთრებით მაღალი აქტიურობა იყო საჩხერისა და ჩოხატაურის, ბორჯომის, მარგვილის პროდუქტებში. აჭარასა და აფხაზეთში დაბინძურება შეადგენდა 5 კიური კმ², რაც თითქმის ერთი რიგით მეტია, ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ტერიტორიის დაბინძურებასთან შედარებით. რადიაციის მაღალი დონით გამოირჩეოდა 1986 და მომდევნო წლების ჩაის მოსავალი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოში საფრთხის წინაშე აღმოჩნდა არა მარტო გაბინძურებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა ჯანმრთელობა, არამედ თითქმის ყველა დასახლებული ადგილის მოსახლეობა, რადგან მათი მომარაგება საკვები პროდუქტებით ხდება ბაზრის მეშვეობით, რომელიც ძირითადად დასაეღეთ საქართველოს დაბინძურებული რეგიონებიდან ხდებოდა. ამასთან აღსანიშნავია ადგილობრივი კვების რაციონი: ახალი მწვანილი, რძის პროდუქტები, ყოველივე ამან საქართველოს მოსახლეობას შეუქმნა რეალური საშიშროება რადიონუკლიდებით ორგანიზმის დაბინძურების თვალსაზრისით. 1989 წ. ჩატარებული გამოკვლევებით დადგენილია, რომ შავი ზღვისპირა ზოლის დასახლებულ პუნქტში გამა-რადიაციული ფონი მერყეობდა 13-36 მილირენტგენ საათის

ფარგლებში; ხოლო 1307 Cs-ის კონცენტრაცია შეადგენდა 0.15-1.5 კიურკვ² (რიგ რეგიონებში 200-300გრ/სო).

სამეგრელოს რეგიონის რადიოეკოლოგიური სიტუაციის შეჯამებისას აღინიშნა, რომ რადიაციული უონის საშუალო მაჩვენებლები (124 ნანოგრეი/სო) აღემატებოდა ევროპის ქვეყნებისა და საქართველოში XX საუკუნის 70-იან წლებში დაფიქსირებულ სიდიდეს (კ. გელაშვილი, ნ. ვეფხვაძე). ბოლო წლებში საქართველოში აღინიშნება ონკოლოგიური და სხვა პათოლოგიების მაგება. დაკვირვებათა შედეგად აღმოჩნდა, რომ ჩერნობილის ავარიის შემდეგ პირველ ადგილზეა სარბევე ჯირკვლების სიმსივნე, რომელმაც ავადობის ყველაზე მაღალ მაჩვენებელს 1990წ. აღწევდა და იგი 462,7 გოლი იყო. მეორე ადგილზეა ფილტვის კიბოთი ავადობა, რომელიც 1996წ. 233,6 აღწევდა. შემდეგ მოდის საშვილოსნოს ყელის, სისხლმბადი ორგანოების, კუჭის, ხორხის, შარდის ბუშგისა და სწორი ნაწლავის კიბოთი დაავადებები. ცალკეულ რაიონებზე დაკვირვებებით აღმოჩნდა, რომ კიბოთი დაავადებების შემთხვევათა რიცხვი სხვადასხვა ქალაქსა და რეგიონში ამგვარ სურათს იძლევა: (თ. მელქაძის მიხედვით).

1. ქუთაისში კიბოთი ავადმყოფობამ მაქსიმუმს 1986-1987 წლებში მიაღწია და იგი შესაბამის წლებში 125,3 და 121-ის გოლი იყო. დანარჩენ წლებში 71,5 და 115,3-ის ფარგლებში მერყეობდა. 2. ჭიათურის რაიონში კიბოთი ავადობის მაღალი მაჩვენებელი 1986-1989 წლებში შეიმჩნეოდა და შესაბამისად 124,2 და 104,9-ის გოლი იყო. 3. თერჯოლაში პიკს კიბოთი ავადობა 1986-1988 წლებში აღწევდა, შესაბამისად 140,5 და 137,5.

4. ხონში სიმსივნით ავადობის მაქსიმუმი აღინიშნებოდა 1986-1989 წლებში, შესაბამისად 131 და 132-ის გოლი იყო.

5. ვანში კიბოთი ავადობის მაღალი მაჩვენებელი 1986-1989 წლებში გამოირჩეოდა 154,5 და 146,5-ის გოლი იყო.

6. გესგაფონში ავადობა პიკს 1987-1991 წლებში აღწევდა. 1331,1 და 148,1-ის გოლი იყო.

7. ბაღდათში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 1990 წელს ხასიათდებოდა 626,7.

8. ხარაგოულში ავადობა 1989 წ. აღწევდა მაქსიმუმს 160,3.

9. ტყიბულში პიკი შეიმჩნეოდა 1987წ. იგი 163 გოლი იყო.

10. წყალტუბოში ავადობა მაქსიმუმს 1986-1988 წლებში აღწევდა 126 და 106,1-ის რაოდენობით.

11. სამტრედია-იმერეთის რეგიონში მაღალი მაჩვენებლებით ბალდათის შემდეგ მეორე ადგილზეა. აქ კიბოთი დაავადების მაღალი მაჩვენებელი 1988-1989წწ აღინიშნებოდა 186,9 და 181,7-ის გოლი.

12. საჩხერის რაიონში ავადობა მაქსიმუმს 1987-1988წწ აღწევდა შესაბამისად 106,2 და 114,8-ის გოლი. (თ. მელქაძე) (ცხრილი 6, 7).

გამოირკვა, რომ დაავადებას გალღისებური ხასიათი ჰქონდა, პერიოდულ მაგებას ცვლიდა პერიოდული კლება. ავადმყოფობა პიკს 1990წ. აღწევდა (144,5).

დაკვირვებებმა აჩვენა, რომ დასსიეების მომაგებისას იმერეთის რეგიონში აღინიშნა ონკოლოგიური დაავადებების რაოდენობის ზრდა. ძირითადად შეინიშნებოდა დაავადების მომაგება ჩერნობილის კატასტროფის ხუთი წლის განმავლობაში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ კატასტროფის შედეგებს ჯერ კიდევ არ უჩენია თავი მთლიანად, იგი შესაძლებელია მოსალოდნელი იყოს კატასტროფიდან 12-18 წლის, 20-25 წლის და 30 წლის შემდეგ, რადგანაც კიბოს ზოგიერთი ფორმის გამოქვლავების ლატენცური პერიოდი სხვადასხვაა.

ამერიკელმა და ბრიტანელმა მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ჩერნობილის ატომური რეაქტორის აფეთქების შემდეგ კიბო რეკორდული მაჩვენებლებით გაერცეულა უკრაინაში ატომური სადგურის ავარიიდან 19 წლის შემდეგ 2,5 ათას კაცს დაუსვეს სიმსივნის დიაგნოზი. სიმსივნის რისკი ყოველწლიურად იზრდება ატომური სადგურის მახლობლად მომუშავე ყველა ადამიანის, განსაკუთრებით ბავშვების, მათ ფილგვების სიმსივნის გაჩენის საფრთხე ემუქრებათ. ამერიკის კიბოს კვლევის ეროვნული ინსტიტუტის ვარაუდით, კიბოს გაჩენის უდიდესი საფრთხე უკრაინაში, ბელორუსიაში, რუსეთში და მათ შორის საქართველოშიც 15-20 წლის შემდეგ არის მოსალოდნელი. რუსების მონაცემებით, ჩერნობილის აფეთქების შემდეგ 5 მილიონი ადამიანი დაავადდა, უიხოელთა ვარაუდით დაავადებულთა რაოდენობა შესაძლოა, გა-

ივარათის რაიონის ადგილობრივი სოფთაბაღი ავარია

	1981	1982	1983	1984	1985	1986	1987	1988	1989	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997
1 ჭიჭიანი	103.2	96.7	71.5	115.3	119.3	123.3	121	120.9	100	111.9	115.1	104.2	109.6	113.1	94.5	80.4	114.6
2 სათარა	102.8	73	67.2	91.5	94.5	123.2	90.0	92.5	104.9	84	68.6	70.1	54.3	61.4	38	51.8	78.4
3 თუშუღა	92.7	68.5	105	59.3	112	140.3	71.4	137.5	63.2	71.6	105.7	44.9	29.9	48.1	37.7	64.7	98.4
4 ხანი	105.1	86.9	86.7	131.1	99.7	106.2	93.9	132.7	90.1	109.5	129.2	68.7	43.7	83.3	83.3	81.8	101
5 აბი	118.3	126	102.5	128.9	154.5	124.6	137.3	135.5	146.5	52.7	118.4	74.4	71.6	96.4	90.4	89.6	52.6
6 ხეჩუბანი	111	132.5	106.2	111.8	126.3	115.7	146.1	113.9	118.9	117.0	133.1	115	54.2	94	84.9	79.5	99
7 ბაღაბანი	125.9	119.8	89.9	120.3	159	187.3	118.7	121.9	68.9	626.7	75.3	106.2	51.3	101.6	90	114.9	66.9
8 საბაბანი	72.1	145.8	88.8	134.2	89.7	112.5	83.6	129	180.3	134.5	121.9	115	80.1	52	66	101.1	55.2
9 ბეჩუბანი	84.9	115.7	93	109.4	152.2	114.6	109	163	114.4	110.5	151.7	97.5	94.8	51.5	54	50.6	89.4
10 ნაბაბანი	82.4	102.3	39.6	91.6	99.8	126	85.2	61.6	87.5	99	67.4	89.9	23.9	61.1	51.4	50.6	90.3
11 საბაბანი	121.7	113.5	124.2	111.9	129.4	149.3	140	186.9	181.7	100	141.3	111.6	105.6	114.2	78.5	81.7	111.3
12 საბაბანი	82.8	81.7	81.5	87.7	96.5	109.4	106.2	114.8	93.5	72.1	89.5	71.2	41.1	45.7	72.7	59.7	93.9
კავება	101.92	105.33	85.34	163.25	118.51	127.72	109.25	129.69	114.33	115.95	109.13	94.19	63.15	73.15	27.61	53.72	73.93
საშუალო	0.064	0.056	0.056	0.025	0.025	0.304	0.412	0.460	0.500	0.500	0.360	0.274	0.230	0.204	0.144	0.124	0.108

ივარათის რაიონში ადგილობრივი სოფთაბაღი ავარია (სოფ. თუშუღა)

	1981	1982	1983	1984	1985	1986	1987	1988	1989	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996
სოფი	52.2	107.5	81.2	91.3	91.5	103.4	63.7	113.1	90.4	87.3	90.6	83.4	40.9	63.3	43.9	67.1
სოფი ბაბანი	28.7	41	40.5	54.2	48.4	51.9	52.0	43.1	46	59.5	31.1	44.6	21.7	19.3	32.4	52.5
სოფი	58.9	74.7	81.64	84.0	71.4	76.5	68.6	75.1	81.4	70.2	55.4	46.2	27.7	43	49.2	78.7
სოფი	172.7	162.8	122.8	159.9	190.6	180.6	182.2	228.3	165.2	178.1	186.9	135.3	265.1	138.1	108.2	233.6
სოფი	364.7	291.1	352.6	375.1	401.2	447.1	433.7	435.6	455	462.7	403.5	403.9	272.1	375.7	301.9	177.9
სოფი	133.3	151.8	150.1	126.3	143.3	197.5	136.3	125.9	199.1	229.1	152.1	135.1	103.6	148	150.3	118.4
სოფი	36.3	39	0	0	0	43.3	23.8	30	83.4	34.8	34.8	30.7	20.5	18.4	13.9	22.9
სოფი	85.1	102.4	66	98.6	84.4	99.3	110.1	126.6	85.3	97.9	85.4	86.5	51.8	45.5	41.2	83.5
სოფი	117.74	121.29	109.36	124	126.98	148.95	133.9	147.96	150.85	152.45	129.99	120.71	100.45	106.41	93.03	101.95

ცილებით დიდი იყოს.

საქართველოდან ჩერნობილის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეობდა 2000-მდე მოქალაქე. მათგან 600 სამუდამოდ დაინვალიდა. მაშინ მიღებული სხივური ზემოქმედების შედეგად უკვე დაიღუპა 60 ადამიანი. ავარიის შემდეგ მის მონაწილეებს 120-მდე ბავშვი ეყოლათ და ბევრ მათგანს სხვადასხვა პათოლოგია აქვთ დადგენილი.

არაჟინ იცის, როდემდე მოვიმკით საქართველოში ჩერნობილის კატასტროფის შედეგებს.

ჩერნობილის ელ სადგურზე გამოწვეულ დაბინძურებას საქართველოს ტერიტორიაზე ემაგება რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ დატოვებული ბირთვული ნარჩენები, რომლებიც აბინძურებენ მიმდებარე ტერიტორიებს და არაერთი ადამიანის დაღუპვის და სხივური დაავადების მიზეზიც გახდა. ამ ნარჩენების აღმოჩენა და ლიკვიდაცია საკმაოდ დიდ თანხებს საჭიროებს, რაც საქართველოს მწირი ბიუჯეტის ფონზე საკმაოდ რთულია.

გარემოს მუტაგენების გავლენა აღამიანის ჯანმრთელობაზე

სამეცნიერო-გექნიკურმა პროგრესმა კაცობრიობის წინაშე წამოჭრა გარემოს დაცვის პრობლემა უარყოფითი, სანგრძლივი და შეუქცევადი ცვლილებებისაგან. აღამიანის საქმიანობამ გამოიწვია ბუნებრივი ლანდშაფტების შემცირება, ბიოცენოზების რღვევა, დეგრადაცია და შეცვლა. ჰიდროსფეროს, ატმოსფეროს და ნიადაგების გაჭუჭყიანებამ ბოლო ათწლეულებში გლობალური მასშტაბები შეიძინა და საფრთხე შეუქმნა მთელ ბიოსფეროს, მათ შორის აღამიანის არსებობასა და ჯანმრთელობას. ამიგომ გარემოს დაბინძურების პრობლემის გადაწყვეტა საერთაშორისო დონეზე დიდ ძალისხმევას საჭიროებს, რათა კონკრული გაეწიოს დაბინძურების მიმდინარეობის პროცესებს. ქიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური ბუნების მუტაგენური ფაქტორებით დაბინძურების უარყოფითი შედეგები უკვე ნათლად აისახა მთელ ბიოსფეროზე. ამიგომ აუცილებელია ამ შედეგების ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასება და პერსპექტივაში მათი სიღრმისა და მოცულობის პროგნოზირება (Н.П. Дубинин, Мутагенез и окружающая среда, М., 1988).

გარემოში გავრცელებული სხვადასხვა დამაბინძურებლების შეფასებითვის არსებობს სგრეს ინდექსების სისტემა. მოვიყვანოთ გარემოს სხვადასხვა კატეგორიის დამაბინძურებლების სგრესინდექსები: 1) პესტიციდები - 140; 2) მძიმე მეტალები 90; 3) ნახშირორქანგი - 75; 4) გოგირდის ორქანგი და მათი დაქანგვის პროდუქტები - 72; 5) დაღერილი ნაეთობი - 48; 6) სამრეწველო საწარმოების მიერ ნახშიარი წყლები - 46; 7) ქიმიური სასუქები - 30; 8) ორგანული ნარჩენები - 24; 9) აზოტის ზეჟანგი - 20; 10) რადიაციული ნარჩენები 20; 11. ქალაქის ნაგავი 16; 12). აგომური ელ. სადგურების ნარჩენები - 16). ეს საშიში ფაქტორები განლაგებულია სგრესული მნიშვნელობის თანმიმდევრობით.

აღნიშნული ჩამონათვალი ნათლად გვიჩვენებს თუ რარიგ მრავალფეროვანია აღამიანის ზემოქმედება ბუნებაზე. დედამიწა-

ზე არ მოიპოვება უბანი, სადაც ამგვარ ზემოქმედებას მეგნაკ-
ლები ინგენსიურობით არ ექვემდებარებოდეს ცოცხალი სისტემა.
გარემოს გამაჰუჰყიანებელ მრავალ ფაქტორს გენეტიკური აქტი-
ურობა აღმოაჩნდა. გარემოში მუტაციების გაერელება მუტა-
ციის სიხშირის გაზრდას იწვევს. წარმოქმნილი მუტაციები მეგ-
წილად რეცესიული და საზიანოა (რის გამოც იზრდება გენეტი-
კური გვირთი), იგი არღვევს ევოლუციის პროცესში ჩა-
მოყალიბებული ორგანიზმის ერთიან გენეტიკურ სისტემას. საურთხე-
ემუქრება როგორც ადამიანის ამჟამინდელ და მომდევნო თაობებს,
ისე მთელ ბიოსფეროს. ამ საურთხემ განაპირობა ახალი დარგის
გენეტიკური გოქსიკოლოგიის ჩამოყალიბება, რომელიც იკვლევს
ანთროპოგენული ბუნების ფაქტორების მუტაგენურ აქტიურობას,
უმთავრესად შეისწავლება ქიმიური ნივთიერების გენეტიკური
აქტიურობა. იგი ამუშავებს მათი განსაზღვრის მეთოდებსა და
შეფასების საშუალებებს, მიზნად ისახავს მინიმუმამდე დაიყვანოს
მუტაგენური ზემოქმედების რისკი, უკიდურესად შეზღუდოს ადა-
მიანის ისეთი საქმიანობა, რომელიც გენეტიკურ საშიშროებას
იწვევს.

მუტაციური პროცესის შესწავლამ ნათელყო, რომ მუტაგე-
ნემს, რეკომბინაციასა და რეპარაციას, ღმ-ის რეპლიკაციასთან
დაკავშირებული მრავალი საერთო ეგაპი მოეპოვება. გენეტიკუ-
რი გოქსიკოლოგია იკვლევს გარემო ფაქტორებით ინდუცირებულ
როგორც მუტაგენურ და რეკომბინაციურ აქტიურობას, ისე მათ
მოქმედებას რეპარაციის პროცესზე. ამ უნარის მიხედვით ადგე-
ნენ ამა თუ იმ ფაქტორის გენეტიკური აქტიურობის უნარს.

„ბუნებრივი მუტაციური პროცესების ანალიზმა უჩვენა, რომ
მუტაციების სიხშირეს აძლიერებს ფართო წრე. მათ შორისაა
მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და ყოფა-ცხოვრებაში გა-
მოყენებული ქიმიური ნივთიერებები, ზოგიერთი სამკურნალო
პრეპარატი, კვების გარკვეული პროდუქტები და მათი დანამა-
გები, რადიაცია, გემპერაგურა, ვირუსები და სხვ. (B.C. Журков;
Генетика, 1995).

დღეისათვის ცნობილია, რომ დამაბინძურებლების დიდი უმ-
რავლესობა გენეტიკური აპარატის დაზიანებას იწვევს, რასთა-

ნაც დაკავშირებულია არა მარტო მემკვიდრული დაავადებები, თანდაყოლილი სიმახინჯეები, ავთვისებიანი სიმსივნეები და ნაადრევი დაბერება, არამედ ისეთი დაავადებებიც, როგორცაა გულ-სისხლძარღვთა, ნერეული, საჭმლის მომწელებელი სისტემის და სხვ. აქედან გამომდინარე, აუცილებელია შემუშავდეს პროფილაქტიკური ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება ორგანიზმზე მათი მოქმედების გენეტიკური შედეგების აცილებისაკენ. ასეთი შეიძლება იყოს: 1. საშიში მუტაგენების გამოვლენა, მათი ხმარებიდან ამოღება და შეცვლა უსაფრთხო ანალოგებით. 2. მაენე ქიმიური პრეპარატების ბიოლოგიურად უსაფრთხო ღობების დადგენა, რომელთა დიდ ღობებს ახასიათებთ გენეტიკურად მაენე მოქმედება. 3. ეფექტური ანტიმუტაგენების შერჩევა და გამოყენება, რომლებიც მინიმუმამდე ამცირებენ ბუნებრივი და ინდუცირებული მუტაციების სიხშირეს (Y.K. Алекперов; Антимутагенез, "Наука", 1993). ამჟამად დადგენილია, რომ მუტაციის პროცესი რთული და მრავალსაფეხურიანია. გენეტიკურ სტრუქტურაში (დნმ-ში) მომხდარი ცვლილებები მის გენოტიპურ და ფენოტიპურ რეალიზაციამდე გრძელსა და რთულ გზას გაივლის. იგი მოიცავს დნმ-ს რეპლიკაციის და რეპარაციის, ასევე გრანსკრიპციისა და გრანსლაციის პროცესებს. ყველა ჩამოთვლილი პროცესი რთული ფერმენტული სისტემით ხორციელდება და გენეტიკური აპარატით კონტროლირდება. პროცესის ნებისმიერი რგოლის დაზიანება მუტაციას იწვევს. გარემოში მუტაგენების გავრცელება კი მუტაციის პროცესის სიხშირის გაზრდას იწვევს. მუტაგენურ ფაქტორს წარმოადგენს ყველა სახის მაიონიზებული (რენტგენის სხივები, α გამოსხივება, ნეიტრონები და ა.შ.) რადიაცია და ულტრაიისფერი სხივები. თავდაპირველად მიაჩნდათ, რომ მაიონიზებული რადიაცია უშუალოდ მოქმედებს გენეტიკურ მასალაზე და ცვლის მის სტრუქტურას. დადგენილია, რომ რადიაციის უშუალო მოქმედებით დნმ-ის მოლეკულაში წარმოიქმნება ნაირგვარი დარღვევები. ასევე დადგენილია, რომ რადიაცია არაპირდაპირი გზითაც მოქმედებს დნმ-ს სტრუქტურაზე. ყველაზე მნიშვნელოვანია წყლის დაშლა რის შედეგადაც მიიღება ატომური წყალბადი, ჟანგბადი და OH და HO₂-ის რადიკა-

რადიკალები და წყალბადის ზეჰანგი შლიან უჯრედის შემადგენელ ორგანულ ნიუთიერებებს, მათ შორის ღმ-საყ. მაიონიზებული რადიაცია მოქმედების ფართო სპექტრით ხასიათდება. ინდუცირდება მუტაციის ყველა სახე, რომელიც იწვევს ორგანიზმის ნებისმიერი ნიშნის ნაირგვარ ცვლილებას. გენური მუტაციისა და მცირე ზომის ქრომოსომული აბერაციების წარმოქმნის სიხშირე დასხივების დომის პროპორციულია, ხოლო დიდი ზომის ქრომოსომული აბერაციების სიხშირე დომის კვადრატის პროპორციულად მაგვლობს. რადიაციის მოქმედებას ქვედა ზღურბლი არ გააჩნია, ნებისმიერი დოზა ახდენს მუტაციის ინდუქციას.

ადამიანში რენტგენისა და α გამოსხივების 1,0-1,5 გრეი დოზა მუტაციის სიხშირეს ორმაგად ზრდის. მცენარეები ბევრად უფრო რადიორეზისტენტულია, ვიდრე ცხოველები. ლეგალური დოზა თავისთავის 9 გრეია, ადამიანისთვის 6 გრეი, ხოლო ამებასათვის - 1000 გრეი. თუ ორგანიზმი ხანგრძლივად ექვემდებარება რადიაციის მეტად დაბალი დომის ზემოქმედებას, იგი უკვალოდ არ ქრება, მისი მოქმედება გროვდება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბუნებრივი რადიაციული ფონი დაბალია. ადამიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე 0,03 გრეი დომას იღებს.

გენეტიკურად აქტიური ფაქტორები სამ ჯგუფად იყოფა: ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური.

ფიზიკურ ფაქტორებს მიეკუთვნება სხვადასხვა სახის მაიონიზებული რადიაცია და ულტრაიისფერი სხივები. მაიონიზებული რადიაციის გენეტიკური ეფექტის შესწავლით დადგენილია, რომ დომას ქვედა ზღურბლი არ გააჩნია, უმცირესი დოზაც კი ახდენს მუტაციის ინდუქციას - ცოლ-ქმრული წყვილიდან თუ ერთ-ერთი 1,0-1,5 გრეი დომას მიიღებს (იგი მუტაციის ინდუქციას ორჯერადად ზრდის), დაავადებული შეილის ყოლის ალბათობა უმნიშვნელოდ (4-5%-დან 5-6%-მდე) იზრდება. სურათი იცელება, თუ იმავე დომას რეგიონის მთელი მოსახლეობა მიიღებს. მომდევნო თაობებში დაავადებულ ინდივიდთა რაოდენობა 2-ჯერ მობატება. იაპონელმა მეცნიერებმა შეისწავლეს ხიროსიმასა და ნაგასაკი ატომური დაბომბვის შედეგად დასხივებულ ადამიანთა ლეიკოციტებში ქრომოსომული აბერაციები. 30 წლის შემდეგაც კი

მათში ქრომოსომული დარღვევები აღინიშნებოდა. იმ ტერიტორიებზე, სადაც დაბინძურება 3 კიურიკმ-ზე მეტს შეადგენდა 2,4-ჯერ გაიზარდა ქრომოსომული აბერაციის სიხშირე. ამავე დროს მოიმატა ლეიძლის ცირომმა. პიპერტონიამ, ცელილებები აღინიშნა პერიფერიულ სისხლში, იმუნურ სისხტემაში, მენსტრუალურ-ოვარიულ ციკლში, ჰორმონალურ სტატუსში, ეიტამინების ცელაში და სხვ. ამასთანავე, დადგინდა იქნა მკაფიო ურთიერთდამოკიდებულება 0,01-დან 5,0 გრემდე ღობის დიაპაზონში დასხივების ღობისა და მუტაციის ინდექსის სიხშირეს შორის. ნათელია, რომ ბუნებრივი რადიაციული ფონის გაზრდა (რასაც იწვევს ბირთვული იარაღის გამოცდა, რადიონუკლიდებით გარემოს გაბინძურება, მედიცინაში რადიაციის გამოყენება და სხვ). შეიძლება ისეთ ღონეს მიაღწიოს, რომელიც სამიში იქნება დედამიწაზე მცხოვრები ყოველი ცოცხალი ორგანიზმისათვის.

გენეტიკურად აქტიური ფაქტორია, ასევე ულტრაიისფერი სხივები. ოზონის ეკრანი არ ატარებს გრძელტალღოვან ულტრაიისფერ სხივებს. გექნოგენური პროცესების ინტენსიური მოქმედების შედეგად შესაძლებელია ოზონის შრის დაზიანება, რის გამოც ულტრაიისფერი სხივები მომაკვლინებლად იმოქმედებს ცოცხალ სისტემებზე. (კანის სიმსივნური დაავადებები, იმუნური სისტემის დათრგუნვა; თვალის რქოვანა გარსის დაზიანება (ფოტოკერატოზი); კატარაქტა, საშიშია აგრეთვე ულტრაბგერები, მაღალი სიხშირის დენი, ცელადი მაგნიტური ველი და სხვ შემოქმედება ნუკლეინის მჟავას მოლეკულის სტრუქტურაზე და სხვ.

ფიზიკური მუტაგენებიდან ულტრაიისფერი სხივები ძირითადად გენურ მუტაციებს, იმეიათად კი ქრომოსომულ აბერაციებს წარმოქმნის. იგი ღნმ-ის მოლეკულაში ორი მემობელი პირიმიდინის ფუძეების დიმერიზაციას იწვევს (ღნმ-ს მოლეკულის დაზიანება, რომლის დროსაც ამ სხივების მოქმედების შედეგად ერთი ჯაჭვის პირიმიდინის მემობელ ფუძეებს შორის წარმოიქმნება დიმერები, (უმეტესად თ-თ დიმერი)), რაც პოტენციური მუტაციური ცვლილებაა.

ჩერნობილის კატასტროფის შემდეგ ჩატარებულმა რადიოეპიდემიოლოგიურმა გამოკვლევებმა 7-10 წლის შემდეგ გვიჩვენა,

რომ გაიზარდა მოვადი ონკოლოგიური დაავადებები; მოიმატა სპონგანურმა აბორგებმა, მკედარშობალობის რიცხემა, აღინიშნა ქრომოსომული აბერაციების რიცხეის მრდა - 4.5-7,1%-მდე; ქა-ლებსა და ახალშობილებში აღმოჩნდა ანომალური ქრომოსომების სიხშირე (დიცენტრული და რგოლური ქრომოსომები) ბელორუსიის დაბინძურებულ გერიგორიაზე მცხოვრებ მშობელთაგან დაბადებულ (70) ბაემეებში სატელიტური დნმ-ის მოლეკულურ-გენეტიკურმა გამოკვლეეებმა მიუთითა მუტაციის სიხშირის გამ-რდა. 2-ჯერ. მეცნიერების მიერ გამოთქმულია ვარაუდი, რომ ჩერნობილის დაბინძურების შედეგად მსოფლიოს სხეადასხევა ქეეყანაში მოსალოდნელია აღმოჩნდეს 8 ათასი ადამიანი გენე-ტიკური გადახრებით (Éððí÷îð; 1996), გომელის ოლქში თან-დაყოლილი სიმახინჯეების რიცხეი 1986 წლიდან 1994 წლამდე 6-ჯერ გაიზარდა.

გენეტიკურად აქტიური ქიმიური ფაქტორია ორგანული ნა-ერთები. სინთეზირებულია და სახალხო მეურნეობაში გამოიყენება 4 მილიონზე მეტი ორგანული ნაერთი, რომელსაც სხეადასხევა მიზნებისთვის იყენებენ. ბეერი მათგანი ეეოლუციის პროცესის განმეელობაში ბიოსფეროში არასოდეს არ ყოფილა, მათი დაშ-ლა (მინერალიზაცია) არ ხდება და დიდხანს რჩება გარემოში (ხასიათდება მაღალი პერსისტენცობით). ნაერთთა გარკვეული ნაწილი სხეადასხევა გმით ვრცელდება გარემოში, უშუალოდ ან კეებითი ჯაჭეების გმით ხელებიან ორგანიზმში, რასაც თან სდეეს გაუთვალისწინებელი შედეგი. გამაჭუჭყიანებელ ფაქტორთა შო-რის ყველაზე საშიშადაა მიჩნეული პესტიციდეები, მათი უმრეევე-სობა გენეტიკური აქტიობისაა. ბრძოლის ქიმიური მეთოდი მამე-ნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვან მეთოდად ით-ვლებოდა, მაგრამ დღეს იგი ურთულეს პრობლემად იქეა, განსა-კუთრებით აღსანიშნავია ქლორმემეეეელი ნახშირწყალბადის დღგ-ის გენეტიკურად აქტიურობა, რომელსაც ფართოდ იყენებდნენ XX საუკუნის 40-70-იან წლებში სოფლის მეურნეობის მამენებლეების წინააღმდეგ. იგი მთელ დედამიწაზეა გავრცელებული ანტარქტი-დის ჩათვლით. ეს ნაერთი კეებით ჯაჭეებში დიდი კუმულაციის უნარით და მაღალი გენეტიკური აქტიურობით გამოირჩეეა. ისინი

ადამიანის ორგანიზმში დიდი ხნის განმავლობაში რჩება და შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს ჩვილი ასაკის ბავშვებისათვის, ამიტომ იგი არ უნდა მოხედეს მეძუძური ღვლის საკვებში. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ დღგ-ს კონცენცრაცია ცხოველური წარმოშობის პროდუქტებსა და ადამიანის ორგანიზმში იმ ქვეყნებშიც კი, სადაც მისი მოხმარება აკრძალულია, 2-3-ჯერ აღემატება დასაშვებ ნორმებს. გენეტიკურად აქტიური ქიმიური ფაქტორია ნიგრატები, რომლებიც ბიოქიმიური გზით გარდაქმნიებიან ნიგრიტებად. ძუძუმწოვართა. მათ შორის ადამიანის კუჭის მკაფას არეში ნიგრიტებისა და ამინონაერთებიდან ძლიერი მუტაგენები ე.წ. სუპერმუტაგენები - ნიგროზონაერთები წარმოიქმნება, რომელიც ძლიერ გენეტიკურ აქტიობას ავლენს. საქართველოს მევენახეობაში გამოყენებული 30 პესტიციდიდან 16 გენეტიკურად აქტიური აღმოჩნდა.

გენეტიკურ აქტიურობას ავლენენ მძიმე მეგალები და მრავალი სამკურნალო პრეპარატი (აქტინომიცინი, ამინოპტერინი, ბიომიცინი, სტრეპტომიცინი, ზოგიერთი სულფანილამიდი და სხვ), ღებანდორანტები, მრავალი თმის საღებავი, შამპუნები, თმის ბალზამები, კბილის პასტები, (შეიცავენ სოლიუმ ლაურიულ სულფატს, რომლებიც სიმსივნის ინდუქციას ახდენენ). კანცეროგენული მოქმედებით ხასიათდება ზოგიერთი საპნებიც, მათ შემადგენლობაში შედის გრიკლოზანი, ასეთივე შემოქმედებით ხასიათებიან კონსერვანტები, ემულგატორები, საკვები პროდუქტების ფერის მიმცემი და სხვ. ნივთიერებები, რომლებიც გენეტიკურად აქტიური ქიმიური ფაქტორია. ამჟამად მიღებულია ნაირგვარი ჯგუფის ქიმიური მუტაგენები, რომლებიც სპეციფიკური მოქმედების ფართო სპექტრით ხასიათდება. ისინი მოქმედებენ დნმ-ის მოლეკულაზე და მათში ცვლილებებს იწვევენ. ქიმიურ მუტაგენებს მიეკუთვნება ამოტოვანი ფუძის ანალოგები (5-ბრომურაცილი, 2-ამინოპურინი. რეპლიკაციის პროცესში ხდება ბუნებრივი ფუძეების ნაცვლად მათი ჩართვა. ამოტოვანი მკაფა და ჰიდროქსილამინი, ამოტოვანი ფუძის მოდიფიცირებას იწვევენ, ასევე აკრიდინი და მისი წარმოებულები, ჩართვა ხდება დნმ-ის მოლეკულაში. ზოგიერთი მუტაგენი იწვევს ამოტოვანი ფუძეების ალკილი-

რებას (მაგ. ეთილენიმინი, ეთილმეთანსულფონატი და სხვ).

ბიოლოგიური ფაქტორებიდან, რომლებიც გამოიწვევიან გენეტიკური აქტიურობით, აღსანიშნავია ორგანიზმისთვის პათოგენური და არაპათოგენური ბუნების მრავალი ვირუსი. სომატურ უჯრედებში ქრომოსომულ აბერაციებს იწვევს წითელას, ჩუკყავილას, ყვავილის, გრიპის, ეპიდემიური პარატიტი, ჰეპატიტის და სხვა ვირუსები. ისინი მუტაციის ინდუქციას ახდენენ მიკროორგანიზმებში, მცენარეებსა და ცხოველებში. მუტაგენური აქტიურობა გამოაუვლინა, აგრეთვე მიკოპლაზმამ (*Mycoplasma pulmonis*) და ზოგიერთი ობის სოკოს მიერ გამოყოფილმა ტოქსინმა, პემოლიზური სტრეპტოკოკის ტოქსინმა -სტრეპტოლიზინმა. დიდი ყურადღება ეთმობა ეპიცინაციით გამოწვეულ მუტაგენებს. ეპიცინაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ზოგიერთ ინფექციურ დაავადებასთან ბრძოლაში. ბოლო წლებში ეპიცინაციას მოსახლეობის ფართო მასები დაექვემდებარნენ. ამასთანავე, ხშირად ის განმეორებით გარდება, რაც ზრდის მუტაციის ინდუქციის ალბათობას. გენეტიკური აქტიურობა აქვს ევზოგენურ ღმ-საც.



შენობასთან ასოცირებული დაავადებები

ტერმინი გულისხმობს პრობლემას ჯანმრთელობის მდგომარეობაში, რომლებიც თავს იჩენენ თითქოსდა უვნებელ გარემოში: სახლებსა და დაწესებულებებში.

აშშ-ის კონგრესის მიერ 1960წ. მიღებული იქნა აქტი სუთთა ჰაერის შესახებ, რომელიც ამახვილებს ყურადღებას ჰაერის გასუფთავებაზე საწარმოებში, საცხოვრებელ გარემოში და სხვ. ადამიანი დროის 10-20% შენობის გარეთ ატარებს, დანარჩენს კი შენობაში (საცხოვრებელი სახლი, სამოგადოებრივი შენობები, საწარმოები, დაწესებულებები და სხვ.) ბოლო დრომდე ითვლებოდა, რომ შენობაში დაგროვილი დამაბინძურებლები მცირედ არის საშიში ადამიანის ჯანმრთელობისთვის, მაგრამ გამოკვლევებმა ცხადჰყვეს, რომ დამაბინძურებლების კონცენტრაციები შენობებში ხშირად აღწარბებს გარე ჰაერში მათი კონცენტრაციის დადგენილ სტანდარტებს.



შენობაში ჰაერის დაბინძურება კავშირშია სამშენებლო მასალების და სამომხმარებლო საგნების ნაირსახეობასა და ხარისხთან. ნაგებობებთან ასოცირებული დაავადებები ორ ჯგუფად იყოფა: 1. მწვავე, მოკლე ლატენციური პერიოდის მქონე დაავადებები და 2. პოტენციურად ქრონიკული ხანგრძლივი ლატენციური პერიოდის მქონე დაავადებანი. ხანმოკლე ლატენციური პერიოდის დაავადებებია:

1) ჩაკეტილი შენობების სინდრომი; 2). მასობრივი ფსიქოგენური დაავადებები; 3) ნაგებობებთან ასოცირებული ჰიპერსენსიტიური პნევმონიტი 4) ნაგებობებთან ასოცირებული ინფექციები; 5) ლეგიონერების დაავადებები; 6) პონტიაქის ცხელება 7) ქუცხელება და სხვ. (სქემა 77).


1. ხანმოკლე ლატენციური პერიოდის მქონე დაავადებები ხასიათდება შედარებით მწვავე შეტევით, რომელსაც აქვს ადგილი ინდივიდის შენობაში ყოფნისას და შეტევის გაქრობა, როდესაც ინდივიდი ტოვებს შენობას (სქემა 78).


ხანგრძლივი ლატენციური პერიოდის მქონე დაავადებებია - ფილტვის კიბო და ქრონიკული კეთილთვისებიანი რესპირატო-

შენობასთან ასოცირებული დაავადებები



შენობასთან ასოცირებული დაავადებები





რული დაავადებები, რომლებიც შეიძლება იყვნენ შენობაში სუსტი კონგამინანტების ადამიანზე ქრონიკული ვაქცინის შედეგი. ასეთი დაავადებების ხელშემწყობი ფაქტორი შეიძლება იყოს ჰაერში არსებული სიგარეტის ბოლი, აზბესტი, რადონი, აზოტის ოქსიდები, პოლიციკლური არომატული და ქლორირებული ნახშირწყალბადები. ექსპერიმენტებს აგარებენ ცხოველებზე იმ მაენე ნიეთიერებების დიდი ღოშებით გამოყენების თვალსაზრისით, რომლებიც არსებობს შენობის გარემოში. მდიდარი მასალები არსებობს სიგარეტის ბოლის მაენე შემოქმედების შესახებ ორგანიზმზე. აზბესტის მოქმედება სუსტია, სანამ საიზოლაციო ფენის დაშლა არ მოხდება. რადიოაქტიობის სუსტი ვაქცინა ხდება სამშენებლო მასალების ან საძირკეებში და სარდაფებში არსებული ნიადაგიდან ვადასული რადონის გამოსხივების გამო. პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები გამოიყოფა ღუმელებში ხის მასალების წვისას. აზოტის ოქსიდები, რომლებიც წარმოიქმნება ვაუნიაველობის შედეგად, შეიძლება წარმოადგენდეს ხანგრძლივი მიმდინარეობის დაავადების რისკის ფაქტორს. არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ რესპირატორული დაავადებები და სასუნთქი სისტემის ფუნქციების დაქვეითება შეიძლება გამოწვეული იყოს ვაზის ქურიდან გამოყოფილი ჰაერით.


შენობისშიდა ჰაერის დამაბინძურებლები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: 1. შენობაში მყოფი აზბესტი, ფორმალდეჰიდი, რადონი, 2. ადამიანის მოქმედების შედეგად წარმოქმნილი დამაბინძურებლები (სადილის მომზადება, ვათობა, მწვეელობა, დალაგება, დასუფთაება 3) ნიეთიერებები, რომლებიც ხელებიან გარემოდან შემოსული ჰაერით (ინფილტრატული კონგამინანტები), რომელიც ხორციელდება ბზარებიდან, ღია კარის ან ფანჯრის ვბით ინფილტრატის ხარისხი დამოკიდებულია შენობის სახეობაზე, იზოლაციის ხარისხზე, ვამძლეობაზე, კლიმატურ პირობებზე. შენობასთან დაკავშირებული დაავადების შეფასება ხდება ექიმის მიერ დადგენილი სიმპტომების და სამუშაო ვარემოს შეფასებით, რისთვისაც საჭიროა პიროვნების ვამოკითხვა, ვასინჯვა, აუცილებელი ინფორმაციის შეგროვება შენობის შესახებ (ხნოვანება, კონსტრუქციის გიპი, სავენტილაციო სისტემის დიზაინი, სარემონტო სამუშაოების პერიოდულობა და სხე.).

ჰაერის შიგა ხარისხზე გაელენას ახდენს თამბაქოს კეამლი, რადგან იგი შეიცავს მრავალ გამაღიზიანებელ კომპონენტს; სიგარეტის დიდი რაოდენობით მოსმარებისას ჰაერში ვროვდება ისეთი ნივთიერებები, რომელიც იწვევს გაღიზიანების სიმპტომებს. ნიკოტინისა და მეტაბოლიტ-კოტინინის დონე მატულობს გარემოში, რის შედეგადაც ბევრი თანამშრომელი გრძნობს შრომის ნაყოფიერების დაქვეითებას, რაც თანამშრომლის მოწვეული სიგარეტის კვალმთან არის დაკავშირებული. ფიქრობენ, რომ კონტაქტური ლინზების მაგარებლები და ალერგიული პირები მეტად რეაგირებენ თამბაქოს კეამლზე.

ხანმოკლე ლაგენტური პერიოდის დაავადებებიდან აღსანიშნავია 1. ჩაკეტილი სათავსოს სინდრომი (ეიწრო სათავსოს სინდრომი), რომლისთვისაც დამახასიათებელია თავის გკივილი, ლორწოვანი გარსების გაღიზიანება, რაც აღინიშნება თანამშრომლებით შემჭიდროვებულ ნაგებობებში, სადაც შეზღუდულია გარე ჰაერის ინფილტრაცია. ეს სინდრომი თავს იჩენს თანამედროვე შენობებში, სადაც დამონტაჟებულია ცენტრალური სავენტილაციო სისტემა დალუქული ფანჯრები. ამ გიპის შენობები ამ ბოლო პერიოდში მომრავლდა ინდუსტრიულ ცენტრებსა და თანამედროვე ქალაქებში.

ამ სინდრომით დაავადებულ ადამიანთა რიცხვი ამ ბოლო დროს ძალიან იზრდება. მას ადვილი აქვს სამთავრობო ბიზნესის ოფისებში, სკოლებში, კოლეჯებში. მიზეზად თელიდნენ ცენტრალურ სავენტილაციო სისტემას. ეს სისტემა შესაძლებელს ხდის მრავალი ნივთიერების თამბაქოს კეამლის, ალდეჰიდების, გამხსნელების დალექვას, რაც იწვევს აღნიშნული სინდრომისთვის დამახასიათებელ სიმპტომებს. ფორმალდეჰიდის წყაროა გაფისული ფიცარი ან ფანერი. მას შეიცავს ხალიჩები და სქელი ფარდები. ორგანული გამხსნელები შეიძლება აორთქლდეს წებოსა და აქლორადი საღებავებისაგან, ფოტოგრაფირების შედეგად გამოყოფილი ნივთიერებებიდან (სქემა 79).

დაავადება კავშირშია თავის გკივილთან, ლორწოვანი გარსების გაღიზიანება, თვალების გაღიზიანება, კონტაქტური ლინზების ხმარების გაძნელება, ცხვირის, სინუსების, ხახის გაღიზიანება.




ნება, გულმკერდის წვა, გულის რევა, თავბრუსხვევა, დაღლილობა, ეს სიმპტომები შეიძლება ფსიქოფიზიოლოგიური წარმოშობისა იყოს.

ეს სინდრომი იწყება შენობაში შესვლისას, მისგან გამოსვლისას კი ქრება. სინდრომი მეგად უვითარდება ალერგიული რინიტებისა და ასთმისადმი მიღრეკილ პირებს.

პროფილაქტიკური ღონისძიებაა პაერის ვენტილაციის ხარისხის გაუმჯობესება და სუფთა ჰაერის მიწოდება.

2. მასობრივი ფსიქოგენური დაავადებისთვის დამახასიათებელია: მასობრივი ისტერია, იგი ფსიქოფიზიოლოგიური წარმოშობის დაავადებაა, რომელიც ინდივიდთა ჯგუფში იჩენს თავს. ფსიქოგენური დაავადება ითავს იჩენს დაწესებულებებში: მსუბუქი მრეწველობის და ელექტროსაქონლის მწარმოებელ ქარხნებში. დაავადების გამომწვევია ჯერ კიდევ დაუდგენელი მიზეზი. ის შეიძლება იყოს უცხო სურნელი, რომელიც ზოგ ინდივიდში იწვევს ფსიქოფიზიოლოგიურ სიმპტომებს. ეს დაავადება აღრიცხულია დაბალი ანამზაურების მქონე მუშათა ჯგუფში, რაც იწვევს მათ სტრესს. ასევე ერთფეროვანი სამუშაო, სამუშაო ადგილის სუსტი განათება და ა.შ. ამ დროს ადამიანს აწესებს თავის ტკივილი, გულისრევა, თავბრუსხვევა, პირის, ყელის სიმშრალე, თვალების, ცხვირის, ყელის გაღიზიანება, მოდუნება, სისუსტე, კანკალი, გულმკერდის მოძრაობის შეზღუდვა. შეგვიყის სიმძლავრე მეტია ქალებში, ვიდრე მამაკაცებში. სიმპტომები ქრება შენობის დატოვებისას. მკურნალობის ხერხია შენობის ვენტილაცია და ავადმყოფების დარწმუნება, რომ დაავადება კეთილთვისებიანია და სერიოზული მანე გეგაელებს არ მოახდენს ორგანიზმზე (სქემა 80).

სათავსოსთან ასოცირებული ჰიპერსენსიტიური პნევმონიტი. იგი ფილტვების დაავადებაა - იწვევს ალეოლების კედლის ლიმფოციტურ და გრანულომატოზურ ინფილტრაციას, რაც ორგანული მტერის ინპალაციის შედეგია. ამ დაავადების პროტოტიპია ფერმერის ფილტვი, რომელიც ვითარდება ბაქტერიული სპორების და ნამიანი თივის ანტიგენების შესუნთქვის შედეგად. დაავადება აღრიცხულია საცხოვრებელ სახლებსა და ოფისებში,



სადაც მტვერი გროვდება კონდენციონერებსა და ტენიანობის აპარატებზე. დაავადებულთა რაოდენობა ამ პირობებს დაქვემდებარებულ მოსახლეობაში მერყეობს 1%-დან 71%-მდე.

ჰიპერსენსიტიური პნევმონიგი იმუნოლოგიურ დარღვევას წარმოადგენს, რაც განპირობებულია უცხო ანტიგენის მრავალჯერადი ინჰალაციით. იგი შეიძლება გამოწვეული იყოს ბაქტერიებით, სოკოებით და ამებებით. ბაქტერია *Thermophilis actinomycetes*, სოკოებით (*Aspergillus*, *Penicillium* და სხვ.) (სქემა 81).


არსებობს ჰიპერსენსიტიური პნევმონიგების მწვავე და ქრონიკული ფორმები. მწვავე ფორმებს თან ახლავს ცხელება, სუნთქვის უკმარისობა, გულისრევა, ცუდი გუნება-განწყობა, კუნთების ტკივილი, ხველა-ხისინის გარეშე. სიმპტომები შეიძლება შეცდომით გრიპით დაავადებას მიეწეროს. მიზმის მოცილების შემდეგ სიმპტომები იკლებს, მაინც გარემოში მოხვედრისას - იმატებს.


ქრონიკული ფორმა გამოისატება დაღლილობით, ქოშინით, მშრალი ხელებით. შეიძლება შეტევებიც არსებობდეს. დიაგნოზი ისმება ლაბორატორიული გამოკვლევით - ლეიკოციტოზი მარცხნივ გადახრით, რენტგენოგრაფიამ შეიძლება აჩვენოს უფორმო დაჩრდილების კერები, რომელიც ფუნქციის დაქვეითებაზე მეტყველებს (სქემა 82).


ნაგებობებთან ასოცირებულ სხვა დაავადებებს მიეკუთვნება ინფექციური არაკომუნიკაბელური დაავადებების გაერცელება ა) ლეგიონერების დაავადება - პნევმონიის გართულებული მულტისისტემური დაავადება. მას იწვევს ბაქტერია *legionella pneumophila*

ბ) პონტიაქის ცხელებას იწვევს იგივე ბაქტერია. არის გრიპის მავარი დაავადება, რომელსაც ახასიათებს გემპერატურის მომატება, თავის ტკივილი, ზოგჯერ ხველა, ყელის ტკივილი. დაავადების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჰაერის მაკონდიციონირებელი სისტემები.

გ) ქუ ცხელება იწვევს რიკეციული ორგანიზმები (*Coxiella burnetii*) მისი რემერუარია ცხვარი, თხა, მსხვილფეხა საქონელი. ადამიანის ორგანიზმში რიკეციები ხედებიან სავენტილაციო სისტემებით. დაავადებით დაინფიცირება შეიძლება ალიმენტური, კონტაქტური და გრანსმისიული გზით. მობილურ სახლებსა და ვაგონებში შეიძლება აღვლილი ჰქონდეს ფორმალდეჰიდის რაოდენობის მომატებას. ინტოქსიკაცია ვლინდება თვალების ტკივილით და ხელებით (სქემა 83). 2










გეომაგნიტური ველის (გმვ) გავლენა ალამიანის ჯანმრთელობაზე

ცოცხალი ორგანიზმში და გარემო სამყარო წარმოადგენს ურთულეს დინამიურ სისტემებს, რომლებიც იმყოფებიან მუდმივ და მჭიდრო ურთიერთკავშირში. გარემოს ფაქტორები: განათება, ტემპერატურა, ატმოსფერული წნევა, პელიოგეოფიზიკური ფაქტორები რეგულარული მონაცვლეობით, კანონზომიერი ციკლურობით ხასიათდება დღეების, თვეების, წლების მიხედვით და ცნობილია ე.წ. ეგზოგენური რიგების სახელწოდებით. დღე-ღამის განმავლობაში მათი აბსოლუტური მნიშვნელობები აღწევენ მაქსიმუმს და მინიმუმს, რომელთა პიკების დროები სხვადასხვა ფაქტორებისთვის სხვადასხვაა. ცოცხალ ორგანიზმს კი მათ მიმართ უყალიბდება შეგუების მექანიზმი ე.წ. ენდოგენური ბიორითმი, რომელიც ფიქსირებულია წლების განმავლობაში და გადაეცემა მემკვიდრეობით (სქემა 84).

გარემო პირობების გეგმაზომიერი ცვლილება იწვევს ორგანიზმში სათანადო საადაპტაციო პროცესების განვითარებასრულყოფას. აღნიშნული მოვლენა ერთგვარი სტიმულატორია ორგანიზმისთვის, რომელიც საფუძვლად უდევს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ენდოგენური საათების განვითარებას.

ალამიანის ორგანიზმში თავისი კომპენსაციურ-ადაპტაციური ძალებით დაცულია გარემო ფაქტორების ცვლილების მათზე გავლენისაგან. მაგრამ დაავადების შემთხვევაში საადაპტაციო მექანიზმების არასრულყოფილი მუშაობის გამო ორგანიზმში არაადეკვატურ რეაქციებს იძლევა გარემო პირობების ცვალებადობაზე. XX საუკუნის დასაწყისიდან ჩატარებული რეტროსპექტული გამოკვლევებით დადგენილია, გარემო ფაქტორების ცვლილებათა სხვადასხვა პათოლოგიაზე გავლენის ცირკადულობა. კერძოდ, სხვადასხვა პათოლოგიის რიცხვის მომატება, სხვადასხვა გართულების გამოვლინება ემთხვევა წლის, თვის და საათების გარკვეულ პერიოდს, რასაც ხსნიან იმ გარემოებით, რომ ალამიანზე უნდა მოქმედებდეს არაბიოსფეროში არსებული ფაქტორები, რო-

გეომაგნიტური ველის გაელენა ადამიანის ჯანმრთელობაზე



მელთა შორის წამყვანი ადგილი უჭირავს მზის აქტიუობას, რაც გულისხმობს მზეზე არასტაციონარული მოვლენების გამოვლინებათა ერთობლიობას (მზის ლაქები, უაკელები, ფლოკულები, ქრომოსფერული აფეთქებები, პროტუბერანტები, მზის „გვირგვინზე“ აღგზნებულ-აღშოთხებული ადგილები, მზის სპორადიული რადიოგამოსხივებანი, კორპუსკულური გამოსხივების მომატება და სხე), რომლებიც გამოჩნდებიან მზის აქტიურობის რომელიმე პერიოდში და ჩვენს პლანეტაზე მიმდინარე ბიოლოგიურ პროცესებზე მოქმედებენ, როგორც უშუალოდ, ისე დედამიწის მაგნიტური ველის ცვლილებით, გამოვლინებულს გეომაგნიტური შემოთხების და ქარიშხლების სახით.

ცნობილია, რომ დედამიწა თავისი ატმოსფეროთი განუწყვეტელი იცელის ადგილს კოსმოსურ სივრცეში, იცვლება მისი მდებარეობა მზისა და სხვა მნათობების მიმართ. იგი წარმოადგენს ვეებერთელა მაგნიტს, რომლის მიერ შექმნილი ველი ვრცელდება ახლო კოსმოსურ სივრცეში. მაგნიტურ ველს, ისე როგორც სხვა ველს (ელექტრომაგნიტურ, გრავიტაციულ და სხვ.) ყოველ მოცემულ წერტილში ახასიათებს დაძაბულობა, რომელიც წარმოადგენს ვექტორულ სიდიდეს და მის მნიშვნელობას ხშირად ახასიათებენ პორიზონტალური და ვერტიკალური მდგენელის საშუალებით.

ბუნებრივი მაგნიტური ველის დაძაბულობა და მიმართულება განუწყვეტელი იცვლება არა მარტო გეოგრაფიული კოორდინატების მიხედვით, არამედ დროშიც. ეს ცვლილებები მეტად მრავალფეროვანია თავისი პერიოდულობით და სიხშირით. იგი განპირობებულია, ერთის მხრივ, შინაგანი ანუ დედამიწის შიგნით მიმდინარე პროცესებითა და, მეორე მხრივ, გარეგანით ანუ კოსმოსური ხასიათის მოვლენებით. დედამიწის მაგნიტიზმის თეორია ამტკიცებს, რომ მაგნიტურ ქარიშხალთა წარმომშობი ფაქტორი მზის ელექტრომაგნიტური და კორპუსკულური გამოსხივებაა. თუ მასზე მომხდარი მოვლენები მიმდინარეობს მშვიდად, მაშინ მისი მოქმედება თითქმის შეუმჩნეველია, მზეზე მომხდარი სხვადასხვა სახისა და ბუნების აფეთქებები, ლაქების გაჩენა იწვევს მზის ქარის დარტყმითი ტალღის განვითარებას, რაც

ნახგომისებურად მრდის საპლანეტაშორისო მაგნიტური ველის დაძაბულობას, რომელიც ერთის მხრივ, ეკრანიზაციას უკეთებს კოსმოსურ სხივებს, ხოლო, მეორეს მხრივ - დარტყმითი გალღის გეომაგნიტოსფეროსთან ურთიერთმოქმედების შედეგად ირღევა მაგნიტოსფეროს წონასწორობა და ელინდება სხეადასხეა გიპის გეომაგნიტური ქარიშხლის სახით. გეომაგნიტური ქარიშხლის დაწყება ხასიათდება მაგნიტური ველის დაძაბულობის ექტორის პორიზონგალური მიმართულების მომაგებით რამოდენიმე საათის განმავლობაში, რომელსაც მოსდევს ძირითადი ფაზა - მომაგებული პორიზონგალური მდგენელის სწრაფი შემცილება მის ნორმალურ მნიშვნელობაზე ქვევით, ამის შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში ხდება თანდათანობითი დაბრუნება საწყის მნიშვნელობამდე. გეომაგნიტური ველის ვერტიკალური მდგენელის დაძაბულობა და ნორმიდან გადახრა იცელება, მაგრამ უფრო მცირედ, ვიდრე პორიზონგალური მდგენელისა.

დღეისათვის, არსებული ლიგერატურული მონაცემებით, ეკლავ გადაუკრულ პრობლემად რჩება ასტრო-მეგეო-გეოფიზიკური ფაქტორების ცოცხალ ორგანიზმზე მოქმედების მექანიზმი და სხეადასხეა რეაქციების დროს ცალკეული ორგანოს ან ორგანოთა სისტემის პრევალირებული დისფუნქცია. არ არსებობს გეოფიზიკური სიგუაციების ბიოფექტურობის შეფასების კრიტერიუმები და აქედან გამომდინარე სამედიცინო მეგეოგეოფიზიკური პროგნოზირება, მეგეოპათიების დიფერენცირებული პროფილაქტიკა და მკურნალობა. არსებული თეორიული მოსაზრებები ურთიერთსაწინააღმდეგო და ნაკლებად არგუმენტირებულია.

ამოცანის სირთულე გამომდინარეობს იქიდან, რომ მზის, გეომაგნიტური მეგეოროლოგიური ფაქტორები მოქმედებენ თითქმის ერთდროულად, რაც ართულებს ცოცხალი ორგანიზმის ცალკეული ფაქტორების მიმართ რეაქტიულობის სპეციფიურ გამოვლინებას.

ჰელიომაგნიტობიოლოგიური პრობლემის შესწავლისადმი ინტერესის გაძლიერება განპირობებულია არასასურველი კოსმოსური სიგუაციებით, ეკოლოგიასთან დაკავშირებული მეგეოროლოგიური ფაქტორების ცვლილებითა და ადამიანზე მოქმედი

მაღალი დაძაბულობისა და სისხშირის ხელოვნური მაგნიტური ველებით, რომლებიც გამოყენებულია სახალხო მეურნეობის სხვადასხვა რადიოელექტრონულ აპარატურებში, რადიოლოკატორებში, რომელთა ქსელიც დღითიდღე მაკულობს, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები კი გვხვდება 2-3-ჯერ უფრო ხშირად იმ პირებს შორის, რომელსაც პროფესიული საქმიანობის გამო უხდებათ ყოფნა მაღალი დაძაბულობის ელექტრომაგნიტური ველის გეგავლების ქვეშ. მაგნიტობიოლოგიისა (მაგნიტური ველებისადმი ცოცხალი ორგანიზმის საპასუხო რეაქციისა) და ბიომაგნიტიზმის (ცოცხალ ორგანიზმში წარმოქმნილი ბიომაგნიტური ველების) პრობლემის შესწავლისადმი ინტერესის გამრდა კი განპირობებულია ბოლო წლებში ამერიკელების მიერ ე.წ. ბიოგენური მინერალის - მავნეტიტის აღმოჩენით ჯერ მიკროორგანიზმებში, ხოლო შემდეგ ცოცხალი არსებების სხვა წარმომადგენლებში, მათ შორის ადამიანში და მისი როლის დადგენით ცოცხალი ორგანიზმის მგრძობელობაში გეომაგნიტური ველის მიმართ მაგნიტორეაქციის პროცესში.

ადამიანი არა მარტო არსებობს გეომაგნიტური ველის გარემოცვაში, არამედ ელექტრომაგნიტური ველები მასშიც არსებობენ. ნორმით გულში წარმოშობილი იმპულსის გავრცელება, მიოკარდის აგზნება და ბიოდენების წარმოშობა ხდება რითმულად, გარკვეული ორთოგრადული მიმდევრობით. გულში აგზნებული კერა იმუხტება ელექტროუარყოფითად, აუგზნებული კი ელექტროდადებითადაა დამუხტული, რის გამოც ჩნდება ბიოპოტენციალთა სხვაობა. გულის მუშაობისას რითმულად წარმოშობილი ბიოპოტენციალები თავის გარშემო ქმნიან რიტმულად იმპულსურად ცვლად მაგნიტურ ველს, რომლის დეფორმაციაც დამოკიდებულია ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიურ პროცესებზე და გარემოს მაგნიტური ველის ცვლილებებზე.

დადგინდა, რომ არსებობს პირდაპირი კორელაციური კავშირი გეომაგნიტური ველის ჰორიზონტალური მდგენელის დედამურ სამუხალე მნიშვნელობასა, მისი ამპლიტუდის ცვლილებასა და შესაბამის პერიოდში გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა გამწვავებებს შორის, კერძოდ, დაავადების სისხირე იზ-

რდება გეომაგნიტური ქარიშხლის განვითარებამდე და მის შემდეგ 2-3 დღის განმავლობაში, რაც ასევე ემოხევევა ამ პერიოდში კოსმოსური სხივების ინტენსივობის ვარდნას. ქარიშხლის დღეს იზრდება სიკედილიანობა, სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების რიცხვი მაგულობს 18-დან 20 საათამდე, მინიმუმი კი 4-დან 7 საათამდე. რაც შეეხება გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიით გამოწვეულ სიკედილიანობას, იგი მომატებულია დეკემბრის თვიდან მარტის თვის ჩათვლით.

დაკვირვებებით დადგინდა, რომ შედარებით მეტი ცვლილებებს იწვევს ნულოვანი ველის პორიზონტალური მდგენელის ზემოქმედება, რაც მდგომარეობს გულის რიტმის მოშლამი, გულის კუნთში სისხლის მიმოქცევის დარღვევასა და სტრუქტურულ დაზიანებაში.

ელექტრომაგნიტური კოჭებით შექმნილი მაგნიტური ველის ზემოქმედებით მისი გულზე გაელენა ელინდება, როგორც უშუალოდ მაგნიტურ ველში ექსპოზიციის დროს, ისე მისი შეწყვეტის შემდეგ, ხშირ შემთხვევაში კი საზოგადოდ დეფორმაციას განიცდის საწყისი ელექტროკარდიოგრაფია. ფუნქციური ცვლილებები მეტადაა გამოხატული და დიდხანს გრძელდება შედარებით მაღალი დაძაბულობის მაგნიტურ ველში ხანგრძლივი ექსპოზიციის დროს.

პულსირებული მაგნიტური ველის მოქმედების ეფექტი მეტია მუდმივ მაგნიტურ ველთან შედარებით. მოქმედების ეფექტი მეტია პოლარიზებული მაგნიტური ველის შემთხვევაში და პორიზონტალური მდგენელის იმპულსური ცვლილებისას, რაც გამოიხატება ელექტროკარდიოგრაფის ცვლილების ინტენსივობისა და ხანგრძლივობის მაგებაში.

მაღალი დაძაბულობის მაგნიტური ველი საკელეე ცხოველებში იწვევს გულის კუნთის სტრუქტურულ დაზიანებას და მისი ფუნქციური მდგომარეობის მკვეთრ მოშლას. ამ დროს ვითარდება გაძლიერებული შარდვა, ჰიპერსალივაცია, ნერვული სისტემის მკვეთრი ცვლილებანი, - კოორდინაციის დარღვევა, კიდურების დამბლა, კანკალი, გულის კუნთის მწვავე იშემია, გულ-სისხლძარღვთა სისტემაში, ფილტვებში, ლეიძლში, თირკმლებში,

ეუკ-ნაწლავის ტრაქტში ვითარდება ღიფუმური ჰისტომორფოლოგიური ცვლილებები.

შესწავლილია ორგანიზმზე ზემოქმედებისას მაგნიტური ველის დაძაბულობის ვექტორის მიმართულების მნიშვნელობა ე.წ. მაგნიტოტროპიზმი ერთ შემთხვევაში მაგნიტის ჩრდილო პოლუსი მდებარეობდა საკელევი ცხოველის მარჯვენა მხარეს, სხვა შემთხვევაში კი მარცხენა მხარეს. დადგინდა იქნა, რომ ელექტრომაგნიტურ კოჭებში ერთი და იგივე დაძაბულობისა და ხანგრძლივობის მაგნიტური ველის პირობებში ელექტროკარდიოგრაფის ცვლილებები მეტია, როცა ჩრდილო პოლუსი საექსპერიმენტო ინდივიდის მარჯვენა მხარეს მდებარეობს. აღნიშნულ გამოკვლევებს გარკვეული გამოყენებითი მნიშვნელობა ენიჭება სამკურნალო სტაციონარული დაწესებულებების დაგეგმარებისა და წოლით რეჟიმში მყოფ ავადმყოფთა საწოლების განლაგების საქმეში.

ელექტრომაგნიტური ველი იწვევს გულის კუნთის აგზნებადობის ზღურბლის შეცვირებას, მის ბიოელექტრულ დესტაბილიზაციას, რაც განაპირობებს გულის რიტმის რთულ მოშლას.

მაგნიტური ველის ფაქტორი ყოველთვის ახდენს გავლენას ადამიანის ორგანიზმზე. მაშინაც კი, როდესაც იგი თვითმფრინავით, მაგარებლით თუ ავტომობილით მგზავრობს. დიდ მანძილზე გადაადგილებისას ჩვენ გვჭირდება 2-3 ღლე ადაპტაციისთვის, რომ შევეგუოთ არა მარტო ამ ადგილის კლიმატურ პირობებს და ამ სარგყლის განსხვავებულ საათებს, არამედ დედამიწის ამ ადგილის მაგნიტურ მახასიათებლებსაც. სწორედ ამიტომ სანატორიუმებში პირველ 2-3 ღლეს არ ნიშნავენ სამკურნალო პროცედურებს. ავადმყოფებს აძლევენ დროს ადგილის პირობების ადაპტაციისა და ახალ გეომაგნიტურ პირობებთან შესაგუებლად.

ადამიანის ორგანიზმის თითოეულ უჯრედს გააჩნია დადებითი და უარყოფითი პოლუსი. არსებობს ცალკეული ცნობები იმის შესახებ, რომ თითოეულ თითსაც კი აქვს თავისი პოლარობა. ნეკა თითს - დადებითი, უსახელოს უარყოფითი, შუანას - დადებითი, საჩვენებელს - უარყოფითი, ცერას - ნეიტრალური. კუ-

დუსონს აქვს მაქსიმალურად უარყოფითი პოლარობა. მაქსიმალურად დადებითად დამუხტული ზონა შუბლის ცენტრი და კეფაა. უარყოფითი პოლუსია ნიკაპის ღრმულზე და ჭიკზე. დადებითი კისერზე, ხორხის ნაწილში. დადებითი და უარყოფითი მუხტების სიმეტრიული განლაგება ნიშანია ადამიანის ჯანმრთელობის. ადამიანი სამყაროს ნაწილია და იგი ჰარმონიაშია ლედამიწის მაგნიტურ ველთან.

დიდი ხნის განმავლობაში დაგროვილი ფაქტების საფუძველზე დადგენილია გეომაგნიტური ველის მოქმედების ფართო დიაპაზონი. მეცნიერების მიერ მთელი წლის მანძილზე არტერიული წნევის გაზომვამ და ლეიკოციტების რაოდენობის განსაზღვრამ პაციენტის სისხლში გამოაეჩინა სისხლის წნევის, გულის რიგმის სიხშირის დღე-ღამური ცვლილება და ლეიკოციტების შემცველობის ცვლილების დამთხვევა გეომაგნიტური ველის ყოველდღიური ცვალებადობის ინტენსივობასთან. მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ გეომაგნიტური ქარიშხლების დროს ხანდაზმული ასაკის ადამიანებს უჩქარდებათ გულისცემა და მაღლა უწევთ არტერიული წნევა.

გეომაგნიტური ველის გაზრდილი აქტივობისას იმატებს საწარმოო გრამეებისა და საგზაო კატასტროფების რიცხვი. მაგ. აშშ-ს ერთ-ერთი გზატკეცილის 300მ-იან მონაკვეთზე ხშირად ადგილი ჰქონდა ავტოავარიებს, როდესაც ეს ფაქტი გეოფიზიკოსებმა შეისწავლეს, აღმოჩნდა, რომ გზის ეს მონაკვეთი მდებარეობდა გეოპათოგენურ ზონაში. გეომაგნიტური ველის გაზრდილი აქტივობის გამო მძლოლებს ყურადღება უდუნდებოდათ, გონება ეფანტებოდათ და ძილი ერეოდათ, რასაც შედეგად მოჰყვებოდა ავტოკატასტროფები.


გეომაგნიტური ველის აქტივობის გაზრდისას ადგილი აქვს ცენტრალურ ნერვულ სისტემაში შეკავების პროცესების გაძლიერებას, პირობითი და უპირობო რეფლექსების მოქმედების შენელებას, მეხსიერების დაქვეითებას, გეომაგნიტური აღელებებისას ძირითადად ძლიერდება ვეგეტატიური ნერვული სისტემის სიმპათიკური განყოფილების ტონუსი, პარასიმპათიკურის კი შემთხვევათა მხოლოდ 30%-ში, უფრო ხშირად მამაკაცებში.

პირდაპირი შედარების მეთოდით ნაჩვენებები იქნა ადამიანის სისხლში ლეიკოციტების რაოდენობისა და გეომაგნიტური ველის აქტიობის გაზრდის სინქრონულობა. ამავე დროს იზრდება თრომბოს წარმოქმნის ალბათობა, ასევე აღვილი აქვს $\text{D}\dot{\text{I}}\dot{\text{Y}}$ -ს ცვალებადობას ერთსადამიანეუ ადამიანში დღე-ღამის მანძილზე. კოვალჩუკის გამოკვლევების მიხედვით დადგენილი იქნა დაბალი და საშუალო სიდიდის გეომაგნიტური აქტიუობისას ჯანმრთელ ადამიანებში ერთროციტების და ჰემოგლობინის რაოდენობის დაწევის დინამიკა. ასევე სისხლში თრომბოციტების რაოდენობის კლება და სისხლის შედელების შენელება (სქემა 85).

მრავალი მონაცემი გვაძლევს იმის შესაძლებლობას ვთქვათ, რომ გეომაგნიტური ველი გარკვეულ გაელენას ახდენს ბავშვის მრდა-განვითარების და სქესობრივი მომწიფების დაჩქარებაზე. ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, აქსელერაციის მიზეზი შეიძლება იყოს ბიოსფეროში გმე-ის (გეომაგნიტური ველის) საშუალო დონის გაზრდა. პ.ე. ვასილიკის მიხედვით არსებობს უკუდამოკიდებულება გეომაგნიტური ველის ცელილებასა და სხეულის სიგრძის ცელილებას შორის. კერძოდ, აქსელერაციისას სხეულის სიგრძე იზრდება მაშინ, როცა მცირდება დედაშიწის მუდმივი მაგნიტური ველის სიდიდე და პირიქით, მრდის ნიშნები ფერხდება ველის სიდიდის მრდასთან ერთად, მაგრამ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ არ არის მუსტი ექსპერიმენტული გამოკვლევები ამ პიპოთემის აბსოლუტური სამართლიანობის შესახებ. ხანგრძლივი კვლევების საფუძველზე მეანებმა და გინეკოლოგებმა დაასკენეს, რომ გმე გარკვეულად მოქმედებს ქალის ორგანიზმში მიმდინარე ისეთ პროცესებზე, როგორცაა მენსტრუალური ციკლი, მშობიარობა, ფეხმძიმობის გოქსიკოზები და სხვ.

მონაცემთა (810 ქალიშვილის გამოკითხვა პრადის საექთნო სკოლაში) დიდი რიცხვის სტატისტიკური დამუშავების საფუძველზე დადგენილი იქნა, რომ გეომაგნიტური ველის აქტიუობის შემცირება იწვევს მენსტრუალური ციკლის დაწყების სიხშირის მრდას, გაზრდილი აქტიუობისას კი პირიქით.

ზოგი ავტორი მიიჩნევს, რომ გეომაგნიტური აქტიუობის დაძაბულობის გაზრდისას ძლიერდება მშობიარობითი მოქმედების



ინტენსივობა. არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება მშობიარობის სიხშირესა და გეომაგნიტური ველის დაძაბულობის გაზრდას შორის, რომელიც ყველაზე მეტად შესაძინევია გეომაგნიტური ალელეებიდან მე-2, მე-9 და მე-13 დღეს.

გეომაგნიტური ქარიშხლების ალელეება პირველ დღეს იწყებს მშობიარობათა დაწყების გახშირებას, მეორე დღეს მშობიარობათა რიცხვის შემცირებას, შემდეგ მე-3 - მე-4 დღეს კვლავ იზრდება და ქარიშხლის ბოლოსათვის მცირდება საწყის დონემდე. გეომაგნიტური ქარიშხლებისას ადგილი აქვს ნაადრევ მშობიარობას.

დიდ ინტერესს იწვევს გამოკვლევები გეომაგნიტური ველის ორიენტაციის გავლენით ემბრიოგენეზში ჩანასახის სექსუალიზაციის განსაზღვრის თაობაზე. თუმცა ეს აუხსნელია თანამედროვე გენეტიკის პოზიციებიდან გამომდინარე.

დედამიწის გეომაგნიტური ველის ცვლაში გეომაგნიტური ქარიშხალი წარმოადგენს ერთ-ერთ ფაქტორს, რომელიც როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იწვევს გულ-სისხლძარღვთა სისტემის განვითარების დარღვევას არა მარტო ავადმყოფებში, არამედ პრაქტიკულად ჯანმრთელ ადამიანებში. განსაკუთრებით სამიზია გეომაგნიტური ქარიშხალი იმ ადამიანებისათვის, რომელთა სამუშაო დაკავშირებულია ხანგრძლივ ნერვულ-ფსიქიკურ დაძაბულობასთან. გეომაგნიტური ველის მკვეთრი მერყეობისას შეინიშნება მიოკარდის ინფარქტისა და პიპერტონული კრიზის ჩამოყალიბების შემთხვევები, რის გამოც ადგილი აქვს უეცარ სიკვდილიანობას, რადგან დედამიწის გეომაგნიტური ველის მოქმედების ერთ-ერთ ძირითად „სამიზნეს“ ადამიანის ორგანიზმში წარმოადგენს გულ-სისხლძარღვთა სისტემა (ორინსკი; 1989 წ.).

არახელსაყრელ გეომაგნიტურ დღეებში მკვეთრად ეცემა გულის გოლერანგობა ფიზიკური დატვირთვისადმი. ირღვევა გულის მუშაობის ექსტრაკარდიალური რეგულაცია, იცვლება მგრძობიანობა მედიკამენტოზური მოქმედებისადმი.

ზოგი მეცნიერის აზრით, შემოფოთებული მაგნიტური ველი, როგორც სტრეს-ფაქტორი, ზემოქმედებს ორგანიზმის მთელ სისტემაზე, ყველაზე მეტად - ნერვულ სისტემაზე. მრავალი ავტორი მიუთითებს, რომ ფიზიოლოგიური ფუნქციების გადახრები უმეტესად იწყება მაგნიტური ქარიშხლის წარმოშობიდან 24-48 სთის შემდეგ. იგი უმეტესად გამოიხატება არტერიული წნევისა და პიპერტონული დისტონიის აღმოცენებაში.

გეომავნიტური ველის ცვალებადობა ფთიმიტგრების ჩვენებით კავშირშია ფილტვის სისხლძენებთან, გუბერკულოზით სიკვდილიანობის გამრდასთან. გეომავნიტური ველის დაძაბულობის პარამეტრების გამრდასთან ერთად იბრლება ყვაილით, ლიზნტერით, ყვიანახველით, პოლიომიელიტით, ტეგანუსით დასნებოვნება და სიკვდილიანობის რიცხვი. ამრიგად, მავნიტურ ქარიშხლებს ადამიანის ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ზიანი მოაქვს. დეღამიწის მავნიტური ველის სწრაფი და მძლავრი ცვლილებების შედეგად აღინიშნება ღარღევეები გულ-სისხლძარღვთა და კუჭნაწლავის სისტემების ფუნქციონირებაში, ცენტრალური ნერვული სისტემის რეაქციების შენელებაში, მრომის უნარიანობის დაქვეითებაში, ჯანმრთელობის მღგომარეობის გაუარესებაში ჯანსაკუთრებით იშემით დააეადებულ ადამიანებში, იბრლება სტენოკარდიის შეტევათა რაოდენობა. ასეთ ღღეებში ბავშვებში აღინიშნება აგრესიულობა, ყურადღების გაფანტვა და უხასიათობა.

ყოცხალ ორგანიზმზე ზემოაღნიშნული ფაქტორების მოქმედების დაღგენა საშუალებას მოგვეცემს მოკლევადიანი ეგზოგენური ბიორითმის გათვალისწინებით სათანადო ქრონოთერაპიის ჩატარება, რაც ადაღგენს არსებული პათოლოგიის გამო ღარღეულ ენდოგენურ ბიორითმს და თავიდან აგვაცილებს გულ-სისხლძარღვთა და სხვა პათოლოგიათა გართულებას.

კლინიკური და ექსპერიმენტალური დაკვირვებების საფუძველზე მსოფლიოს სხეადასხვა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში (რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში) კარდიოლოგიურ და სხვა განყოფილებებთან შექმნილია სპეციალიზებული მავნიტოკომპენსირებული პალატები, სადაც თავსდებიან ავადმყოფები, რომელთაც აღენიშნებათ განსაკუთრებული ზემგრძნობელობა მავნიტური ველის მკვეთრი ცვლილებების მიმართ.

გეომავნიტური ქარიშხლების და აღღღეებების პროგნოზირების პირობებში გარღება სამკურნალო ღონისძიებები მოსალოდნელი გეომავნიტური აღღღეებების დაწყებამღე 2 ღღით აღრე, მათი მიმღინარეობის პერიოდში და ჩამთავრებიდან რამღღენიღე ხნის განმავღღობაში. ამავე ღროს გათვალისწინებული უნდა იქნას სამკურნალო საშუალებათა ამოქმეღება – ქრომოფარმაკოღინამიკა.

კომპიუტერის გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე

მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა, განსაკუთრებით კომპიუტერთან დიდიხანს მუშაობამ მედიცინას უამრავი პრობლემა შეუქმნა. ამიგომ კომპიუტერთან მუშაობის ნორმები ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და ყველა ქვეყანაში შესაბამისი ღონისძიებები ხორციელდება. ჯერ კიდევ XX ს. დასაწყისში კოსმოსიდან დამკვირვებელს დედამიწა რადიოდიაპაზონში წერტილად მოჩვენებოდა. დღეს იგი ანათებს როგორც კამკაშა ვარსკვლავი, მრავალრიცხოვანი ტელე და რადიოგადაცემები, სამრეწველო გენერატორები და საყოფაცხოვრებო ელექტრომოწყობილობები ენერჯის მეგავატებს ასხივებენ. გამოთვლილია, რომ უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ენერგეტიკული ნაკადები 50000-ჯერ გაიზარდა. ცდებით დადგენილია, რომ თუ ელექტრომაგნიტური გამოსხივება 30 პერცს გადააჭარბებს, ადამიანებს ეპილეფსიური ბნედა მოსდით. გამოსხივების ზემოქანმოთვლილ წყაროებს გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოემატა კომპიუტერი. სისტემა მეხსიერებისა, რომელიც წუთში ათასობით ოპერაციის შესრულების უნარიანია. კომპიუტერის ნაწილებიდან ასხივებს მონიტორის ეკრანი, სადაც ხდება ოპერატიული მეხსიერებიდან ტექსტური ან გრაფიკული ინფორმაციის მიღება. კომპიუტერმა საოცარი დაინტერესება-მიჩვევა იცის, როგორც ნარკოტიკმა და დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანებს, რომლებსაც კონტაქტი აქვს ამ სისტემებთან, ორ ჯგუფად ჰყოფენ: 1. ნორმალურები; 2. კომპიუტერთან მომუშავენი. უნდა აღინიშნოს რომ პირველთა რიცხვი ყოველწლიურად კლებულობს, ხოლო მეორე კატეგორიისთვის გაჩნდა ახალი სახელი „საკერი“. ეს უკანასკნელები ისე იძირებიან თავიანთ სამუშაოში, რომ ხშირად კარგავენ დროის შეგრძნებას და მინიმუმამდე დაჰყავთ კონტაქტი გარე სამყაროსთან. მედიკოსები თვლიან რომ კომპიუტერთან ასეთი დამოკიდებულება შეიძლებოდა ფსიქიკური დაავადების მიზეზიც კი გახდეს. კვებეკელმა

ფსიქოლოგმა ჯან ლუი როშემ ამ „ეკრანის ნარკომანების“ განსაკურნებლად ფსიქოლოგთა სპეციალური ჯგუფი შექმნა, იგი აღნიშნავს, რომ ინფორმატიკაზე დამოკიდებულება შედარებით ახალი მოვლენაა, ჩნდება ერთგვარი იძულება, დამორჩილება აზარტული თამაშების მსგავსი. პირველი 6 თვე საყურადღებოა და რჩევას საჭიროებს, ვინაიდან თანამედროვე ცხოვრების აღნიშნული პროგრესული „ხრიკი“ მნიშვნელოვან ფსიქიკურ დარღვევას იწვევს. საჭიროა სპეციალური კლინიკის შექმნა ასეთი არსებების სამკურნალოდ. რომეს ეს წინადადება ნამდვილად მისაღებია, ვინაიდან მსოფლიოში მედიკოსები დაკვირვების საფუძველზე დაავადების რამდენიმე სტადიას გამოყოფენ:

I სტადია - იოლი; სიმპტომები - ადამიანი ჯდება კომპიუტერთან, რთავს, მუშაობს ჩვეულებრივ და სამუშაოს დამთავრების შემდეგ მიდის სახლში. მასზე არ ფიქრობს მომდევნო სამუშაო დღემდე. მაღა და ძილი ნორმალურია, თავის გკივილი არ აღენიშნება. მკურნალობას არ საჭიროებს.

II სტადია: ნახევრად იოლი; სიმპტომები: „ავადმყოფს“ აღენიშნება მომეგებული ინგერესი კომპიუტერისადმი, რაც გამოიხატება კომპიუტერის დანახვისთანავე არა ჯანსაღ აგზნებაში. მაღა ნორმალურია, ძილი ცოტა დარღვეული, უნებლიე წამოძახილებით; სამუშაოზე ყოვნდებიან 2-3 სთ, „უკაკუნებენ“ კომპიუტერის კლავიშებს. მკურნალობა: „ავადმყოფის“ მოშორება კომპიუტერისაგან, კომპიუტერული ლიგერატურის გადამალვა მიუწვედომელ ადგილზე. სამსახურის შემდეგ აიძულეთ წავიდეს შინ.

III სტადია - საშუალო სიმძიმის. სიმპტომები: „ავადმყოფი“ სამუშაოზე ყოვნდება 4-5 სთ-ით; აგროვებს ფულს საკუთარი კომპიუტერის შესაძენად, ყოველდღიურობაში იშვიათად, მაგრამ მაინც იყენებს კომპიუტერულ გერმინებს, არ რეაგირებს გარშემომყოფებზე, მაღა მომაგებული აქეთ, ძილი მოუსვენარი, კომპიუტერული გერმინების წამოძახილებით და უმიზნო ხარხარით. ამ შემთხვევაში დიდია შანსი დაავადება გადავიდეს მე-4 სტადიაში.

მკურნალობა: მოახდინეთ ავადმყოფის იზოლირება გარემომოყრდნობისა და კომპიუტერისაგან, ფული „წაართვი“, დააქორწინეთ; მკურნალობაზე წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში აუცილებელია სასწრაფო ჰოსპიტალიზაცია.

IV სტადია: მიძიმე - სიმპტომები: ყიდულობს მოღუმს, საუბრისას ჭარბობს კომპიუტერული ტერმინოლოგია, იგონებს ახალ ტექნიკურ სიტყვებს; ავროებს ფულს განმზოლოებული სატელეფონო ხაზისათვის. მაღა საკმაოდ მომატებულია. ჭამს ნებისმიერ საკვებს დღე-ღამის ნებისმიერ დროს, სძინავს დღე-ღამეში 3-4სთ. კომპიუტერის ჩართვისას შედის ექსტაზში. სქესობრივი ლტოლვა დაქვეითებულია.

მკურნალობა მხოლოდ სტაციონარში.

V სტადია - უიმედო. სიმპტომები: შოკლობს BBS-ის პროგრამებს და სატელეფონო ზარებისაგან თავისუფალ დროს მთლიანად მას უთმობს, მეტყველება დანაწევრებული და გაუგებარი კომპიუტერული ჟარგონებისა და სპეცტერმინებისაგან შედგება. მაღა და ძილი როგორც ასეთი, მისთვის თითქმის არ არსებობს. ჭამს მხოლოდ მას, რაც ხელში მოხედება, მიუხედავად ხარისხისა, გარემომოყრდნობის აქცევის ყურადღებას, თუ ისინი რაიმე კომპიუტერულ ტერმინს ან ჟარგონს ახსენებენ საუბრისას, ახლოს აქეთ ჩაის პაკეტი, რომლის წყალში გახსნა ავიწყდებათ. მკურნალობას არ ექვემდებარებიან.

გარდა აღნიშნულისა, ფიზიოლოგიურმა, ბიოქიმიურმა ანალიზებმა აჩვენა, რომ კომპიუტერთან მუშაობისას 45წთ-ს შემდეგ ხდება ორგანიზმის ძირითადი სისტემების გადატვირთვა. სწავლულთა ამრით, არის აღამიანთა ჯგუფი, რომელთათვისაც კომპიუტერთან მუშაობა, მათი ინდივიდუალური, ფიზიოლოგიური და განსაკუთრებულობის გამო რეკომენდებული არ არის, მიუხედავად იმისა, თუ როგორია პერსონალური კომპიუტერის გამოსხივებისგან დაცვის ხარისხი კომპიუტერთან გახშირებული მუშაობის შედეგად ამ

ბოლო დროს შეინიშნება ე.წ. „გვირაბული სინდრომი“, რომელიც საკმაოდ აწუსებს ადამიანს. ამ დაავადებას ბოლო პერიოდამდე არც უცხოეთში აქცევენენ ყურადღებას. ეს დაავადება ელინდება ხელის დაბუეებასა და გკივილში. ძირითადად ცერა, საჩვენებელი და შუა თითი აწუსებთ. 40%-ში ეს გკივილი ორმხრივია, ანუ მეორე ხელმეც ვრცელდება. ამ დაავადებას ქალებში უფრო სშირად ვხვდებით, რადგან მათ უწვეთ საოჯახო საქმეების კეთება. გვხვდება იმ ადამიანებშიც, რომლებიც დიდხანს სხედან კომპიუტერთან, ასევე მუსიკოსებში, ანუ იმ კატეგორიაში, რომელთა მჯებეც გადაგვირთულია. თუ ადამიანი კომპიუტერთან დღეში 6 საათს მუშაობს და საათში 60 სიგყვას კრეფს, მას 40 გონამდე დაგვირთეა აქვთ ხელმე, ამიგომ შემოიღეს სპეციალური კლავიატურა, რომელსაც წინ აქვს ფირფიგა, რომელმეც მჯაა რბილად იღება. გვირაბული სინდრომი ნელ-ნელა ვითარდება, იწყება დაბუეებით, ბოლოს ავადმყოფი გკივილისაგან გირილამდე მიდის და შრომისუუნარო ხდება.

თუ მასაქი და სპეციალური ხელთათმანი არ შეელის, კეთდება ოპერაცია, იხსნება არხი, რომელიც გეწოლას განიცდის და თავისუფლდება სისხლძარღვი. ეს სენი დაავადებულთა 50%-ში ფიზიკური დაგვირთეით არის გამოწვეული, დანარჩენებში კი ამას სხვა მიზეზი შეიძლება ჰქონდეს.

დანიელმა ბაეშეთა ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ ბაეშევი, რომელიც კომპიუტერთან მუშაობით დაიდალა, სულ სხვაგვარად იქცევა, ვიდრე მისი თანატოლი, რომელიც თამაშით ან სწავლით და ა.შ. არის გადაღლილი. მაგ. ბაეშეს, რომელსაც უყვარს კომპიუტერული თამაშები, ხშირად იკენეტს ფრჩხილებსა და გუჩებს, იქექება ცხვირში, ეთამაშება ყურებს, ეს იმას ნიშნავს, რომ დროა კომპიუტერი გადამალთ. იმავეზე მიუთითებს ბაეშეის სურვილი კომპიუტერის წინ უფრო თავისუფალი პოზა მიილოს, სკამზე გადაწვეს, ჩამოსურდეს ან პირიქით, ფეხები ააწყოს მაგიდაზე, ხან ერთ

იდაყვს ეყრდნობა, ხან მეორეს, მაშინვე საჭიროა ააყენეთ, აიძულეთ ივარჯიშოს, ებოში ითამაშოს, ან აუზში იცურაოს. ხშირად ბავშვი ვერ სცილდება ეკრანს მაშინაც კი, როცა ამკარად მობეზრებული აქვს კომპიუტერთან ჯდომა. ამიტომაც ჭირვეულობს, ხან მშობლებს ეძახის და განყენებულ თემებზე ესაუბრება, ხან წყალს ითხოვს, ხანაც საჭმელს - ესეც კომპიუტერული გადაღლის ნიშანია.

დასასრულ კომპიუტერული გადაღლის ყველაზე მკაფიო გამოხატულებაა გადაჭარბებული ემოციურობა, ყვირილი, სიცილი, ცმუკვა (შეიძლება ცეკვაც) მონიტორის წინ.

ნებისმიერ აღამიანს, რომელმაც კომპიუტერთან დღეში რამოდენიმე საათი გაატარა, ჯანმრთელობის გაუარესება ემუქრება. გამოსხივების გაუღენის გარდა, უცნობი დაავადებების გამოკლენაც შეიძლება მოხდეს. ჯერჯერობით ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმაზე, რომ მილიმეტრული ღიაპაზონის ემგ მოქმედებს ღნმ-ზე და იწვევს ცენების მუტაციას. ეს თეორია დადასტურებული იქნა მკვლევარის ცმიან კანსეენის მიერ.


იდეალურ შემთხვევაში პერსონალური კომპიუტერი უსაფრთხო რომ გახდეს, მათი წარმოებისას მონიტორის კორპუსის შიგა მხარე უნდა დაიფაროს სპეციალური მაეკრანიჩებელი ფენით, რომელიც ემგ-ის გამოსხივებას შეამცირებს ფონურ მნიშვნელობამდე. დღეისათვის სპეციალისტები ურჩევენ მომხმარებლებს გამოიყენონ პირადი დაცვის საშუალებები. ფილტრები - ეკრანის დამიწებით და განსაცმელი მაეკრანიჩებელი ქსოვილით. კაქტუსი კომპიუტერთან; ასევე აუცილებელია 1-2სთ-ის შემდეგ შეეწვიტოთ მუშაობა, გავიდეთ 10-20 წთ-ით სუფთა ჰაერზე და მერე ისევ რამოდენიმე ხნით მიეუჯდეთ მას. ეს პროცედურა გავიმეოროთ მთელი მუშაობის მანძილზე, საჭიროა ოთახების განიავებაც რამოდენიმე ხნით.

პერსონალური კომპიუტერი საშიშია, არა მარტო იმისათვის, ვინც ღისპლეს წინ მის, არამედ ყველა იმ აღამიანის ორგანიზმისათვის, ვინც ამ ღროს ოთახში იმყოფება (სქემა 87).

ორიოდე სიგყვით შეეხებოთ კომპიუტერულ თამაშობებს. 1993წ. საფრანგეთში, აშშ-ში და გერმანიაში ეპილეუსიის შეტყევის გაზრდისა და ლეიკემიის ნიშნები გამომქლაენდა ბაეშეებში, რომლებიც კომპიუტერულ თამაშებს თამაშობდნენ. საფრანგეთის კლინიცისტების ერთმა ჯგუჟმა 7-დან 30წლამდე 115 ეპილეუსიით დააეადებულზე ჩაატარა გამოქვლეეა, დასკენა ასეთია: დააეადების შემთხვეეები გახშირდა თამაშობიდან მიღებული სტრესით, სახელდობრ გამოსახულების მოძრაობით, კონტრასტული გეომეტრიული ელემენტებით, ეკრანის განათებით, ციმციმით და სხე. რაც ადაგზნებს ნერეულ სისტემას; ვიდეოთამაშების სიუეეები, ბრძოლის სცენები ბაეშეებში გულის რითმსა და სტრესს ზრდის, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ნერეულ სისტემასა და საერთოდ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

სქემა 87

კომპიუტერის გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე



სანარმოს მავნე ფაქტორების გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე

გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედ რისკის ფაქტორებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამრეწველო საწარმოების ექსპლუატაციის შედეგად წარმოქმნილ მავნე პროფესიულ და არაპროფესიულ ფაქტორებს.


მედიკო-ბიოლოგიური პოპიციიდან გამომდინარე, აქტუალური მნიშვნელობა ენიჭება მომუშავეთა შრომის პირობების გაუმჯობესებას და მუშათა ჯანმრთელობის შენარჩუნებას. გამაჯანსაღებელი ღონისძიებები მიმართული უნდა იყოს ახალი და უნარჩუნო ტექნოლოგიის დანერგვის, მავნე და საშიში საწარმოების მაქსიმალური შემცირების, ასევე გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნების უზრუნველყოფისკენ.

მრავალი საწარმო სასიათღება საწარმოო მავნე ფაქტორების კომპლექსის არსებობით - ინგენსიური მგვერწარმოქმნით (ფიბროგენული მოქმედების, სილიციუმის დიოქსიდის შემცველი გოქსიკური მოქმედების, ლითონის - სპილენძი, ტყვია, თუთია, მანგანუმი, რკინა, კალციუმი და სხვ. აეროზოლები), ხმურვიბრაციული მოქმედებით, არახელსაყრელი მიკროკლიმატით, სამუშაო ზონის ჰაერში გოქსიკური აირების გამოყოფით, არასაკმარისი განათებით, მძიმე არამექანიზებული ოპერაციების არსებობით.

მავნე საწარმოო ფაქტორების ღონეები ერთმანეთისგან განსხვავდებიან და დამოკიდებულია კარიერის კლიმატურ-გეოგრაფიულ მდებარეობაზე, სიღრმეზე, აგმოსფერული ჰაერის პარამეტრების სემონურ მერყეობაზე, მადნის მოპოვება-დამუშავების, წარმოებაში გამოყენებულ ტექნოლოგიებზე, ხმურვიბრაციის, მტერის და ქიმიურ ფაქტორებთან ბრძოლის, მიკროკლიმატის ნორმალიზაციის ღონისძიებების განხორციელების ხარისხზე და სხვ, რაც გარკვეულ წილად აისახება საწარმოში მომუშავე და მომიჯნავე უბნებში მცხოვრებ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

პროფესიული მავნეობები ეწოდება საწარმოო ფაქტორებს, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ მომუშავის ორგანიზმზე (სქემა 88).

პროფიციული აპროლოგია - ხამუშაოს შესრულებას პროფილაქტიკური პირობების არახთანადო დაცვას შედეგად წარმოქმნილი ყველა პათოლოგიური პროცესი



წარმოშობის მიხედვით პროფესიული მანუშობები შეიძლება დაიყოს 2 ჯგუფად. I ჯგუფს მიეკუთვნება ის პროფესიული მანუშობები, რომლებიც დაკავშირებულია შრომის პროცესის არასწორ ორგანიზაციასთან, რაც იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის, გრძნობის ორგანოების სამოძრაო აპარატის დაძაბვას და სხეულის იძულებით ერთგვაროვან მდგომარეობაში ყოფნასთან. II ჯგუფში გაერთიანებულია ისეთი პროფესიული მანუშობები, რომლებიც გამოწვეულია გარემოს არასასურველი ცვლილებებით, კერძოდ მისი ფიზიკური თვისებების (მიკროკლიმატი, რადიაცია, ელექტრული და მაგნიტური ველი, ატმოსფერული წნევა, ხმაური, ვიბრაცია და სხვ). ასევე ქიმიური შედგენილობის (ტოქსიკური ნივთიერებები, მტვრით დაბინძურება) ცვლილება, მხედველობაშია მისაღები ასევე პათოლოგიური მიკრობები, ჭიები და სხვ.

პროფესიული მანუშობების გავლენის შედეგად ორგანიზმი სუსტდება, რის შედეგადაც ქვეითდება შრომის უნარიანობა, ინფექციების მიმართ მდგრადობა ხასიათდება დაავადებების მძიმე მიმდინარეობით. პროფესიულ დაავადებებს ოან სდევს სიცოცხლისთვის აუცილებელი ფუნქციების მძიმე მოშლა, რამაც შეიძლება სრულ ინვალიდობამდე და დაღუპვამდეც კი მიიყვანოს ორგანიზმი. ასეთ დაავადებებს მიეკუთვნება სილიკოზი, სისხლმბადი ორგანოების დაზიანება, ბენზოლით ქრონიკული მოწამვლა, ვიბრაციული დაავადებები და სხვ.

პროფესიული მანუშობების მოქმედება სპეციფიკურია ასაკისა და სქესის მიხედვით. ქალებს ახასიათებს მაღალი მგრძობილობა, რაც ელინდება გენერაციული ფუნქციების მოშლით, მენსტრუალური ციკლის დარღვევით, ორსულობის პათოლოგიებით, მუცლის მოშლით, მკედარშობადობით, მძიმე ქეგალები და ორგანული შხამები ადვილად იჭრება პლაცენტაში და აზიანებს ნაყოფს, ამიტომ ქალები არ უნდა იყენენ დაშეებულნი მძიმე და მავნე საწარმოებში.

პროფესიული მანუშობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მოზარდის ორგანიზმზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჩონჩხის დეფორმაცია, ზრდის შეფერხება, მავნე ნივთიერებით ინტოქსიკაცია მოზარდებში ვითარდება უფრო სწრაფად, კიდრე ზრდასრულებში.

პროფესიულ პათოლოგიათა შორის აღსანიშნავია მზის დაკერა, რომელსაც იწვევს მზის ინფრაწითელი სხივები, ამ დროს ირღვევა მოგრძო გეინში მდებარე სითბოს ფიზიკური რეგულაციის ცენტრის მუშაობა. ამ დროს ქალას შიგა გემპერაგურა შეიძლება 40°-ს მიაღწიოს. ამ დროს ირღვევა სხეულის სითბური წონასწორობა, რის შედეგადაც ვითარდება თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, მომაგებული ავზნებალობა, გონების დაკარგვა, კრუნჩხვები, სუნთქვისა და გულის მუშაობის რითმის დარღვევა. ორივე შემთხვევაში საჭიროა ხელოვნური სუნთქვის ჩატარება, სველ ზეწარში ვახვევა, ფიზიოლოგიური სსნარის ან გლუკოზის შეყვანა ვენაში, საგულე საშუალებები.

სითბოს დაკერა – იგი შეიძლება განვითარდეს მაღალი გემპერაგურის პირობებში მომუშავე ადამიანებში. ამ დროს ვითარდება მოქანცულობა, მოღუნება, თავბრუ, ლებინება, კანის სიმშრალე, გემპერაგურის მომაგება (40°-მდეც კი), შეიძლება გონების დაკარგვა, ბოღვა და სხვ. (სქემა 88).

ზოგიერთი გექნოლოგიური პროცესის დროს ფაბრიკა-ქარხნებში წარმოიქმნება ისეთი ორთქლი, აირი ან მკვერი, რამაც შეიძლება მომწამლადად იმოქმედოს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ეს შხამები ორგანიზმში იჭრებიან სასუნთქი, საჭმლის მომწელებელი ორგანოებიდან და კანიდან. ქიმიური შხამები, რომლებიც იწვევენ სხვადასხვა ორგანოს დაავადებას, აღსანიშნავია: ცყვია, ნახშირორქანგი, ვერცხლისწყალი, მანგანუმი, ფოსფორი, ფთორი, დარიშხანი და სხვ. ნივთიერებანი.

ტყვიით მოწამვლა შეიძლება მოხდეს მაღაროებსა და მის ლითონად გადამამუშავებელ ქარხნებში, აგრეთვე ბროლის საწარმოებსა და სეკცემრიდ ხელყუმბარების წარმოებაში, საწვაფ-ასაფეთქებელ მასალებში ანგიდეგონატორად; იგი გამოიყენება სასტამბო საქმეში. ტყვიით მოწამელისას სისხლში აღინიშნება ბაზოფილური მარცვლოვანი ერითროციტები, რეგიკულოციტები, მრდადაუმთაერებელი ფორმიანი ელემენტები, რომლებიც საბოლოოდ იწვევენ ანემიას. ამ დროს ადგილი აქვს ჩხელეგითი ხასიათის ტკივილებს მუცლის არეში. ეს ელემენტი ძელოვან სისტემაში გროვდება და იწვევს ორგანიზმის რეინგოქსიკაციას. ტყვია პირის ღრუში უერთდება საჭმლის ცილოვანი ნაწილაკებისაგან წარმოქმნილ გოვირდწყალბადას და მიიღება

ტყეის სულფიდი, რომელიც გამოილეკება კბილების გვირგვინისა და ღრძილების საზღვარზე.

საწარმოთა ჰაერში ტყეის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 0,01მგ/კუბმ ჰაერში ანუ 0,00001 მგ/ლ, ატმოსფერულ ჰაერში კი 0,007 მგ/კუბმ-ზე ჰიგიენის თვალსაზრისით, საჭიროა ტყეის სრული განდევნა წარმოებიდან. საღებავებში იგი შეიძლება შეიცვალოს Ba ან Zn-ით ან გიგანის მარილებით; სტამბებში კი საჭიროა ისეთი დანადგარები, რომლებიც ტყეის მტვერსა და ორთქლს მყისვე შეიწოვს. ან საჭიროა დაინერგოს პლასტმასის მრიფტი (სქემა 89).

ვერცხლისწყალი – გამოყენებულია თერმომეტრების, ბარომეტრების, წნევის საზომ ხელსაწყოებში, სამედიცინო პრეპარატების, შხამქიმიკატების, ასაფეთქებელ მასალებში და სხვ. შეწოვილი ვერცხლისწყალი იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებას (გრემორი და სხვ.). ამ დროს გიანდება თირკმლები, ღრძილები და სხვ. ვერცხლისწყალი ამიანებს საჭმლის მომნელებელ გრაქტს, გულ-სისხლძარღვთა სისტემას, ცნს; (სქემა 90). იწვევს ნეფრონეკროზს, ფადარათს, მუცლის ძლიერ ტკივილს და სხვ. (ქრონიკული მოწამელისთვის დამახასიათებელი ნიშნები იხილეთ სქემა 91).

ვერცხლისწყლის დასაშვები კონცენტრაცია საწარმოს ჰაერში უდრის 0,00001 მგ/ლ-ზე ანუ 0,01 მგ/კუბმ ჰაერზე.


ფოსფორი – ფართოდაა გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო ქიმიამი, სასუქების და პესტიციდების დამზადებაში (წითელი ფოსფორი არაგოქსიკური).


ფოსფორი იწვევს ძელოვანი სისტემის დეკალცინაციას მთელ ორგანიზმში, რაც გამოიხატება ყბის ძელების განლევიტ, დანეკროზებით.

ფთორი – ის გვხვდება სუპერფოსფატებსა და ალუმინის წარმოებაში. მას ხმარობენ საღებინფექციო და ანტისეპტიკური საშუალებების დასამზადებლად. იგი მოქმედებს ძელოვან სისტემაზე, მათ შორის კბილის მინანქარზეც, სიუხვის შემთხვევაში იწვევს ფლუოროზს.


ნახშირჟანგი (CO) - საწარმოო შხამებიდან ყველაზე მეტად გავრცელებული შხამია. იგი ორგანულ ნივთიერებათა არასრული წვის შედეგია. ნახშირჟანგი აღვილად უერთდება ჰემოგლობინს,

ტყვიით შროაჟლა





სქემა 91



რის შედეგადაც იგი გადადის კარბოოქსიკემოგლობინში, რომელიც შხამავს ქსოვილის უჯრედებს, ართმევს მათ ჟანგბადს. ამ დროს ორგანიზმში ვითარდება ჰიპოქსემია (ჟანგბადის ნაკლებობა ან მისი უქონლობა) და ორგანიზმი იხრჩობა უჰაერობით (ჰიპოქსია).

ნახშირჟანგის დასაშვები კონცენტრაცია საწარმოს ჰაერში 20 მგ/კუბმ ჰაერში აგმოსუფერულ ჰაერში კი 1მგ/კუბმ.

დარიშხანი - იგი გვხვდება სამთამიანო მრეწველობაში, ქიმიური რეაქტივების, მედიკამენტების, ბეწვეულის და ტყაყის მრეწველობაში, საღებინფექციო პრეპარატების დამზადებაში და სხვ. დარიშხანით მოწამელას თან ახლავს ლებინება, ფაღარათი, მოვლენები გულისა და თირკმლების მხრივ და სხვ. ასევე ღერმატიტი, გამონაყარი, ეგზემის მსგავსი მოვლენები, თვალებისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთება AsH_3 - ძლიერი ჰემოლიზური შხამია, რომელიც შლის სისხლის წითელ ბურთულებს. მისი დასაშვები კონცენტრაცია საწარმოს ჰაერში არ უნდა აღემატებოდეს 0,0003 მგ/ლ ჰაერზე ანუ 0,3 მგ-ს კუბ/მ.

მანგანუმი - იგი გამოიყენება ლეგირებული ფოლადის წარმოებაში. ორგანიზმში მოხვედრისას იგი გროვდება ცენტრალურ ნერვულ სისტემაში და მასზე მოქმედებს პათოგენურად. შავი ქვის მადანში იგი გვხვდება MnO ან Mn_2O და MnO_2 -ის სახით. მოწამულა მიმდინარეობს ქრონიკულად და ძირითადად გამოიხატება მოძრაობის შეზღუდვით, სხეულის კანკალით, ნიღბისებრი (უსიციოცხლო) სახე მეტყველების მოშლა. ამ დროს აღინიშნება პოსტენცეფალიტური პარკინსონიზმი. საწარმოს ჰაერში მანგანუმის დასაშვები კონცენტრაცია არ უნდა აღემატებოდეს 0,0003მგ/ლ- ჰაერზე, ანუ 0,3 მგ/კუბ/მ-ზე.

ონკოგენური ანუ კანცეროგენული ნივთიერებები - ტექნიკური პროგრესის შედეგად წარმოებაში გამოიყენება ახალი ქიმიური ნივთიერებები, ზოგიერთ მათგანს კი შეიძლება ჰქონდეს ავთვისებიან სიმსივნეთა წარმომქმნელი თვისება, ამიგომ ახალ ქიმიურ საშუალებებზე საჭიროა გულმოდგინე საექიმო მეთვალყურეობა. საწარმოებიდან განდევნილი უნდა იყოს ბეტანაფთილამინი, დიანიზიდინი, ბენზანთრაცენი, ნაფთილამინი, ფუქსინი და სხვ. ისეთი ქიმიური საშუალებანი, რომელთაც ონკოლოგიური თვისებები აღმოაჩნდათ. დადგენილია, რომ შარდის ბუშტის კიბოს იწვევს ანილინის ორთქლის ჩასუნთქვა. კანის

კიბოს ქიმიური ნივთიერებების გემოქმედება, ფილტვების კიბოს ურანის საბადოებში მუშაობა და სხვ.

მგვრით გამოწვეულ დაავადებებს ადგილი აქვს საქსოვ ფაბრიკებში (მატყლის ბურტყეა, დართეა), ქიმიურ ქარხნებში, მასალის დაქუცმაცებისას, შერევისას და სხვ. სამრეწველო მგვერი შეიძლება იყოს ორგანული და არაორგანული. ორგანული შეიძლება იყოს მცენარეული (ბამბა, თამბაქო, ფქვილი) და ცხოველური – მატყლი, აბრეშუმი, ბეწვეული, გყაფი; არაორგანული ლითონური მგვერი, ასევე კვარცის, ცემენტის, ბარიუმის და სხვათა მგვერი.

პნევმოკონიოზი – ფილტვების დაავადებები, რომლებიც მგვრით ფილტვებზე მოქმედების შედეგია. მისი სახეა – სილიკოზი – ფილტვის ქსოვილში მგერის ნაწილაკების დაგროვება, რომელიც შეიცავს SiO_2 . იგი ქრონიკული პროცესია. უვითარდება კვარცის მგვრით დაბინძურებულ ჰაერში მომუშავე პირებს. დამახასიათებელია გვიწილი გულმკერდის ღრუში, ქოშინი და ხველა, რომელიც პროგრესირებადია. ადგილი აქვს ფილტვების ემფიზემას, ბრონქიტს. ამ დროს ვითარდება სილიკოტუბერკულოზი – რომლის დროსაც შეიმჩნევა ტემპერატურის მომატება, წონაში მოკლება, სისუსტე, დაღლა.

ძლიერ საშიშია ამბესტოზი – რომელიც ამბესტის ნაწილების მოხვედრით ფილტვებში დამახასიათებელია ქოშინი, ხველა, გვიწილი გულმკერდის არეში. პნევმოკონიოზის ერთ-ერთი სახეა ანთრაკოზი, მას იწვევს ნახშირის მგვერი. ეს დაავადება მიმდინარეობს ნელა და მსუბუქად. თუ ჰაერში რკინის მგვერია, იწვევს სიდეროზს, ხოლო ალუმინის მგვერი ალუმინოზს. საწარმოებში მგერის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების განხორციელებისთვის აუცილებელია ტექნოლოგიური ღონისძიებების სრულყოფა, პერმენტიზაცია, მგერის დამგვრების დაყენება, ინდივიდუალური დამცავი საშუალებების გამოყენება (რესპირატორი, სათვალე, სპეცგანსაცმელი), პირადი ჰიგიენა, სამედიცინო შემოწმებები და სხვ.

ტექნიკური პროგრესი და გარემოში არსებული ფიზიკური ფაქტორები ორგანიზმში იწვევს ფსიქოგენურ და ფუნქციონალურ დარღვევებს. მას მიეკუთვნება ხმაური და ვიბრაცია.

ვიბრაცია – მექანიკური რხევაა, რომელიც მეორდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ძირითადი მაჩვენებელია

რხევის სიხშირე და სიჩქარე. ადამიანის სხეულთან კონტაქტის მიხედვით არჩევენ ლოკალურ და ზოგად ვიბრაციას. ლოკალური ვიბრაციის დროს სხეულის შერხევა ხდება ზემო კიდურებზე. ვიბრაციის გადაცემით. ასეთი ფორმის ვიბრაციას ადგილი აქვს მექანიზებული ინსტრუმენტების გამოყენებისას. ზოგადი ვიბრაცია ხდება საყრდენის რხევის დროს და გადაეცემა ფეხზე მდგომ ან დამჯდარ ადამიანს. ასეთებია სატრანსპორტო, ტექნოლოგიური ვიბრაცია და სხვ. მექანიკური ვიბრაცია შეიგრძნობა მთელი სხეულით. განსაკუთრებით ნერეული და ძელოვანი ქსოვილით. ძელოვანი ქსოვილი კარგი რეზონატორია. მგრძნობიარეა რეცეპტორებიც, რომლებიც სელის გულზე და გერფზეა მოთავსებული. ასევე მგრძნობიარეა ვესტიბულარული აპარატი. დამდგარ მდგომარეობაში უფრო ადვილად შეიგრძნობა ვერტიკალური რხევა, წოლით მდგომარეობაში კი პორიზონტალური რხევა.

ვიბრაციული დაავადება ხშირად ემართებათ მძღოლებს, მემღვაურებს, ტანკისტებს, ტრაქტორისტებს, ორთქლით ჩაქუჩზე, პრემატურ ბურღზე, ავტომატურ საკერაზე მანქანაზე მომუშავეებს, ფეიქრებს და სხვ.


